www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 21 ნოემბერი, 2008 წელი. №261 (2005) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

„სასამართლო პროცესი, რომელზეც პუტინის რეპუტაციას ასამართლებენ"

A5



რუსეთში ავტორიტარიზმი ძლიერდება

A8



სცენაზეა ორი თეატრი

A10



# ცხინვალის სცენარი განმუხურში

გიორგი ასანიშვილი

*აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. რუსეთის საოკუპაციო ჯარებისა და აფხაზი სეპარატისტების პროვოკაციულმა ქმედებებმა იმდენად აგრესიული ხასიათი მიიღო, რომ ქართულ პოლიტიკურ წრეებში აგვისტოს მოვლენებთან პარალელების გავლება დაიწყეს და ახალი ომის საშიშროებაზე ალაპარაკდნენ.*

## პროვოკაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 20 ნოემბერს, დილის 06:45 საათზე, სოფელ ოტობაიადან განმუხურის მიმართულებით რუსული საოკუპაციო ჯარის კუთვნილი ორი ჯავშანტრანსპორტიორი დაიძრა და ადმინისტრაციული საზღვარი გადმოკვეთა. რუსულ მძიმე ტექნიკას თან შეიარაღებულ პირთა ჯგუფი შემოჰყვა.

ოკუპანტებმა სოფელ განმუხურში განლაგებულ ქართულ საგუშაგოსთან მიახლოებისას, იქ მყოფ პოლიციელებს ტყვიამფრქვევებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს. სროლა, დაახლოებით, 15 წუთს გაგრძელდა.



*განმუხურში სროლას გაერო-ს და ევროკავშირის დამკვირვებლები შეესწრნენ.*

AFP ' 2008

თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა დაზიანდა ქართული საგუშაგო და განადგურდა ადგილობრივი მოსახლის, გოგელი პერტიას საცხოვრებელ სახლთან მდგომი დამხმარე ნაგებობა.

ცეცხლის შეწყვეტისა და უკან გაბრუნების დროს ჯავშანტრანსპორტიორში მსხდომმა რუსმა სამხედროებმა ქართული ტერიტორიის ოტობაია-განმუხურის გადასასვლელი დანაღმეს.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელთა ხელმძღვანელმაც ოტობაიაში გადასვლა მოახერხა და ფოტოკამერის საშუალებით გზაზე რუსული ჯავშანტრანსპორტიორის კვალი დააფიქსირა. ადგილზე მივიდნენ ევროკავშირის დამკვირვებლებიც.

დაახლოებით 10:30 საათზე, რუსებმა ოტობაიასთან მდებარე ადმინისტრაციული საზღვრიდან ყუმბარმტყორცნებიდან კვლავ გახსნეს ინტენსიური ცეცხლი განმუხურში განლაგებული ქართული საგუშაგოს მიმართულებით.

გაგრძელება A3 გვერდზე

# იუშჩენკო: რუსეთის ზეწოლამ ნატო-ზე გავლენა არ უნდა მოახდინოს

ხათუნა გაბიევი

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო ნატო-ს სთხოვს, ქვეყნის შიდაპოლიტიკური განხეთქილებისა და რუსეთის მხრიდან ზეწოლის მიუხედავად, ოფიციალურ კიევს ალიანსის წევრობის სამოქმედო გეგმა მიანიჭოს.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკრაინის გაწევრიანების აუცილებლობაზე ქვეყნის პირველმა პირმა გავლენიან ბრიტანული გაზეთ "თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

იუშჩენკოს თქმით, უკრაინა ეცდება, რომ წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭების საკითხი განსახილველად ბრიუსელში მომავალ თვეს დაგეგმილ ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გაიტანოს.

უკრაინის პრეზიდენტის აზრით, სამხედრო ალიანსის გაფართოებას რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ევროპული უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და იგი ერთადერთი საშუალებაა უკრაინის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

**"უკრაინამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რათა წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭებისთვის ნატო-ს წევრი ქვეყნების ლოიალური დამოკიდებულება მოეპოვებინა,"** – აღნიშნა ვიქტორ იუშჩენკომ.

საქართველოსთან სამხედრო კონფლიქტის შემდეგ რუსეთის გადაწყვეტილებამ, ეღიარებინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, უკრაინის ხელისუფლებაში ყირიმის საკითხის გამო განგაში გამოიწვია.

გაგრძელება A7 გვერდზე

# ოპოზიციის მოთხოვნა - მედიის მონიტორინგი

გუშინ სასტუმრო "სიმპათიაში" "გაერთიანებული ოპოზიციის" ლიდერებსა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენლებს შორის შეხვედრას მხოლოდ ორი ქვეყნის - საფრანგეთისა და გერმანიის ელჩები ერიკ ფურნიე და პატრიცია ფლორი ესწრებოდნენ. დანარჩენი ქვეყნების საელჩოები კი მხოლოდ სხვადასხვა რანგის თანამშრომლებით იყო წარმოდგენილი.

"გაერთიანებული ოპოზიციის" ლიდერის კახა კუკავას განცხადებით, შეხვედრისას მათ ყურადღება რამდენიმე საკითხზე გაამახვილეს, მათ შორის - ტელეკომპანია "იმედის" ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისთვის დაბრუნების აუცილებლობაზე, პოლიტპატიმრებისა და "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დამოუკიდებლობაზე.

რაც შეეხება ელჩების პოზიციას, გერმანიისა და საფრანგეთის ელჩებმა პატრიცია ფლორმა და ერიკ ფურნიემ აღნიშნეს, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემები ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დიალოგის გზით უნდა მოგვარდეს. **"ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს ჩვენი რეკომენდაციები. მიმაჩნია, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ამ საკითხებზე დიალოგი აუცილებელია,"** - განაცხადა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ერიკ ფურნიემ.

დიალოგისთვის მზადყოფნა დიპლომატებს ოპოზიციონერებმაც დაუდასტურეს, თუმცა, კუკავას თქმით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ხელისუფლება ტელეეკრანებიდან აცხადებენ, რომ ოპოზიციასთან დიალოგის სურვილი აქვთ, მაგრამ რეალურად არაფერი არ ხდება. **"რეალობა არის ის, რაც დღეს ხდება ანუ მათთან საუბარი გვიწევს აქციების საშუალებით,"** – აღნიშნა კახა კუკავამ.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## ოპოზიციის მოთხოვნა - მედიის მონიტორინგი

პირველი გვერდიდან

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ "კონსერვატიული პარტიის" ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, დიპკორპუსთან გუშინდელი შეხვედრა იმ კონსულტაციების გაგრძელებაა, რაც აქამდე იმართებოდა. ოპოზიციას მიიჩნია, რომ მედიის თავისუფლების საკითხზე საერთაშორისო საზოგადოება მუდმივად ინფორმირებული უნდა იყოს. **"მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო საზოგადოება სისტემატურად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესებში. "გაერთიანებული ოპოზიცია" მზად არის, უცხოელ მეგობრებს ამ თემაზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს, რათა მათ ხელისუფლებაზე გავლენა მოახდინონ, ხოლო მედიაზე მაღალი დონის მონიტორინგი განახორციელონ,"** - აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

## დნესტრისპირული სოლიდარობა

დნესტრისპირეთის დე ფაქტო პარლამენტმა ე.წ. სამხრეთ ოსეთთან თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა, რომელსაც დე ფაქტო პრეზიდენტებმა გასულ წელს მოაწერეს ხელი. ამის შესახებ სააგენტო "რეს"-ი იუწყება.

"ეს შეთანხმება პოლიტიკის, ეკონომიკის, ეკოლოგიის, კულტურის სფეროებში თანამშრომლობას, ურთიერთდახმარებას და მესამე ქვეყნებთან, უპირველესად რუსეთთან, თანამშრომლობას ითვალისწინებს," - განაცხადეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პარლამენტის პრესსამსახურში.

შეთანხმებაში ასევე აღნიშნულია, რომ აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის, ასევე საქართველოსა და მოლდოვასთან ურთიერთობების მშვიდობიანად დარეგულირებისთვის ითანამშრომლებენ.

*ინტერპრესნიუსი*

## დახურული შეხვედრა მინისტრებთან

საპარლამენტო უმრავლესობა დახურულ ფორმატში მინისტრებს ხვდება.

გუშინ პარლამენტში სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გიორგი ხაჩიძე და სახელმწიფო მინისტრი რეგიონული მართვის საკითხებში დავით ტყეშელაშვილი მივიდნენ.

შეხევედრის მიზეზი, სავარაუდოდ, მთავრობის ახალი ინიციტივაა, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შექმას ითვალისწინებს.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილების და საქმიანობის წესის შესახებ" კანონში შევა. აღნიშნული სამინისტრო რეგიონული მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის უწყების ლიკვიდაციისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს რეორგანიზების შედეგად შეიქმნება და მას მმართველობაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი და ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია გადაეცემა. ახალი სამინისტრო 2009 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს.

*პირველი*

## მასწავლებელთა ხელფასი გაიზრდება

1 იანვრიდან მასწავლებელთა საბაზისო ხელფასი 25 ლარით, 1 სექტემბრიდან კი კიდევ 25 ლარით გაიზრდება. ასევე გაიზრდება მასწავლებელთა სადაზღვევო ვაუჩერის ღირებულება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებები, მიმდინარე წელთან შედარებით, 57 321.0 ათასი ლარით იზრდება და 525 024.7 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის, 30 000.0 ათასი ლარით იზრდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (ვაუჩერები) და 281 820.0 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული საშუალებას იძლევა, გაიზარდოს პედაგოგთა ხელფასები და მათი სადაზღვევო ვაუჩერის ღირებულება.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 40 000.0 ათასი ლარი; საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის განხორციელებაზე 12 500.0 ათასი ლარი დაიხარჯება. პროგრამა "ირმის ნახტომის" დასაფინანსებლად 11 500.0 ათასი ლარი გამოიყოფა, ხოლო პროგრამა "ცოდნის კარის" გასაგრძელებლად - 1 500.0 ათასი ლარი.

გარდა ამისა, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებებიდან აგვისტოში განვითარებული მოვლენების შედეგად დევნილი სტუდენტები 100 პროცენტიან სახელმწიფო გრანტს მიიღებენ, ხოლო მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს საომარ მოქმედებებამდე არსებული ხელფასები შეუნარჩუნდებათ.

*პირველი*

# ჟენევის ექო

თამარ ხორბალაძე

*ჟენევაში დაწყებული მოლაპარაკებები, მიუხედავად იმისა, რომ მას, მოლოდინისამებრ, კონკრეტული და ხელშესახები შედეგი არ მოუტანია, გუშინ კვლავ აქტუალური იყო. ამ თემაზე კომენტარები გაკეთდა როგორც ჟენევაში, ასევე ვაშინგტონსა და მოსკოვში. ამ პროცესის მიმართ თბილისმა საკუთარი პოზიცია გუშინ, საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური განცხადების სახით, კიდევ ერთხელ დააფიქსირა.*

**"სამშვიდობო პროცესის წინსვლის მიზნით სრულ მზადყოფნას ვაცხადებთ, მომავალშიც აქტიურად ვითანამშრომლოთ როგორც ჟენევის მოლაპარაკების შუამავლებთან, ასევე მის მონაწილეებთან,"** - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთან, ქართული მხარე იმედს გამოთქვამს, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დევნილთა დაბრუნების მიზნით მხარეთა მოლაპარაკებები მომავალშიც გაგრძელდება.

**"ჟენევის მოლაპარაკებამ აჩვენა, რომ აღნიშნული ფორმატი კარგად მომზადებული და ქმედითია,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

უფრო მკაცრია შეფასებებში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია, რომელმაც ჟენევაში მიმდინარე დიალოგის შესახებ უცხოელ ჟურნალისტებთან ისაუბრა: **"რუსეთი სამშვიდობო შეთანხმებით აღებულ ვალდებულებას არ ასრულებს და ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანის ნაცვლად, სამხედრო კონტინგენტს ზრდის,"** - განაცხადა ჟენევაში გამართულ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიამ.

გიგა ბოკერიამ ბრიფინგზე აგვისტოს მოვლენების შემდეგ კონფლიქტის ზონებში შექმნილ სიტუაციაზეც ისაუბრა და რუსული სამშვიდობო მანდატის საერთაშორისო პოლიციური ძალებით შეცვლის საკითხი კიდევ ერთხელ დასვა.

**"რუსეთმა არა თუ შეასრულა აღებული ვალდებულება და უკანონოდ დაკავებული ტერიტორიებიდან ჯარები გაიყვანა, არამედ სამხედრო კონტინგენტი გაასამმაგა. ჩვენ ეთნიკურ წმენდასთან, ტერორისტულ აქტებთან, ადამიანთა გატაცებასა და ძალადობის ფაქტებთან გვაქვს საქმე. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ევროკავშირის დამკვირვებელთა მონიტორინგის გაძლიერებაა. შემდეგ ეტაპად კი კონფლიქტურ ზონებში საერთაშორისო პოლიციური ძალების განთავსება უნდა იქცეს,"** - განაცხადა ბოკერიამ.

### ბუში და მედვედევი საქართველოზე ისაუბრებენ

**"პოზიტიური ცვლილებების პირველი რაუნდი,"** - ასე შეაფასა ჟენევაში გამართული მოლაპარაკებები გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა. ამ თემაზე სპეციალური განცხადება სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა შონ მაკკორმაკმა გააკეთა. **"ეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6-პუნქტიანი შეთანხმების რეალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯია,"** - განაცხადა მან.

მაკკორმაკის განცხადებას წინ უძღოდა ჟენევის შეხვედრის მონაწილის, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დენიელ ფრიდის განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ ევროკავშირისა და ეუთოს დამკვირვებლები ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონებში სიტუაციის განმუხტვას ხელს უწყობენ და მათ ე.წ. სამხრეთ ოსეთში შესვლის უფლება აუცილებლად უნდა ჰქონდეთ. **"იმედს ვიტოვებთ, რომ კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო დამკვირვებლების მოქმედების არეალი გაფართოვდება და თუკი ეს საკითხი კარგად იქნება ორგანიზებული, მისი დადებითი შედეგი არ დააყოვნებს,"** - განაცხადა დენიელ ფრიდმა. აქვე მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აშშ-ს პოზიცია, რომელიც კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო პოლიციური ძალების განთავსებას ითვალისწინებს, დიალოგის ყველა მონაწილემ არ გაიზიარა, თუმცა სიტუაციის დაძაბვის პროვოცირება შეხვედრის არც ერთ მხარეს არ უცდია. ფრიდის შეფასებით, **„საქართველოში მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია, ამიტომაც დიალოგის გაგრძელება აუცილებელია."**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა ვაშინგტონმა გუშინ კიდევ ერთხელ დააფიქსირა. ბუშის ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გორდონ ჯონდრომ განაცხადა, რომ ქართულ-რუსული ომის მიმართ ვაშინგტონის პოზიცია უცვლელია.

**"ჩვენ საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის მუშაობას მივესალმებით და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას კიდევ ერთხელ ვადასტურებთ,"** - განაცხადა ჯონდრომ.

თეთრ სახლში გამართულ ბრიფინგზე გორდონ ჯონდრომ ჟურნალისტებს შეატყობინა, რომ აშშ-სა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტების ჯორჯ ბუშის და დმიტრი მედვედევის შეხვედრაზე, რომელიც პერუში, აზია-წყნარი ოკეანის სამიტის ფარგლებში იგეგმება, სავარაუდოდ, საქართველოს საკითხსაც განიხილავენ.

### ეუთო დიალოგით კმაყოფილია

ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე ალექსანდრე სტუბი ჟენევაში გუშინ დასრულებულ კონსულტაციებს წინგადადგმულ ნაბიჯს უწოდებს.

**"ჟენევის დისკუსია წინ მიდის და სამუშაო სტადიაში შევიდა. ყველა მონაწილე მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მათ პროცედურული საკითხებიდან პრაქტიკულ საკითხებზე გადაინაცვლეს, რაც ადგილებზე მოსახლეობის ცხოვრებაზე აისახება,"** - განაცხადა სტუბმა.

ეუთო-ს მისიის გაძლიერების თაობაზე კი სტუბი აცხადებს, რომ მისიას ომის შედეგად დაზარალებულების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მუშაობა უნდა შეეძლოს. იგი მიესალმება მხარეების ძალისხმევას აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად.

### რუსულ-სეპარატისტული რიტორიკა უცვლელია

გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მიერ ბოგოტაში გაკეთებული განცხადებები თითქმის მთლიანად ემთხვევა სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრ მურატ ჯიოევის კომენტარის შინაარსს. ორივე შემთხვევაში საუბარია ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულებაზე, დასავლეთის მიერ საქართველოს იარაღით მომარაგებასა და ევროკავშირის დამკვირვებლებთა მიერ საკუთარი ფუნქციების შეუსრულებლობაზე (იმის მიუხედავად, რომ ევროდამკვირვებლებს კონფლიქტის ზონებში თავად რუსეთი და სეპარატისტები არ უშვებენ). დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ მურატ ჯიოევის განცხადებით, ჟენევაში 17-18 დეკემბრისთვის დაგეგმილ დისკუსიაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთი ქართულ მხარეს ძალის გამოუყენებლობის შეთანხმების ხელმოწერას მოსთხოვს.

**"პირველ რიგში, დავაყენებთ საკითხს, რომ შუამავლებმა ქართულ მხარეზე მოახდინონ ზეწოლა, რათა ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებას მოაწეროს ხელი. ასევე, მოვითხოვთ, განხორციელდეს მონიტორინგი სამხრეთ ოსეთის გარშემო განთავსებულ შეიარაღებულ ძალებზე,"** - განაცხადა ჯიოევმა.

მისი თქმით, საქართველო არა მხოლოდ საომარ რიტორიკას აგრძელებს, არამედ აძლიერებს შეიარაღებულ ძალებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარშემო.

**"დასავლეთის ბევრი ქვეყანა საქართველოს იარაღით მომარაგებას აგრძელებს,"** - განაცხადა ჯიოევმა. მისი თქმით, ევროკავშირის დამკვირვებლები თავს ვერ ართმევენ ვალდებულებებს, რომლებიც სარკოზი-მედვედევის გეგმის შესაბამისად აიღეს.

ევროდამკვირვებლებს საკუთარი ფუნქციების უკეთ შესრულებისკენ მოუწოდებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვიც. მისი თქმით, ევროკავშირის დამკვირვებლებმა ე.წ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ზონებში საჭირო რეჟიმის უზრუნველყოფა უნდა შეძლონ. აქვე ლავროვი, პრაქტიკულად, კვლავ იმუქრება აგვისტოს მოვლენების განმეორების პერსპექტივით: **"რუსეთი დიდად არის დაინტერესებული, რომ კავკასიაში განვითარებული მოვლენები აღარ განმეორდეს,"** - განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბოგოტაში. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს იარაღით მომარაგება დაუშვებელია. **„კავკასიის უსაფრთხოებისთვის, სულ მცირე, აუცილებელია, რომ საქართველოს არ მიაწოდონ იარაღი, რომელსაც იგი თავდასხმისთვის გამოიყენებს,"** - ამბობს ლავროვი. ამასთან, რუსი დიპლომატის განცხადებით, თბილისმა ცეცხლის გამოუყენებლობის ხელშეკრულება იურიდიულად უნდა გააფორმოს.

# კანცელარიის „ნაჩალნიკს" ჯაშუშობაში ადანაშაულებენ

ნათია მსხილაძე

*"ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე სახელმწიფო კანცელარიის უფროს კახა ბენდუქიძეს ჯაშუშურ საქმიანობაში ადანაშაულებს. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მემარჯვენე ოპოზიციონერმა ის დოკუმენტაცია წარმოადგინა, რომელიც, მისი თქმით, ადასტურებს კახა ბენდუქიძის კავშირს რუსულ სამხედრო დაზვერვასთან. "მემარჯვენეების" მტკიცებით, აგვისტოს მოვლენების დროს, ბენდუქიძის "გავლით", სერიოზული ინფორმაცია მიწოდებოდათ რუსეთის სადაზვერვო სამსახურებს, აგვისტოს მოვლენებამდე კი ბენდუქიძე რუსეთის სადაზვერვო სამსახურებთან წლების განმავლობაში თანამშრომლობდა.*

"ახალი მემარჯვენეების" თქმით, კახა ბენდუქიძეს მჭიდრო კავშირი აქვს გრუ-ს გენერალ ვიტალი შლიკოვთან, რომელიც სხვადასხვა დროს ჯაშუშური საქმიანობით იყო დაკავებული და თავის დროზე კახა ბენდუქიძის მრჩევლის მოვალეობასაც ასრულებდა. **"ვიტალი შლიკოვი ბენდუქიძის მრჩეველი იყო, როდესაც ბენდუქიძე "ურალმაშის" დირექტორად მუშაობდა. ეს არის 2001-2003 წლები. იგი კახა ბენდუქიძის მრჩეველი იყო მაშინაც, როცა ბენდუქიძე "ატომსტროიექსპორტის" გენერალურ დირექტორად მუშაობდა. 1991 წელს შლიკოვმა ცნობილი ანტიქართული ორგანიზაცია "საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის საბჭო" დააფუძნა, რომლის წევრებიც რუსეთის სასაზღვრო ჯარების სარდალი, კოლექტიური ხელშეკრულების ორგანიზაციის შეფი ნიკოლაი ბორდუჟა, კონსტანტინ ზატულინი, გავლენიანი რუსი ანალიტიკოსი სერგეი კარაგანოვი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი კარასინი, გოსდუმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩოვი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, პუტინის ერთ-ერთი მთავარი მრჩეველი, პოლიტოლოგი მარკოვი, პუტინის მთავარი პოლიტტექნოლოგი გლებ პავლოვსკი, ევგენი პრიმაკოვი და სხვები არიან. როგორც ვხედავთ, საბჭოში ყველა ის პირია წარმოდგენილი, რომელიც გეგმავს და ახორციელებს მტრულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ და რაც ყველაზე საკვირველია, დღემდე ამ საბჭოს წევრია საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი კახა ბენდუქიძე,"** - განაცხადა "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთმა ლიდერმა.

როგორც ფიქრია ჩიხრაძემ განმარტა, ვიტალი შლიკოვისა და კახა ბენდუქიძის გზები 2004 წელს გაიყარა, როდესაც ბენდუქიძე საქართველოში ჩამოვიდა და მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა, ხოლო 2004-2007 წლებში შლიკოვი "გაქრა".

მანამდე შლიკოვი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა, ხოლო აფხაზეთის ომის დროს რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო. 2007 წლის მონაცემებით, ვიტალი შლიკოვი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზეა, რაც, ჩიხრაძის თქმით, ბადებს ეჭვს, რომ აგვისტოს მოვლენების დროს ბენდუქიძე საიდუმლო ინფორმაციას შლიკოვს აწვდიდა. **"გრუ-ს პოლკოვნიკებთან და გენერლებთან ურთიერთობა შემთხვევით არ ხდება. ბენდუქიძე რა ბიზნესშიც იყო, ის ბიზნესი ყოველთვის წარმოადგენდა გრუ-ს საკურატორო ობიექტს. ბენდუქიძე ლობირებდა მაგისტრალური გაზსადენის "გაზპრომისთვის" მიყიდვას, ის ხშირად იმეორებდა, რომ "იყიდება ყველაფერი სინდისის გარდა", თუმცა გრუ-სთან მოთანამშრომლე ადამიანისათვის სინდისიც იყიდება. ეჭვს გამოვთქვამ, რომ აგვისტოს მოვლენებისას ბენდუქიძის საშუალებით ყველა საიდუმლო ინფორმაცია მიეწოდებოდა რუსულ სპეცსამსახურებს. სააკაშვილი, ნებსით თუ უნებლიეთ, ან ჩართულია ამაში და არის ამ ჯგუფის ინტერესების გამტარებელი, ან ისეა შეკრული ამ ჯგუფთან, რომ მათ წინააღმდეგ ვერ გაილაშქრებს,"** - აღნიშნა ჩიხრაძე.

მემარჯვენე ოპოზიციის თქმით, თუ ქართულმა სპეცსამსახურებმა არაფერი იციან ამის შესახებ, მაშინ **"მძიმედაა საქმე"**, ხოლო, თუ იციან და არაფერს აკეთებენ, ეს კიდევ უფრო უარესია. **"აგვისტოს მოვლენების შემდეგ კულტურის მინისტრის გათავისუფლება და ისეთი ადამიანის ხელისუფლებაში დატოვება, როგორიც ბენდუქიძეა, სერიოზულ კითხვებს ბადებს,"** - განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

მემარჯვენეთა ბრალდებებზე თავად კახა ბენდუქიძეს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ცხინვალის სცენარი განმუხურში

პირველი გვერდიდან

**"აღნიშნული ინციდენტის დროს, განმუხურის თავზე, დაბალ სიმაღლეზე დაფრინავდა ორი საბრძოლო ვერტმფრენი, რომლებიც ადგილზე მისულმა გაერო-ს და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლებმა ფოტოკამერების საშუალებით დააფიქსირეს. მოგვიანებით, ოტობაიაში გადასულმა გაერო-ს წარმომადგენელმა ვერ მოახერხა რუსებთან დალაპარაკება, თუმცა ადგილობრივმა მოსახლეობამ საუბარში დაადასტურა ინციდენტის დეტალები. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ნივთმტკიცებები და მიმდინარეობს გამოძიება,"** - ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

განმუხურში გუშინ საღამოსაც ისროდნენ. ისევე როგორც დილით, ამჯერადაც ცეცხლი ყუმბარმტყოცნებიდან და ტყვიამფრქვევებიდან გაიხსნა.

გუშინ განმუხურში რუსული მხარის მიერ განხორციელებული პროვოკაციული ქმედებები, საბედნიეროდ, მსხვერპლის გარეშე დასრულდა.

განმუხურში მომხდარი ინცინდენტის გარდა, კონფლიქტის ზონაში გუშინ სხვა საშიში ტენდენციებიც დაფიქსირდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მედიაცენტრის ინფორმაციით, გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში 100 აფხაზი ბოევიკი შევიდა, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან კი რუსული სამხედრო ვერტმფრენები სადაზვერვო სამუშაოებს აწარმოებდნენ.

**"მოსახლეობა შიშობს, რომ რუსები და აფხაზები ახლი პროვოკაციებისთვის ემზადებიან, რამდენადაც ისინი პრეტენზიას უკვე ზუგდიდის რაიონზეც აცხადებენ. სოფელ ნაბაკევში ძალიან დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი და საბრძოლო მასალაა შეტანილი, ფიჩორისკენ კი საწვავით დატვირთული 5 ბენზინმზიდი გადაადგილდა,"** - ამ ცნობას სააგენტო „ინტერპრესნიუსი" გალის რაიონში ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

**"წუხელ, დაახლოებით, 22:00 საათზე, გალის მხრიდან განმუხურის მიმართულებით დიდი რაოდენობით რუსული ჯავშანტექნიკა გადაიყვანეს, გამთენიისას კი ინტენსიური სროლები დაიწყო. დილით ტექნიკა ისევ უკან დაბრუნდა, სამაგიეროდ, მცირე ხნის შემდეგ ფიჩორის მიმართულებით გადაადგილდა ამწეების და სხვა ტექნიკის კოლონა, რომლებსაც სანგრების ამოსათხრელად იყენებენ,"** - ასე აღწერს განმუხურის ინციდენტს იგივე წყარო.

მისი თქმით, სოფელ პირველ ოტობაიასა და ფიჩორში მდგარი რუსი სამხედროები უკვე ფიჩორის ბაზაში გადაჰყავთ, სადაც ასევე დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკაა მობილიზებული.

ვითარების დაძაბვის გამო განმუხურისა და ანაკლიის საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი დროებით შეჩერდა, რაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა „შემაშფოთებელ ფაქტად" შეაფასა.

## რუსულ-აფხაზური ვერსიები

ოფიციალურმა მოსკოვმა კონფლიქტის ზონაში გუშინ მოწყობილი პროვოკაციებისგან თავი შორს დაიჭირა: რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ უარყო სოფელ განმუხურში ქართულ საგუშაგოზე რუსი სამხედროების თავდახმის ფაქტი და სახმელეთო ჯარების სარდლის თანაშემწემ იგორ კონაშენკოვმა საქართველოს შსს-ს ინფორმაციას "მორიგი საინფორმაციო პროვოკაცია" უწოდა...

რუს ოკუპანტებს კვერს უკრავენ აფხაზი სეპარატისტები: აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის სამინისტრო დღეს დილით, სოფელ განმუხურში ქართულ საგუშაგოზე თავდასხმაში რუსი სამხედროების მონაწილეობას უარყოფს.

**"რუსი სამხედროები სროლაში არ მონაწილეობდნენ. აფხაზი სამხედროების სადამკვირვებლო რაზმმა 15-კაციანი ქართული დივერსიული ჯგუფის გადაადგილება შენიშნა. დივერსანტები გალის რაიონიდან საქართველოს მიმართულებით მიდიოდნენ. გაიცა ჯგუფის განადგურების ბრძანება,"** - განმუხურის ინციდენტის ასეთ ვერსიას ავრცელებს დე ფაქტო თავდაცვის მინისტრი მერაბ ქიშმარია.

მისი თქმით, აფხაზმა სამხედროებმა დივერსიულ ჯგუფს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც, წინასწარი მონაცემებით, სამი დივერსანტი მოკლეს. ქიშმარიას განცხადებით, ქართულმა პოლიციამ საპასუხო ცეცხლი განმუხურის პოსტიდან გახსნა...

## შეფასებები

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ეკატერინე ტყეშელაშვილის თქმით, კონფლიქტურ რეგიონებში ჩამოყალიბდა სამწუხარო პრაქტიკა, როდესაც არც ოსური და არც აფხაზური მხარე საშიში პროვოკაციების ორგანიზებას არ ერიდება.

**"მთელი პასუხისმგებლობა რეგიონში შექმნილ მდგომარეობაზე მოსკოვს ეკისრება. რუსეთი არის ოკუპანტი სახელმწიფო და ვალდებულია, მის მიერ უკანონოდ დაკავებულ ტერიტორიებზე ცეცხლის შეწყვეტა და უსაფრთხოება უზრუნველყოს,"** - აღნიშნავს ტყეშელაშვილი.

მისი უწყების მიერ გუშინ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში კი სინანულია გამოთქმული იმის გამო, რომ **„რუსული მხარის მიერ განმუხურის პროვოკაცია განხორციელდა ჟენევაში მოლაპარაკებათა რეალურად პირველი რაუნდის დამთავრების შემდეგ, სადაც აღინიშნა გარკვეული პროგრესი დიალოგის დაწყების თვალსაზრისით."**

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვას ქართველი პოლიტიკოსები "ხელოვნურად გამოწვეულს" უწოდებენ. .

**"რუსები ვითარებას ხელოვნურად ძაბავენ. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა კვლავ დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ამ საქმეში რუსებს სეპარატისტებიც ეხმარებიან. სწორედ ამას ნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტები,"** - აცხადებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი პაატა დავითაია. ამასთან, დეპუტატი განმუხურის ინციდენტს რუსეთის მხრიდან საქართველოს ინტერვენციის ახალი მექანიზმების მზადების დადასტურებად მიიჩნევს და ოფიციალური მოსკოვის წინააღმდეგ "დიპლომატიური ქარიშხლის" დაწყებას ითხოვს.

დავითაიას თქმით, აფხაზეთსა და სამეგრელოში განვითარებული მოვლენები ისეთივეა, როგორ ესკალაციასაც აგვისტოში ცხინვალის რეგიონში ჰქონდა ადგილი.

ოპოზიციონერი დეპუტატი ვარაუდობს, რომ რუსეთი ძირითად შეტევას ენერგოსექტორზე განახორციელებს და ხელისუფლება ამ მხრივ მობილიზებული უნდა იყოს. შექმნილი ვითარებიდან გამოსავლად კი დავითაია საერთაშორისო საზოგადოების მყისიერ ინფორმირებას და რეაგირებას ასახელებს.

განმუხურში განხორციელებულ პროვოკაციულ ქმედებას "რუსული აგრესიის გაგრძელებად" აფასებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხიაც. მისი შეფასებით, **"რუსული აგრესია მანამ არ შეწყდება, სანამ არ შეიქმნება კონფლიქტის მოგვარების სრულყოფილი ფორმატი და ევროკავშირის დამკვირვებლებს არ მიეცემათ კონფლიქტის ზონებში მუშაობის საშუალება."** მალაშხიას აზრით, ასევე აუცილებელია კონფლიქტის რეგიონებში პოლიციის შესაბამისი სტრუქტურების შეყვანა.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი განმუხურის გუშინდელ მოვლენებს და ზოგადად, კონფლიქტურ ზონებში სიტუაციის დაძაბვას, ნატო-ს დეკემბრის მინისტერიალის მოახლოებას უკავშირებს და მიაჩნია, რომ **"რუსეთი საქართველოს პროვოკაციაში ჩათრევას ცდილობს"**.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ პეტრე ცისკარიშვილის აზრით, რუსების მიერ მოწყობილი პროვოკაციები მიზნად ისახავს საერთაშორისო აზრის შექმნას, თითქოს საქართველოში მშვიდობა ჯერ არ დამყარებულა, კრიზისული ვითარებაა და ადგილი აქვს შეტაკებებს.

განმუხურში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, რუსეთის მხრიდან ახალი აგრესიის საფრთხეს არც საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა ჟვანია გამორიცხავს, თუმცა იმედოვნებს, რომ საერთაშორისო საზოგადოება მოსკოვს ამის საშუალებას არ მისცემს.

# პოლიტიკური პარტიების დაფინანსება იზრდება

პოლიტიკური პარტიების დაფინანსება 75 პროცენტით გაიზრდება. ამის შესახებ ანტიკრიზისული საბჭოს ხელმძღვანელმა გია თორთლაძემ განაცხადა, რომელიც საბჭოს წევრებთან ერთად გუშინ პარლამენტში პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსების ბოლო დეტალებს ათანხმებდა.

აღნიშნულ საკითხზე მუშაობა ანტიკრიზისულმა საბჭომ პრაქტიკულად დაასრულა.

როგორც თორთლაძემ განაცხადა, საბიუჯეტო დაფინანსება აღუდგება ყველა იმ პარტიას, რომელმაც საარჩევნო ბარიერი გადალახა, მაგრამ პარლამენტში შესვლაზე უარი თქვა.

პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსებაში სიახლეც არის. კერძოდ, პარტიების სამი კომპონენტისგან შემდგარ დაფინანსებას კიდევ ერთი კომპონენტი დაემატება: პარტიები ფულს სპეციალურად შექმნილი ფონდიდანაც მიიღებენ.

"პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების აღდგენის გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. შენარჩუნდება დაფინანსების სამივე კომპონენტი: საბაზისო, რომელიც 25 პროცენტით გაიზრდება, ამომრჩეველთა ხმებისა და საპარლამენტო მანდატების მიხედვით განსაზღვრული დაფინანსება, რომელთაც მეოთხე კომპონენტი – ფონდის დაფინანსება დაემატება. ეს ხელს შეუწყობს საქართველოში პოლიტიკური დონის ამაღლებას," - განუცხადა ჟურნალისტებს თორთლაძემ და აქვე განმარტა, რომ თავად ფონდს საერთაშორისო ფონდები დააფინანსებენ.

ცნობისათვის - რიგი ოპოზიციური პარტიებისთვის საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტის გადაწყვეტილება 2008 წლის მოწვევის პარლამენტმა პირველივე სხდომებზე მიიღო. "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" კანონში ცვლილება შევიდა, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუწყდა ყველა იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელთა წევრებმაც საპარლამენტო მანდატებზე უარი თქვეს და პარლამენტის შემადგენლობა დატოვეს. აღნიშნული ცვლილება იმ პოლიტიკურ პარტიებსაც ეხება, რომელთა წევრები თავად პარტიის შემადგენლობას ტოვებენ.

კანონმდებლობის მოქმედი ნორმით, ყველა ის პარტია, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებზე 4-პროცენტიანი ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე 3-პროცენტიანი ბარიერი გადალახა, საბაზისო დაფინანსებას ბიუჯეტიდან 150 ათასი ლარის ოდენობით იღებს. 150 ათასს ემატება დაფინანსების კიდევ ორი კომპონენტი, რომლებიც განსაზღვრულია ამომრჩეველთა მხრიდან მიღებული ხმების პროპორციულად და საპარლამენტო მანდატების რაოდენობის მიხედვით.

*საკუთარი ინფორმაცია*

## იაპონური დახმარება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და იაპონიის ელჩმა მასამიცუ ოკიმ მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოში ახალი ამბულატორია გახსნეს.

ამბულატორიის გახსნას ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა დეკანოიძეც ესწრებოდნენ.

"ყიზილაჯლოს ამბულატორიის მშენებლობა და ინვენტარით აღჭურვა იაპონიის მთავრობამ დააფინანსა. ამბულატორია თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება და იქ პირველად სამედიცინო დახმარებას არა მხოლოდ ყიზილაჯლოს მცხოვრებლებს, არამედ მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობასაც გაუწევენ," - განაცხადა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

იაპონიის მთავრობის დაფინანსებით დღემდე საქართველოში ჯანდაცვის, განათლების, სოციალური და სოფლის მეურნეობის სფეროში 82 პროექტი განხორციელდა. სოფელ ყიზილაჯლოს ამბულატორიის მშენებლობისთვის კი იაპონიის მთავრობამ 81 ათასი დოლარი გამოყო. ყიზილაჯროს მოსახლეობის ძირითად ნაწილს აზერბაიჯანელები წარმოადგენენ. სულ სოფელში 9000 მოსახლე ცხოვრობს.

როგორც იაპონიის ელჩმა განაცხადა, იაპონიის მთავრობა ამ მიმართულებით პროექტებს მომავალშიც განახორციელებს.

*საკუთარი ინფორმაცია*

## შედეგიანი პროტესტი

ფოთის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სავაჭრო დახლები გარემოვაჭრეებს კიდევ სამი თვით შეუნარჩუნდებათ.

ეს გადაწყვეტილება ადგილობრივმა ხელისუფლებამ გარემოვაჭრეების პროტესტის შემდეგ მიიღო.

როგორც "პირველს" ფოთის ზედამხედველობის სამსახურიდან აცნობეს, ჯერჯერობით ვერ მოიძებნა შესაბამისი ფართი გარემოვაჭრეების გადასაყვანად.

"ორ-სამ თვეში ახალი სავაჭრო ცენტრის მშენებლობა დასრულდება, რის შემდეგაც გარემოვაჭრეების გადაყვანა შესაძლებელი გახდება. მანამდე ყველა გარემოვაჭრე ძველ ადგილზე გააგრძელებს ვაჭრობას," - განაცხადა ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ზაალ კუჭუხიძემ.

ცნობისათვის - სამი დღის წინ, გვიან ღამით, ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ფოთელ გარემოვაჭრეებს დახლები დაურბიეს, რასაც მათი პროტესტი მოჰყვა.

*პირველი*

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის პარლამენტი ინოვაციას ამზადებს

პარლამენტის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაერო-ს კონვენციასთან მიერთების საკითხზე მუშაობს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაერო-ს 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციას საქართველო დღემდე არ მიერთებია.

სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიის ასაკით პენსიონერთა მინიმალურ პენსიასთან გათანაბრების თემაც გახმიანდა. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობას კატეგორია შეეცვლება და გადასახადების გადამხდელთა კატეგორიაში გადაინაცვლებს. ცვლილება მთავრობის მიერ შემუშავებული "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის" საფუძველზე განხორციელდება. კონცეფციის მთავარი მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, მის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული კონცეფციის პროექტი გუშინ პარლამენტის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განიხილეს.

*საკუთარი ინფორმაცია*

## შობადობისა და ქორწინების მაჩვენებელი გაზრდილია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში მიმდინარე წლის ათ თვეში 47 093 ახალშობილის დაბადება დარეგისტრირდა. ეს მაჩვენებელი, 2007 წელთან შედარებით, რამდენიმე ათასით გაიზარდა. შარშან ამ პერიოდში 41 ათასამდე ბავშვის დაბადება იყო აღრიცხული. 2008 წელს მოიმატა რეგისტრირებული ქორწინების რიცხვმაც. 10 თვეში სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებსა და ქორწინების სახლებში 25 908 ქორწინება დარეგისტრირდა (2007 წელთან შედარებით, 4 ათასით მეტი).

*ჯი-ეიჩ-ენი*

## სატესტო ინტერნეტი

ფოთი-ვარნას ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მეშვეობით ინტერნეტი ქართველ მომხმარებლებს სატესტო რეჟიმში უკვე მიეწოდება.

როგორც "ინტერპრესნიუსს" "კავკასუს ონლაინის" პრესსამსახურში განუცხადეს, ხაზის ოფიციალური პრეზენტაცია 25 ნოემბერს გაიმართება.

ძველი კაბელიდან ახალზე გადართვითი სამუშაოების გამო, "კავკასუს ონლაინის" აბონენტებს გლობალური ინტერნეტით სარგებლობა გუშინ შეზღუდული ჰქონდათ.

კომპანიის ახალი სატარიფო პოლიტიკა, სავარაუდოდ, მომავალ კვირას გახდება ცნობილი. ფოთი-ვარნას ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზის ღირებულება 75 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. მისი გამტარუნარიანობა წამში 1,3 ტერაბიტი იქნება, რაც არა მარტო საქართველოს, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნებისთვისაც საკმარისი რესურსია.

*ინტერპრესნიუსი*

"პატარა საჭადრაკო დაფა"

სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტმა დაიწყო პუბლიკაციების სერია, რომელსაც, 24 საათის დახმარებით, "პატარა საჭადრაკო დაფის" რუბრიკით ვთავაზობთ მკითხველს. სერიის მიზანია, რომ თვალი მიადევნოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს და სტრატეგიული ანალიზი მიაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს. სამხრეთ კავკასიაში უკანასკნელ დროს ისეთი მოვლენები განვითარდა, რაც სასწრაფო გააზრებას მოითხოვს და სწორედ ამ თემას მიეძღვნება "პატარა საჭადრაკო დაფის" სერიით შემოთავაზებული მიმოხილვები. უშუალოდ სამხრეთ კავკასიის გარდა, ჩვენ შევეცდებით, ყურადღება მივადევნოთ იმ მოვლენებს, რომლებსაც აქვთ პოტენცია, რომ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაზე გავლენა მოახდინონ. იმედი გვაქვს, რომ ამით საქართველოსა და კავკასიის მშვიდობისა და განვითარების საქმეში გარკვეულ წვლილს შევიტანთ. პუბლიკაციების სრული ვერსიები, რომლებიც აღჭურვილია გამოყენებული წყაროების ჩამონათვალით, შესაბამისი რუკებითა და დიაგრამებით, ხელმისაწვდომია სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მიმოხილვების სერიაში მონაწილეობა ნებისმიერ დაინტერესებულ ექსპერტს შეუძლია. ინტერესის შემთხვევაში დაუკავშირდით სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტს (www.stand.ge).

# რუსეთი და კავკასია აგვისტოს შემდეგ

ანდრო ბარნოვი
*სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტი*

**1. შელახული იმიჯის აღდგენა ყველაზე თვალშისაცემი, მაგრამ ყველაზე ზედაპირული მონაგებია რუსეთისთვის. აგვისტოში გამოვლენილი შეუპოვრობით რუსეთმა ძველი პარტნიორების სიმპათია დაიბრუნა და ახალ რუსულ დიპლომატიას გაუხსნა გზა.**

აგვისტოს კამპანიის გამო ლამის მთელი მსოფლიო რუსეთის შელახულ იმიჯზე ალაპარაკდა, მაგრამ მოსკოვს სულ სხვა იმიჯი აინტერესებს. რაც კრემლს რეალურად აწუხებს, ეს არის ისეთი სუსტი ქვეყნის იმიჯი, რომელსაც შეიძლება არც გაუწიო ანგარიში. ბოლო წლების განმავლობაში გაზრდილმა ეკონომიკამ რუსეთის ეს იმიჯი ვერ გამოასწორა. დასავლეთის სახელმწიფოები მოსკოვს ისევ გვერდს უქცევდნენ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას, რაც ბელგრადის დაბომბვით, კოსოვოს კონფლიქტში რუსეთის მედიატორობის რეალური დაუშვებლობით, ნატოს გაფართოებით და, უკანასკნელად, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებით მრავალგზის დამტკიცდა. კრემლს თითქოს ხმა არ ყოფნიდა, რომ მისი გაფრთხილებებისა და პრეტენზიებისაკენ სათანადო ყურადღება მიეპყრო. ეს ძალიან საშიში სიტუაცია იყო რუსეთისთვის, რადგან დღის წესრიგში საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღება დადგა, რაც მოსკოვისთვის არა მხოლოდ არასასურველი, არამედ დამღუპველი შედეგის მომტანი იქნებოდა. საქართველოში ჩატარებული კამპანიით მოსკოვმა დასახულ შეზღუდულ მიზანს მიაღწია და ახლა არათუ მის ხმას, თითის განძრევასაც კი დიდი ყურადღებით ეკიდებიან. ამას გარდა, რუსეთისკენ აქტიურად დაიწყეს ყურება ძველმა პარტნიორებმა და აგვისტოს ერთი შეხედვით მოკრძალებული კამპანიის შედეგად რუსეთი აღმავალ ტალღაზე შედგა. ცალკე საკითხია, თუ რამდენად მოახერხებს მოსკოვი ამ დინამიკის შენარჩუნებას, მაგრამ ცხადი ისაა, რომ აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთი სუსტ სახელმწიფოდ აღარ აღიქმება, რაც რუსულ დიპლომატიას ახალ შესაძლებლობებს უხსნის.

**2. აგვისტოს ომის შედეგად რუსეთმა რამდენიმე დღეში მოიგო ისეთი პოზიციები, რასაც წლების განმავლობაში შეინარჩუნებს. მოკლევადიან პერსპექტივაში რუსეთმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პროცესი შეაჩერა.**

კავკასიაში რუსეთს აქვს ძალიან ბევრი ლეგიტიმური ინტერესი, კერძოდ კი ის ინტერესები, რაც რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოებას უკავშირდება. ასეთთა შორის უპირველესია საქართველოს ნატოში შესვლის პერსპექტივის მიუღებლობა რუსეთის მიერ. ეს იმდენად არასასურველი მოვლენაა მოსკოვისთვის, რომ, თუ შესაბამისი ძალა იგრძნო, კრემლი არაფერზე დაიხევს უკან. ამას გარდა, ალბათ იმასაც უნდა დავაკვირდეთ, რომ 16 წლის წინანდელი დათმობების მიუხედავად რუსეთი ისევ წინ მოიწევს. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ცნობილი გეოპოლიტიკური თეორიები მხოლოდ თეორიები არ არის და კავკასია რუსეთის მუდმივი ინტერესების არეალში შედის.

რუსეთის უსაფრთხოების გარანტიები განუყოფლად უკავშირდება ნატოს გაფართოებას და ამ ჭრილში, უკრაინის ზომებისა და ძალიან მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობის მიუხედავად, მოკლევადიან სტრატეგიაში კავკასია მაინც უფრო მნიშვნელოვანია რუსეთისთვის. საქმე ისაა, რომ კავკასიის კონტროლი პირდაპირ უკავშირდება სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევრაზიაში რუსეთის გავლენის საკითხს, ამ კონტროლის დაკარგვა კი რუსეთის გარდაუვალ გალატაკებას და დაშლას მოასწავებს. ამიტომ, რუსეთი მანამ იბრძოლებს კავკასიისათვის, ვიდრე პირში სული უდგას. კავკასია რუსეთის ინტერესებში დარჩება იმის მიუხედავად, თუ როგორ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება რუსეთი, უკრაინის კონტროლი კი უფრო მეტად იმპერიული რუსეთის ინტერესია. კავკასიის კონტროლი რუსეთისთვის ნიშნავს როგორც შავ ზღვაზე გასასვლელს, ასევე - კასპიისა და ტრანსკასპიური რესურსების კონტროლს. ამასთან, სამხრეთ კავკასიის კონტროლი რუსეთისთვის ჩრდილო კავკასიის გასაღებიცაა. კავკასიაში ნატოს შემოსვლა რუსეთისთვის სწორედ იმიტომაა ასეთი მტკივნეული, რომ ამ შემთხვევაში მოსკოვი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პერსპექტივას ემშვიდობება, რაც ავტომატურად ნიშნავს ევროპის ალტერნატიული ენერგო-მომარაგების შესაძლებლობებს, რუსეთის ენერგორესურსების მიმართ ევროპელთა ინტერესის შესაბამის გაციებას, რუსეთის გარდაუვალ ეკონომიკურ კრიზისს, რუსეთის ავტონომიური ერთეულების გაზრდილ უკმაყოფილებას და, საბოლოოდ, რუსეთის დაშლას, მით უმეტეს, რომ რუსეთის უკიდეგანო საზღვრების გასწვრივ გაჩნდება არაერთი ახალი მიზიდულობის ცენტრი, რომლებიც ფედერაციის დღევანდელ ტერიტორიებს ერთი ამოსუნთქვით გადაყლაპავს.

აგვისტოს მოვლენების შედეგად რუსეთმა კავკასია გადმოლახა და თბილისიდან 20 კილომეტრში დააყენა მნიშვნელოვანი მოცულობის ჯარი, მძიმე ტექნიკა და საზენიტო ქვემეხები. ეს გარემოება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხი პრაქტიკულად მოხსნა დღის წესრიგიდან. ამას გარდა, რუსეთმა ნავთობსადენიდან 15 მეტრში ჩამოყარა კასეტური ბომბები და ღიად დაემუქრა პროექტს, რომელშიც უზარმაზარი დასავლური კაპიტალია დაბანდებული. ამას გარდა, რუსეთმა მსოფლიოს დაანახა, რომ მას შეუძლია გააკეთოს ის, რაც საჭიროდ მიაჩნია და ამაში ვერავინ შეეწინააღმდეგება. რუსეთმა აიძულა აზერბაიჯანიც, თურქმენეთიც და ყაზახეთიც, რომ ეჭვ-ქვეშ დაეყენებინათ დასავლეთთან პარტნიორობის პერსპექტივები და ამით პირდაპირი საფრთხე შეუქმნა ძნაბუკოს" პროექტს, რომელმაც თეორიულად ევროპის რუსეთზე ენერგო-დამოკიდებლობა უნდა დაასრულოს. რუსეთმა დაანახა ევროპას, რომ მას მზად აქვს გეგმები უკრაინისა და მოლდოვას საბოლოოდ დასამორჩილებლადაც და თუ ამას ჯერ არ აკეთებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპასთან კონსტრუქციული ურთიერთობების გაგრძელების მომხრეა.

**3. აგვისტოს შემდეგ გამოიკვეთა რუსეთის სტრატეგია ევროპის მიმართ. ევროპის მიმართ რუსეთს ორი ძირითადი მიზანი ამოძრავებს - (1) მოსპოს ევროპის ენერგომომარაგების ყოველგვარი ალტერნატივა რუსული მარშრუტების გარდა, და (2) შეასუსტოს აშშ-ს გავლენა ევროპაში.**

ეჭვგარეშეა, რომ რუსეთს მართლაც ძალიან სჭირდება ევროპა. სჭირდება მისი მდიდარი ბაზარი საკუთარი ნავთობისა და ბუნებრივი აირისათვის, სჭირდება ინვესტიციები, განათლება და ა.შ. რუსეთი იმედოვნებს, რომ მას შეუძლია ევროპას უალტერნატივო ენერგია შესთავაზოს და ისეთი პარტნიორობა ჩამოაყალიბოს, რომელიც რუსეთის ევრაზიულ ჰეგემონიას უეჭველს გახდის.

ამის მიუხედავად, რუსეთს ისიც ესმის, რომ ევროპა ასეთ არჩევანს არ და ვერ დათანხმდება მრავალი ფაქტორის გამო, რომელთა შორისაა ევროპაზე აშშ-ს ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა, ძძველი ევროპის" უნდობლობა რუსეთის მიმართ, ევროკავშირის რთული კონფიგურაცია და აქ რუსეთის მიმართ ძმტრულად" განწყობილი ქვეყნების ყოფნა (პოლონეთი, ბალტიისპირა სახელმწიფოები, ჩეხეთი, ფინეთი და ა.შ.). ამიტომ, მოსკოვი ცდილობს, რომ ძშერჩევით" იმოქმედოს და ევროკავშირი ერთიან სივრცედ არ აღიქვას. ამ ძშერჩევითი" სტრატეგიის მიზანი კი ევროპის დაყოლიებაა ისეთ სტრატეგიულ თანამშრომლობაზე, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ევრაზიაში აშშ-ს როლის მნიშვნელოვან დაკნინებას გულისხმობს. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთი რამდენიმე ხერხს იყენებს: ერთის მხრივ, ენერგო-ბერკეტების გამოყენებით მუქარას უქმნის ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას; მეორეს მხრივ, სამხედრო ძალის დემონსტრირებით ცდილობს ამ ქვეყნებს შეუქმნას დაუყოვნებლივი გადაუდებლობის განცდა და გადაწყვეტილებები ზეწოლის რეჟიმში მიაღებინოს; ასევე, ცდილობს ჩამოაყალიბოს ისეთი დისკურსი, რომელიც პოტენციურ პარტნიორებს ნათელ წარმოდგენას შეუქმნიდა რუსეთის მოსალოდნელ ქცევაზე და მათ გარკვეული სტაბილურობის განცდას ჩამოუყალიბებდა.

ამის გარდა, რუსეთი გეოსტრატეგიასაც მიმართავს და ძველი გეოპოლიტიკური თამაშის წამოწყებას ცდილობს. მოსკოვს სურს, რომ მჭიდრო პარტნიორობა გააფორმოს ამერიკის ყველაზე სასურველ მოკავშირესთან ევროპაში, გერმანიასთან, ამ გზით აღკვეთოს აშშ-ს გავლენის კიდევ უფრო გაძლიერება ევროპაში, დაუპირისპირდეს საფრანგეთის მნიშვნელობის ზრდას ევროპაში, გაყოს ევროპა ორ ნაწილად გერმანია-იტალიის ღერძზე და დაიბრუნოს სასურველი გავლენა როგორც აღმოსავლეთ, ისე ცენტრალურ ევროპაზე.

**4. რუსეთ-საქართველოს ომში სუსტი პოზიციის გამო აშშ-ს იმიჯი მნიშვნელოვნად შეირყა, მაგრამ ვაშინგტონს ბევრი შესაძლებლობა აქვს, რომ თამაშში ისევ ძლიერად ჩაერთოს. ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აშშ-ს პოზიციების შესუსტება დროებითია.**

აგვისტოს მოვლენებზე საკადრისი პასუხის გაუცემლობის გამო აშშ-ს პოზიციები შეერყა არა მარტო კავკასიაში, არამედ - ევროპასა და აზიაშიც. ბევრი ქვეყანა, რომელიც აქამდე აშშ-ს პარტიორად მიჩნეოდა, ახლა იძულებული გახდა, რომ უფრო რეალურად შეეფასებინა მოვლენები და შესაბამისი სასწრაფო დასკვნებიც გამოეტანა. დასავლეთმა იმდენად მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ხელ-ფეხ შეკრული იყო, რომ პირველ დღეებში სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, რუსეთის მოქალაქეების უნივერსიტეტებიდან გამოყრას იმუქრებოდნენ, რაც ქართველებისთვის შემძრწუნებლად, რუსებისთვის კი სასაცილოდ გამოიყურებოდა. მაგრამ როგორც კი პირველივე რუსული გაზსადენი 3-4 დღით რემონტზე დადგა, ევროპასაც და თურქეთსაც გაახსენდათ, რომ მათი ენერგეტიკის ნახევარზე მეტი რუსეთზეა მიბმული, რომ საფრთხის ქვეშ დგება წლების განმავლობაში გაწეული მილიარდიანი ინვესტიციები, რომ ნატოს ბალტიისპირელ წევრებს ვერაფრით იცავენ და მთელი ახალი ევროპული არქიტექტურა საფრთხის წინაშე დგება, აშშ კი ამას ვერაფერს უპირისპირებს. ამიტომაც, ვნებათაღელვები მალევე მიცხრა და იმის იმედით, რომ დროთა განმავლობაში რაიმე გასაღებს მოუძებნიდნენ შექმნილ სიტუაციას, ყველამ რუსეთთან მოლაპარაკება არჩია. აშშ-ს ერთპიროვნული ლიდერობა ეჭვ-ქვეშ დააყენა პრაქტიკულად ყველა პარტნიორმა და ეს განწყობა კიდევ უფრო გამძაფრდა აშშ-ში დაწყებული ფინანსური კრიზისის გამო, რომელმაც ევროპისა და აზიის პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ჩაითრია. გერმანიის ფინანსთა მინისტრის განცხადება, რომ აშშ-ს ფინანსური ჰეგემონია დასრულდა და ამის შემდეგ მსოფლიოს ფინანსური ბაზრები მრავალპოლუსიანი გახდება, რუსეთისა და ირანის ლიდერების განცხადებების გაგრძელებასავით გაისმა, რომლებიც გმობენ მსოფლიოს ერთპოლუსიან მოდელს და მრავალპოლუსიანი წესრიგისაკენ მოუწოდებენ.

მიუხედვად ასეთი განწყობებისა, მსოფლიოში ძალთა ბალანსის თვალსაზრისით სინამდვილეში ბევრი არაფერი შეცვლილა და რაც შეერთებული შტატების იმიჯზე ვთქვით, სავარაუდოდ, რუსეთის მოულოდნელი ქცევით გამოწვეული შოკით განპირობებული დროებითი მოვლენაა. ეს დაახლოებით ფინანსურ ბაზრებზე წარმოქმნილი პანიკის მსგავსი მდგომარეობაა და აშშ-ს გარკვეული ღონისძიებების გატარება მოუწევს, რომ მსოფლიოს მისი ძლიერების ურყევობის რწმენა დაუბრუნოს და პანიკა დააცხროს. ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ მოკლევადიან პერიოდში რუსეთმა ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია, მან აჩვენა ძმერყევ" ქვეყნებს, რომ ამერიკას არ შეუძლია რაიმე დაუპირისპიროს რუსეთს და ბუნებრივია, რომ სანამ აშშ რამეს მოახერხებს, რუსეთი შეეცდება კიდევ უფრო გაიმყაროს ეს პოზიციები.

**5. აგვისტოს შემდეგ შეიცვალა აზერბაიჯანის ქცევაც. აშშ-ს გავლენის შესაძლო შესუსტების შიშით აზერბაიჯანი ფრთხილ პოლიტიკას აძლევს უპირატესობას, მაგრამ ის მაინც თურქეთის ყველაზე მნიშვნელოვან მოკავშირედ დარჩება კავკასიაში.**

აშშ, რომლის გავლენა და მეგობრობა საქართველოსა და აზერბაიჯანთან მანამდე არავის დაუყენებია ეჭვ-ქვეშ, უცბად იმდენად საშიში პარტნიორი გახდა ალიევისთვის, რომ კონფლიქტიდან რამდენიმე დღეში ბაქოში ჩასულ დიკ ჩეინის აეროპორტშიც არ დახვდა და საღამომდე უშინაარსო შეხვედრებზე ატარა, შემდეგ კი მცირე ხნით შეხვდა და ნაბუკოს პროექტში მონაწილეობაზე ცივად ესაუბრა, ხოლო შეხვედრის დამთავრებისთანავე სასწრაფოდ დაურეკა დიმიტრი მედვედევს და საუბრის დეტალები გააცნო. ჩეინი იმდენად განაწყენებული დარჩა ამ შეხვედრით, რომ მის პატივსაცემად გამართულ სადილს არ დაესწრო და სასწრაფოდ დასტოვა აზერბაჯანი.

საინტერესოა, რომ ამ ინციდენტის მიუხედავად, საპრეზიდენტო არჩევნებში ალიევის 89%-იან შედეგს ოფიციალურმა აშშ-მ ძგაუმჯობესებული არჩევნები" უწოდა და სახელმწიფო მდივნის ერთ-ერთმა თანაშემწემ ალიევს მიულოცა კიდეც ეს გამარჯვება. შესაძლოა, ბევრმა ეს სიტუაცია აშშ-ს დაკნინების საბუთად მიიღოს, მაგრამ სინამდვილეში ეს ნიშნავს, რომ აშშ კავკასიაში ინტერესს ინარჩუნებს და მზადაა პარტნიორობის გასაგრძელებლად.

ევროპის მსგავსად, აზერბაიჯანი გრძნობს, რომ აშშ-ს გავლენის შესუსტების შემთხვევაში რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლობა მას ძვირად დაუჯდება. მაგრამ აზერბაიჯანის საქმე გაცილებით უფრო რთულადაა, რადგან თუ რუსეთი საქართველოს კონტროლს მოახერხებს, მაშინ აზერბაიჯანი სრულიად იზოლირებული რჩება გარესამყაროსაგან და ნავთობის გაყიდვა ძირითადად რუსეთის გავლით მოუწევს, ეს კი მინიმუმ რუსეთის მიერ ფასის კონტროლს და გადაყიდვაში წართმეულ პროცენტებს ნიშნავს, რომ აღარაფერი ვთვათ აზერბაიჯანის სტრატეგიული რესურსის უცხო სახელმწიფოსთვის ხელში ჩაგდებაზე. ამიტომ გასაგებია, რომ ალიევი მაქსიმალურ სიფრთხილეს იჩენს და რუსეთის გაღიზიანებას ერიდება.

**6. აგვისტოს მოვლენებმა გავლენა მოახდინა სომხეთის ქცევაზეც. სომხეთი აშშ-ს სტრატეგიულ მოკავშირედ არასდროს ითვლებოდა და მას ქცევა დიდად არ შეუცვლია, თუმცა თვალშისაცემი განსხვავებები აქაც სახეზეა, რაც, პირველ რიგში, თურქეთის დამოუკიდებელი პოლიტიკის შესაძლო გაძლიერების მოლოდინითაა განპირობებული.**

რუსეთ-საქართველოს ომიდან რამდენიმე დღეში თურქეთის პრეზიდენტი მისმა სომეხმა კოლეგამ ერევანში მიიწვია სომხეთისა და თურქეთის საფეხბურთო ნაკრებების თამაშზე დასასწრებად. ამის შემდეგ რამდენიმე დღეში, აგვისტოს შუა რიცხვებში ანკარამ გაახმოვანა ძკავკასიის სტაბილურობისა და განვითარების პლატფორმა" და ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაზე ალაპარაკდა. ერევანი მოლაპარაკებებზე უარს არ ამბობს, მაგრამ საკითხის გადაწყვეტაში რაიმე წინსვლაც არ შეინიშნება. თავად სომეხი ექსპერტები პლატფორმას უპერსპექტივოს უწოდებენ.

ერევნის პოლიტიკის მეორე თვალშისაცემი ნიშანი იყო მისი პრინციპული უარი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. ასევე, რუსეთის ჯარის მიერ გიუმრის სამხედრო ბაზის გამოყენების რამდენიმეგზის დემონსტრაციული უარყოფა. ეს ნაბიჯები მოასწავებს, რომ ერთის მხრივ, მოსკოვი სათანადო ზეწოლას ვერ ახდენს ერევანზე, მეორეს მხრივ კი - რომ სომხეთი კავკასიურ პოლიტიკაში დიდი ცვლილებების მოლოდინშია, თუმცა გრძელვადიან სტაბილურობას მხარს უჭერს და გარკვეულ დათმობებზეც იქნება თანახმა.

*მომდევნო სტატია:*
*თურქეთი აგვისტოს შემდეგ*

# „სასამართლო პროცესი, რომელზეც პუტინის რეპუტაციას ასამართლებენ"

*მოსკოვის საოლქო სამხედრო სასამართლო, რომელიც ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეს განიხილავს, სკანდალის ობიექტი გახდა. ერთ-ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა საკუთარ კანდიდატურას აცილება მისცა და განაცხადა, რომ ნაფიც მსაჯულებს პროცესის დახურვა არ მოუთხოვიათ.*



*ევგენი კოლესოვმა საკუთარ კანდიდატურას აცილება მისცა.*

საქმე ისაა, რომ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის განხილველი სხდომის თავმჯდომარე ევგენი ზუბოვმა რამდენიმე დღის წინ მიღებული გადაწყვეტილება, პროცესის საჯაროდ ჩატარების თაობაზე, გუშინწინ შეცვალა. მოსამართლემ მორიგი გადაწყვეტილება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ცნობილი ჟურნალისტის მკვლელობის საქმის განხილვა დახურულ რეჟიმში ჩატარდებოდა. მოსამართლემ განმარტა, რომ ნაფიც მსაჯულებს პრესის წარმომადგენლების ეშინიათ, სხდომათა დარბაზში არ გამოდიან, რის გამოც, მათი მოთხოვნით, პროცესი უნდა დაიხუროს.

გუშინ ერთ-ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა ევგენი კოლესოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პროცესის დახურვა მათ არ მოუთხოვიათ.

**"სხდომის დაწყებამდე მოსამართლის თანაშემწემ მოგვიტანა განცხადება, სადაც ეწერა, რომ არ გვსურდა პროცესს ჟურნალისტები დასწრებოდნენ, რადგანაც, მათი გვეშინოდა. ინიციატივა, რომ პროცესი ამ მიზეზით დახურულიყო ჩვენგან არ წამოსულა და განცხადებაზე ხელი არ მოვაწერეთ. შევთანხმდით, რომ თუ ჟურნალისტები ხელს შეგვიშლიდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებდით ასეთ რადიკალურ გადაწყვეტილებას,"** – განაცხადა ნაფიცმა მსაჯულმა, რომლის თქმითაც, მან რადიოთი მოისმინა პროცესის დახურვის თაობაზე ინფორმაცია, რაც მისთვის შოკი იყო.

**"ჩვენ სულელურ სიტუაციაში ჩაგვაყენეს, განაცხადეს, რომ გვეშინია პრესის. ეს წარმოუდგენელი ფაქტია. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის შემადგენლობა მომხდარს აპროტესტებს,"** – განაცხადა კოლესოვმა. მისივე ინფორმაციით, ნაფიცმა მსაჯულებმა მომხდართან დაკავშირებით უკვე მიმართეს მოსამართლეს და კატეგორიულად მოითხოვეს, რომ პრესის წარმომადგენლები პროცესზე დაუშვან. პირადად კოლესოვმა კი, საკუთარ კანდიდატურას აცილება მისცა.

**"არ მსურს უსამართლო პროცესის მონაწილე გავხდე. პატარა ტყუილს დიდი მოსდევს, ამიტომაც, ამ პროცესში მონაწილეობას არ მივიღებ,"** - განაცხადა კოლესოვმა.

პროცესის დახურვის თაობაზე მოსამართლის გადაწყვეტილებამ ბრალდებულთა და დაზარალებულთა ადვოკატების უკმაყოფილება გამოიწვია. ერთ-ერთი განსასჯელის ადვოკატ მურად მუსაევის განცხადებით, მოსამართლის გადაწყვეტილება უარგუმენტოა, რადგან მას ნაფიც მსაჯულებზე განხორციელებული ზეწოლის მცდელობის დამადასტურებელი არც ერთი ფაქტი არ დაუსახელებია.

**"გარდა ამისა, დარბაზში ფოტო და ტელეკამერები არ არის, რაც ნაფიც მსაჯულებს დისკომფორტს შეუქმნიდა,"** – განაცხადა ადვოკატმა.

მოსამართლის გადაწყვეტილება პოლიტკოვსკაიას ოჯახის ადვოკატმა კარინა მოსკალენკომ გააპროტესტა. მისი განცხადებით, ნაფიც მსაჯულებს ფიცის დადებისას პრეტენზიები არ გამოუთქვამთ და მათთვის ჟურნალისტებს ხელი არ შეუშლიათ.

**"ნაფიცი მსაჯულები საზოგადოების წარმომადგენლები არიან და მათ თავისი ხალხის და პრესის არ უნდა ეშინოდეთ. სასამართლოს მოტივი არ გააჩნია, პრესა დარბაზიდან გააძევოს, რომელიც ცნობილი ჟურნალისტის მკვლელობის დეტალებითაა დაინტერესებული,"** – განაცხადა ადვოკატმა, რომლის ინფორმაციითაც, სასამართლო პროცესი 1 დეკემბერს გაიმართება, სადაც ისინი ნაფიც მსაჯულთა ამჟამინდელ შემადგენლობას აცილებას მისცემენ.

ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ სამივე განსასჯელმა – სერგეი ხაჯიყურბანოვმა და ძმებმა ჯაბრაილ და იბრაგიმ მახმუდოვებმა - მათთვის წაყენებული ბრალდება კატეგორიულად უარყო. სასამართლოს შენობასთან შეკრებილ ჟურნალისტებს ძმებ მახმუდოვების დედამ ზალპა მახმუდოვამ განუცხადა, რომ მის შვილებს ანა პოლიტკოვსკაია არ მოუკლავთ და რომ ისინი სრულიად უდანაშაულოები არიან.

როგორც განსასჯელთა, ასევე დაზარალებული მხარის ადვოკატები თვლიან, რომ პროკურატურის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნის 90 პროცენტი ვარაუდებზეა აგებული.

ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის სასამართლო პროცესს უცხოურ პრესაში სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა, სადაც თვლიან, რომ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის სასამართლო პროცესი პუტინის რეპუტაციის პროცესია.

**"ეს არ არის ჩვეულებრივი პროცესი. ანა პოლიტკოვსკაია პუტინის ავტორიტარულ რეჟიმსა და ჩეჩნეთის ომს მკაცრად აკრიტიკებდა, ასეთები კი რუსეთში ძალზე ცოტანი არიან. ჟურნალისტი, რომელიც ვლადიმირ პუტინის ხელისუფლების მსხვერპლთა უფლებებს გმირულად იცავდა, შეკვეთილი მკვლელობის მსხვერპლი თავად გახდა. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტი მოკლეს 7 ოქტომბერს, პუტინის დაბადების დღეს,"** – წერს ფრანგული გაზეთი Le Monde.

ბრიტანული გაზეთი The Guardian წერილში, რომლის სათაურიცაა: "განსასჯელის სკამზეა პუტინი" წერს, რომ მიმდინარე პროცესზე არა მარტო მკვლელობის მონაწილეებს, არამედ ვლადიმირ პუტინის რეპუტაციას ასამართლებენ.

**"პუტინმა შექმნა რუსეთი, სადაც ბოლო 10 წლის მანძილზე გაცილებით მეტი ჟურნალისტი მოკლეს, ვიდრე მთლიანად მსოფლიოში დაიღუპა,"** – წერს გაზეთი.

გაზეთი Liberation-ი კი აცხადებს, რომ ჟურნალისტის მკვლელობა რუსეთის თავისუფალი მედიისთვის მძიმე დარტყმა გამოდგა.

**"ახლა უკვე არავინ საუბრობს იმაზე, რა ხდება ჩეჩნეთში, ეს თემა წარმატებულად დაიხურა,"** – წერს გამოცემა, რომელიც ანა პოლიტკოვსკაიას შვილთან – ილია პოლიტკოვსკაიასთან ინტერვიუს აქვეყნებს.

**"აზრი არ აქვს, ბარიკადებზე დადგე იმ ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელსაც საზოგადოების მხარდაჭერა გააჩნია. თუმცა, ანა პოლიტკოვსკაია თვლიდა, რომ ხალხს სიმართლე უნდა სცოდნოდა პუტინის რეჟიმის თაობაზე და მიუხედავად იმისა, რომ მისი საქმიანობა მისი სიცოცხლისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა, მას უკან არასდროს დაუხევია,"** – განუცხადა გაზეთს ილია პოლიტკოვსკაიამ.

The Times აღნიშნავს, რომ განსასჯელის სკამზე არც შემკვეთები და არც ქილერი არ სხედან და გამოცემა შეკითხვას სვამს: **"შეძლებს კი ეს პროცესი, პუტინის მმართველობის დროს მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი მკვლელობა გახსნილად გამოაცხადოს?"**

"ნოვაია გაზეტას" მთავარი რედაქტორი დიმიტრი მურატოვი პროცესის დახურვას სამარცხვინო ფაქტად მიიჩნევს და პირობას დებს, რომ **"პროცესს იმ გაზეთის ფურცლებზე გახსნის, სადაც ანა პოლიტკოვსკაია მუშაობდა."**

საერთაშორისო ორგანიზაცია "ჟურნალისტთა უფლებების დაცვის კომიტეტი" მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ჟურნალისტთა უფლებებს ლახავს. კომიტეტი მოსამართლეს მოუწოდებს, პროცესი გახსნას და სასამართლო დარბაზში ჟურნალისტები დაუშვას.

აღსანიშნავია, რომ "ჟურნალისტთა უფლებების დაცვის კომიტეტმა" ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში, სადაც ყოველწლიურ დაჯილდოების ცერემონიალს მართავს, პრემია - International Press Freedom Awards "ნოვაია გაზეტას" მთავარ რედაქტორს დიმიტრი მურატოვს გადასცა.

**"ეს პრემია მე არ მეკუთვნის. ეს არის ჩვენი გაზეთის იმ ჟურნალისტების ჯილდო, რომლებიც პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს გარდაიცვალნენ. ამ პრემიით, სამწუხაროდ, სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდნენ: იგორ დომნიკოვი, იური შეკოჩიხინი და ანა პოლიტკოვსკაია. ისინი თავისუფალი სიტყვის სიმბოლოდ იქცნენ,"** – განაცხადა დიმიტრი მურატოვმა.

## კახი კალაძე ინფორმაციას უარყოფს

კახი კალაძე გაზეთ "კომერსანტი უკრაინაში" გამოქვეყნებულ ინფორმაციას, თითქოს ფეხბურთელი უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით დაკითხვაზე დაიბარეს, უარყოფს.

როგორც კალაძემ განაცხადა, გაზეთში გამოქვეყნებული სტატია ჟურნალისტების გამოგონილია.

"ეს სტატია ჟურნალისტების გამოგონილია და ყველაფერი ტყუილია," - განაცხადა კახი კალაძემ.

გაზეთი "კომერსანტი უკრაინა" გუშინწინ იუწყებოდა, რომ ვიქტორ იუშჩენკოს მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით უკრაინის გენერალურ პროკურატურაში ჩვენების მისაცემად უკრაინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ანდრეი გუსინი, ანდრეი შევჩენკო და კახი კალაძეც იყვნენ გამოძახებული.

გამოცემის ვერსიით, ამ პირებით გამოძიების დაინტერესება ბიზნესმენ თამაზ ცინცაბაძესთან მეგობრულმა ურთიერთობებმა განაპირობა. თავად ცინცაბაძეს საქმეში მოწმის სტატუსი აქვს, იგი იმ სადილის ერთ-ერთი მონაწილეა, რომელზეც იუშჩენკო მოწამლეს.

*ინტერპრესნიუსი*

## გარდაცვლილი ქართველები სამშობლოში გადმოასვენეს

18 ნოემბერს თურქეთში მომხდარი ავტოავარიის შედეგად გარდაცვლილი ქართველები სამშობლოში გადმოასვენეს. ხათუნა ბახტურიძესთან, ფატიმა ასკეროვთან, ქეთევან წიკლაურთან ერთად, საქართველოში ავტოავარიისას დაღუპული აზერბაიჯანის მოქალაქე ვაგიბ ისმაილოვიც გადმოასვენეს.

საბოლოო მონაცემებით, ავტოსაგზაო შემთხვევისას ავტობუსში სულ 38 ადამიანი იყო. ოთხი მგზავრი გარდაიცვალა, დანარჩენები კი დაშავდნენ. დაშავებულებიდან 30 ადამიანი უკვე საქართველოშია. დანარჩენები მკურნალობას თურქეთში განაგრძობენ.

სტამბოლიდან მომავალი ავტობუსი ართვინში გადაბრუნდა. ავტობუსი თურქულ კომპანია "მაჰმუდ ტურს" ეკუთვნოდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## მკვლელობა ბათუმში

გუშინწინ, გვიან ღამით, ბათუმში ოთხ ახალგაზრდას შორის მომხდარი შელაპარაკება მკვლელობით დასრულდა. 21 წლის ალეკო დიასამიძე, რომელსაც მუცელში ჭრილობა დანით მიაყენეს, საავადმყოფოში გარდაიცვალა. ჩხუბისას კიდევ ორი ახალგაზრდა დაიჭრა.

ინციდენტი ბათუმში ჭავჭავაძისა და ჯაფარიძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე სათამაშო კლუბთან ახლოს ღამის 11 საათზე მოხდა. მომხდარს თვითმხილველები არ ჰყავდა. აქედან გამომდინარე, თავიდან მკვლელის ვინაობა უცნობი იყო.

სათამაშო კლუბის, თანამშრომლების ინფორმაციით, ახალგაზრდებმა ითამაშეს და შემდეგ კლუბის შენობა დატოვეს. თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ ახალგაზრდებს კლუბში შეკამათება არც ერთმანეთთან და არც იქ მყოფ სხვა პირებთან მოსვლიათ.

მომხდარზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის სამხარეო მთავარ სამმართველოში დაიწყო. სამმართველოს თანამშრომლებმა, მოგვიანებით, 1980 წელს დაბადებული გელა თურმანიძე დააკავეს, რომელიც ალეკო დიასამიძის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. დაკავებულმა დანაშაული აღიარა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ავტოავარია ფოთში

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპული პაციენტის ნათესავებმა და ახლობლებმა ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მისაღების მინები დაამტვრიეს.

ფოთში "ოპელისა" და "ფოლკსვაგენის" მარკის ავტომანქანების შეჯახების შედეგად ერთი მოქალაქე, 21 წლის ვეფხია კოკაია საავადმყოფოში მიყვანიდან ათ წუთში გარდაიცვალა.

მისმა ნათესავებმა და ოჯახის წევრებმა საავადმყოფოს მისაღების მინები ჩაამტვრიეს. სამართალდამცველებმა ჭირისუფლების სტაციონარიდან გაყვანა მოახერხეს.

ერთ-ერთ ავტომანქანაში საბერძნეთის მოქალაქე, 27 წლის კოსტა სპირიდონიდი იმყოფებოდა.

საავადმყოფოს ტრავმატოლოგის დაჩი ფოჩხუას განცხადებით, საბერძნეთის მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. იგი ამ წუთებში ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული.

*ინტერპრესნიუსი*

# პროკურატურის მონაცემები ანტიკრიზისულ საბჭოს გადაეცა

*პროკურატურამ პარლამენტის ანტიკრიზისულ საბჭოს გადაუგზავნა სტატისტიკური მონაცემები იმის თაობაზე, თუ რომელი მუხლით გასამართლებულ რამდენ პირს და რა სახით შეეხება ამნისტია. სავარაუდოდ, პარასკევს პარლამენტი ამნისტიის კანონპროექტს მესამე მოსმენით მიიღებს, რის შემდეგაც ის პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეგზავნება.*

პროკურატურის ინფორმაციის მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან სულ 12 081 პირი – მსჯავრდებული და ბრალდებული გათავისუფლდება. მათგან 2000-ზე მეტი საპატიმროს დატოვებს, დანარჩენებს სასჯელი ან გაუნახევრდებათ, ან შეუმსუბუქდებათ.

პროკურატურის სტატისტიკურ ინფორმაციაში იმ პატიმართა სახელები და გვარები, რომელთაც ამნისტია უნდა შეეხოს, რატომღაც მითითებული არ არის.

თუმცა, როგორც ანტიკრიზისული საბჭოს წევრები აცხადებენ, ამნისტირებულთა ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი. მათივე თქმით, ასეთი ფართომასშტაბიანი ამნისტია საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „42-ე მუხლის" თავმჯდომარე მანანა კობახიძე, მართალია, ხელისუფლების ამ ჰუმანურ აქტს მიესალმება, მაგრამ ოფიციალურ მონაცემებს იმასთან დაკავშირებით, რომ ამნისტია 12 ათასზე მეტ ადამიანს შეეხება, ეჭვქვეშ აყენებს.

**„ჩემი აზრით, ეს გაბერილი ციფრია. ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის და ხე-ბუჩქნარის გაჩეხვის ბრალდებით არ მგონია, რომ 12 ათასი პატიმარი იყოს ბრალდებული. იმ მუხლებზეც, რომლებიც ამნისტიის კანონპროექტშია შეტანილი, ძირითადად, საპროცესო შეთანხმებებია გაფორმებული და ამ მუხლებით გასამართლებულები პატიმრობაში არ იმყოფებიან."**

თუმცა, მანანა კობახიძის აზრით, ამნისტიის შესახებ კანონპროექტი პოლიტიკური აქტია და სახელმწიფო თავად წყვეტს, ამნისტიას რომელ დანაშაულს მიუსადაგებს და რომელს - არა.

*საკუთარი ინფორმაცია*

**მწუხარებას გამოვთქვამთ ნოდარ დავითაძის დედის გარდაცვალების გამო.**
**რამინ და მიხეილ დავითაძეები.**

## "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ტრენინგი თელავში

21-22 ნოემბერს თელავში სასტუმრო "რჩეულ მარანში" კახეთის რეგიონში მომუშავე პრაქტიკოსი ადვოკატებისთვის ტრენინგი "როგორ მივმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს" გაიმართება. ტრენინგს პროექტის "საზოგადოების მოთხოვნის გაზრდა უკეთეს კანონმდებლობაზე" კოორდინატორი, ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატი ნინო ელბაქიძე გახსნის.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები და ექსპერტები შეხვედრის მონაწილეებს ისეთ საკითხებს გააცნობენ, როგორიც არის: საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობა, როლი, საქმიანობის მოკლე ანალიზი, სასამართლოსადმი მიმართვის ფორმები და პროცედურები, საქმის წარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა, საქართველოს კონსტიტუციის II თავთან მიღებული გადაწყვეტილებები და ა.შ.

შეხვედრის მონაწილეები სპეციალურ კაზუსს განიხილავენ, რეკომენდაციებს და ურთიერთთანამშრომლობის სამუშაო გეგმას შეიმუშავებენ. აგრეთვე კვლევის "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა და კონსტიტუციური კონტროლი საქართველოში" შედეგების გაცნობა და ანალიზი მოხდება.

ტრენინგი იმართება პროექტის "საზოგადოების მოთხოვნის გაზრდა უკეთეს კანონმდებლობაზე" ფარგლებში, რომელსაც ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" ამერიკული ორგანიზაცია "ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის" (NED) მხარდაჭერით ახორციელებს.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ოქრუაშვილის თანაგუნდელები პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ

ირაკლი ოქრუაშვილის თანაგუნდელები ევროპაში პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ. როგორც "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ განაცხადა, გერმანიაში თავშესაფარს ქიბარ ხალვაში ითხოვს, ჰოლანდიაში კი ასევე ოქრუაშვილის მეგობრის, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ უფროს იასონ ჩიხლაძის თავშესაფრის მინიჭების საკითხი განიხილება.

"ორივე ქვეყანაში შესაბამისი პროცედურები დაწყებულია. ეს ადამიანები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ იმ მიზეზით იდევნებიან, რომ ისინი ოქრუაშვილის მეგობრები არიან. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ მათ მოთხოვნას შესაბამისი უწყებები დადებითად დააკმაყოფილებენ," - განაცხადა ბესელიამ.

პოლიტიკურ თავშესაფარს ოქრუაშვილის კიდევ ერთი თანაგუნდელი, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ ქარელი ითხოვს. მან შესაბამისი მოთხოვნით საფრანგეთის ხელისუფლებას მიმართა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ეჭვმიტანილები და ძებნილები დააკავეს

სამართალდამცველებმა სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი რამდენიმე პირი დააკავეს. შსს-ის პრესსამსახურის ინფორმაციით, 21 წლის დავით ცაავა სამაგრელო-ზემო სვანეთის პოლიციამ ძარცვის ბრალდებით დააკავა, ყაჩაღობის ბრალდებით არის დაკავებული 22 წლის ავთანდილ ღვანიძე, 49 წლის კურბან მახმუდოვი კი თაღლითობის ბრალდებით დააპატიმრეს.

რაც შეეხება 23 წლის თეიმურაზ მირგატიას, 27 წლის ამირან ქერდოყაშვილს და 45 წლის ზურაბ კაპანაძეს, ისინი ქურდობისთვის დააკავეს.

მიმდინარე წლის 10 თვეში კი სამართალდამცველებმა 1933 ძებნილი დააკავეს. შსს-ის სტატისტიკური მონაცემებით, 2008 წლის ოქტომბრის ჩათვლით სულ 5737 პირი იძებნებოდა.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ძებნილთა რაოდენობის მატება შეინიშნება. კერძოდ, 2007 წლის 10 თვეში საგამოძიებო ორგანოების მიერ ძებნა 5595 პირზე გამოცხადდა. ამ პერიოდში სულ 1608 ძებნილის დაკავება მოხერხდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## 10 თვეში ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ბრუნვა

2008 წლის 10 თვეში ქვეყნის მასშტაბით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ბრუნვის 6902 შემთხვევა დაფიქსირდა, რომლის 93,7 პროცენტი (6470) უკვე გახსნილია.

შს სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით, სხვა დანაშაულებთან მიმართებაში გახსნის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ ნარკოტიკულ დანაშაულს უკავშირდება.

რეგისტრირებული 6902 შემთხვევიდან 1709 მძიმე კატეგორიას განეკუთვნება.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ბრუნვის 7400 შემთხვევა აღირიცხა, რომელთაგან 6374 გაიხსნა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# სასამართლოს პასუხი ადვოკატის განცხადებაზე

*"არტი ჯგუფში" შემავალი კომპანიების - "ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" და "პრიზა"-ს ადვოკატებს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, დროებითი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით, სარჩელი შეაქვთ.*



*ადვოკატი დიმიტრი გაბუნია მოსამართლეთა პასუხისმგებლობის დასმას ითხოვს.*

“არტი ჯგუფის" ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას განცხადებით, საქართველოს მთავრობამ, ფინანსთა სამინისტროს ხელშეწყობით და კანონის უხეში დარღვევით, ათეულობით ადმინისტრაციული აქტი გამოსცა, რითიც საკმაოდ სოლიდური აქტივების მქონე საწარმოები მიზანმიმართულად გაანადგურა.

მისი თქმით, უსამართლობის დაკანონებაში ხელისუფლების მესამე შტო - სასამართლო მონაწილეობს.

**„სასამართლო ცდილობს, არა მარტო დააკანონოს შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილება, არამედ გაუგონარი სისწრაფით, საქმის იურიდიული გამოკვლევის გარეშე, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, ატარებს სასამართლო სხდომებს,"** - აცხადებს დიმიტრი გაბუნია, რომლის თქმითაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა უზარმაზარი საქმის განხილვა ერთ თვეში დაასრულეს.

**" ამ საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანა გაუგონარი სისწრაფით მოხდა. დაცვის უფლების რეალურად განხორციელების საშუალება არ მოგვეცა, არადა, ევროკონვენციის მეექვსე მუხლით, ყველას აქვს უფლება, საკუთარი დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დრო და საშუალება ჰქონდეს,"** - განაცხადა ადვოკატმა.

დიმიტრი გაბუნია აცხადებს, რომ ექვს სხდომაზე დაყენებული 12 შუამდგომლობიდან მოსამართლემ არც ერთი არ დააკმაყოფილა, მათ შორის არც მოწმეების გამოცხადების შუამდგომლობა, რის შემდეგაც ადვოკატმა პროტესტის ნიშნად სასამართლო დარბაზი დატოვა. მოსამართლემ კი მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე განიხილა საქმე და გადაწყვეტილებაც მიიღო.

ადვოკატმა იმ მოსამართლეების გვარები დაასახელა, რომლებმაც საქმე "გაუგონარი სისწრაფით" განიხილეს. ადვოკატი მოსამართლეების: ნანა დარასელიას, ილონა თოდუას, მირანდა ერემაძის და მერაბ ლომიძის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მოითხოვს. “არტი ჯგუფის” ადვოკატებმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილს სარჩელებით უკვე მიმართეს.

ადვოკატების პრესკონფერენციის საპასუხოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურმა განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ სასამართლოს მისამართით კიდევ ერთი დაუსაბუთებელი და არასწორი ინფორმაცია გავრცელდა.

“თბილისის საქალაქო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული განცხადება ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებულია და სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებების უსაფუძვლო და არაჯანსაღ კრიტიკას წარმოადგენს. აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში უკანასკნელ პერიოდში შპს "არტისა" და საგადასახადო ორგანოს შორის მიმდინარე ოთხი დავა იქნა განხილული. ორი დავა ამჟამადაც განხილვაშია. საუბარია, შპს "პრიზასა" და საგადასახადო ორგანოს შორის მიმდინარე სამ დავაზე და, ასევე შპს "ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანისა" და საგადასახადო ორგანოს შორის მიმდინარე ერთი დავაზე.

შპს "არტის" სამ საქმეზე დავა დაწყებულია ჯერ კიდევ 2007 წელს, ხოლო დანარჩენ სამ საქმეზე - 2008 წლის სექტემბერში. ყველა საქმეზე არანაკლებ სამი სასამართლო სხდომა ჩატარდა.

შპს "პრიზას" ორ საქმეზე დავა დაწყებულია 2008 წლის ივნისამდე, ხოლო ერთ საქმეზე - 2008 წლის ოქტომბერში, ყველა საქმეზე არანაკლებ ორი სასამართლო სხდომა ჩატარდა.

შპს "ბილდინგ კომპანის" საქმეზე დავა 2008 წლის ოქტომბრის დასაწყისშია დაწყებული და საქმეზე ხუთი სასამართლო სხდომაა ჩატარებული.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ დასახელებული საქმეებიდან მოსარჩელე და მოპასუხე მხარეებს პირველი ინსტანციის დასაბუთებული გადაწყვეტილებები სრულად ჯერ კიდევ არ ჩაბარებიათ. თანაც, მათ კანონიერებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს პრეროგატივაა და ყოვლად უსაფუძვლოა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, იმ მოსაზრების დაფიქსირება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით უკანონობის გამყარებას ჰქონდა ადგილი, ან საქმეების განხილვისას საპროცესო ნორმები დაირღვა.

თბილისის საქალაქო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საქმეთა დაჩქარებული წესით განხილვა არ შეიძლება მოსარჩელის უფლებების დარღვევად იქნას მიჩნეული, ვინაიდან, აღნიშნული მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობის და მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დაცვას ემსახურება, რათა წარსულში არსებული მანკიერი პრაქტიკის განმეორება და საქმეთა განხილვის ვადების გაჭიანურება არ მოხდეს. მით უმეტეს, გაუგებარია, ამგვარი პრეტენზიის წამოყენება ადვოკატის მხრიდან, რომელიც, პირველ რიგში, თავად უნდა იყოს დაინტერესებული საქმის სწრაფი განხილვით.

სასამართლოს მისამართით დაუსაბუთებელი ბრალდებების გავრცელება გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივი საფუძველი ვერანაირად ვერ გახდება. მეტიც, იგი თავად ადვოკატთა ეთიკის ნორმებს არღვევს და, შესაძლოა, კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა გამოიწვიოს.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადვოკატს სამართლებრივი გზით თავისი პოზიციის დასაცავად ბრძოლა კი არა, საზოგადოების შეცდომაში შეყვანა ჰქონდა განზრახული," – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ საპასუხო განცხადებაში.

# მუქარის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

*ბათუმში მოკლული სენაკის ბატალიონის სერჟანტ როინ შავაძის მეუღლის ციცინო შავაძის და მისი ძმის ამირან კონცელიძის მიმართ მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში გამოძიება 10 ნოემბერს, იმავე დღეს დაიწყო, როდესაც და-ძმამ სამართალდამცველებს განცხადებით მიმართეს.*

ციცინო შავაძის განცხადებით, გაურკვეველი პირები მას გაჩუმების სანაცვლოდ გარკვეულ თანხას სთავაზობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახის წევრებს დაპატიმრებით ან ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან.

**"პირველად პროკურორი ვასილ როინიშვილი 29 აგვისტოს, საკუთარ კაბინეტში დამემუქრა, შემდეგ იყვნენ სხვები, რომლებიც გაჩერების სანაცვლოდ, 15 ათას ლარს მთავაზობდნენ,"** - ამბობდა ციცინო შავაძე, რომელიც მისი ოჯახის მიმართ მუქარის გამო გამოძიების დაწყებას მოითხოვდა.

როინ შავაძის მეუღლის ადვოკატ რამინ პაპიძის განცხადებით, ორი დღის წინ ციცინო შავაძესთან და მის ძმასთან ამირან კონცელიძესთან პროკურატურის წარმომადგენლები მივიდნენ და მუქარის შესახებ მოწმის სტატუსით დაკითხეს.

**"ჩვენებაში მუქარის კონკრეტული ფაქტები დეტალურად აღვწერე. მუქარა ჩემი მეუღლის გარდაცვალებიდან მეორე დღესვე დაიწყო. სახლში ტელეფონზე უცნობმა პირმა დამირეკა და მითხრა, გავჩუმებულიყავი, ხმა არ ამომეღო. ამის შემდეგ სხვა მუქარაც იყო. ჩემს ძმასაც დაემუქრნენ,"** - განაცხადა „24 საათთან“ საუბრისას ციცინო შავაძემ.

მიუხედავად იმისა, რომ სენაკის ბატალიონის ყოფილი სერჟანტის მეუღლე იმ პირების ვინაობას, ვინც ემუქრება, კონკრეტულად ვერ ასახელებს, მუქარის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

*საკუთარი ინფორმაცია*

# იუშჩენკო: რუსეთის ზეწოლამ ნატო-ზე გავლენა არ უნდა მოახდინოს

პირველი გვერდიდან

ამასთან, რუსეთი გააფთრებით ეწინააღმდეგება ნატო-ში უკრაინისა და საქართველოს გაწევრიანებას და ინტეგრაციის შემთხვევაში კიევზე ბირთვული რაკეტების დამიზნებითაც იმუქრება. სწორედ ამიტომ ნატო-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობა ოფიციალური მოსკოვის გაღიზიანებას ერიდება.

ვიქტორ იუშჩენკოს თქმით, ზემოაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, აუცილებელია ნატო-ს უმოკლეს ვადებში გაფართოება.

**“უკრაინამ დამოუკიდებლობა 1918 წლის შემდეგ ექვსჯერ გამოაცხადა, მაგრამ აქედან ხუთი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, ვინაიდან ოფიციალურ კიევს არ ჰყავდა საერთაშორისო პარტნიორები, რომლებიც მის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებდნენ,”** – აღნიშნა ვიქტორ იუშჩენკომ.

პრეზიდენტის თქმით, წევრობის სამოქმედო გეგმა არ იქნება ალიანსში გაწევრიანების გარანტია, მაგრამ იქნება იმის დასტური, რომ დასავლეთ ევროპა უსმენს უკრაინას და მზად არის მისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

**“ეს ის სიგნალია, რომლის მიღებასაც ვისურვებდით,”** – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.



გარდა ამისა, ნატო-ში უკრაინის გაწევრიანება, იუშჩენკოს თქმით, სხვა ქვეყნის, მათ შორის, რუსეთის უსაფრთხოებისთვის მუქარა არ იქნება. გამომდინარე აქედან, ოფიციალური კიევი მზად არის, გასცეს ნებისმიერი გარანტია იმაზე, რომ საფრთხეს არ შეუქმნის არც ერთ სახელმწიფოს.

ნატო-ს გენერალურ მდივან იაპ დე ჰოოპ სხეფერის განცხადებით, რუსეთს არ ექნება ალიანსში ახალი წევრების მიღებაზე ვეტოს დადების უფლება, - წერს “თაიმსი”.

უკრაინაში შეერთებული შტატების ელჩმა უილიამ ტეილორმა ნოემბრის დასაწყისში განაცხადა, რომ არ გამორიცხავს, უკრაინამ წევრობის სამოქმედო გეგმა 2009 წელს მიიღოს. ნატო-ს მომდევნო სამიტი 2009 წლის აპრილის ბოლოს, ხოლო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო უწყების ხელმძღვანელთა მინისტერიალი ზაფხულის დასაწყისში გაიმართება. აღნიშნული შეხვედრები კიდევ ერთი მიზეზი იქნება უკრაინის პოლიტიკური სტაბილურობის განხილვისთვის.

ნატო-ში უკრაინის გაწევრიანებას შეერთებული შტატების ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაუჭირა მხარი. ბარაკ ობამა მიიჩნევს, რომ უკრაინა მზად არის წევრობის სამოქმედო გეგმისთვის.

თუმცა, მის მოსაზრებას არ იზიარებს შეერთებული შტატების ამჟამინდელი სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დენიელ ფრიდი. ოქტომბერში ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ “ნატო-ში გასაწევრიანებლად უკრაინასა და საქართველოს წლები დასჭირდებათ.”

თავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი ეთანხმება დენიელ ფრიდის მოსაზრებას და ნატო-ში უკრაინისა და საქართველოს მიწვევა ჯერ ნაადრევად მიაჩნია.

# ევროპის შეერთებულ შტატებს ალტერნატივა არ აქვს

იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი რომანო პროდი მიიჩნევს, რომ არსებული საერთაშორისო კრიზისი ევროპას გამთლიანებასა და საკუთარი “შეერთებული შტატების” შექმნაში დაეხმარება. პროდის თქმით, ყველა ხვდება, რომ სახელმწიფოები ძირეული ცვლილებების მიღწევას ცალ-ცალკე ვერ შეძლებენ. ამგვარი განცხადება იტალიის ექსპრემიერმა გაზეთ “ნოიე ციურიხერ ცაიტუნგთან” ინტერვიუში გააკეთა.

**“ევროპის შეერთებული შტატების შექმნის ალტერნატივა ჩვენ არ გაგვაჩნია,”** – დარწმუნებულია პროდი და თავის პოზიციას იმით ხსნის, რომ იმ სიძლიერის ფონზე, რომელსაც დღეს ჩინეთი აჩვენებს და რომლითაც მსხვილი ბლოკების მულტიპოლარობის ფორმირება ხდება, ევროპის ქვეყნები ცალ-ცალკე მოქმედებას ვერ შეძლებენ.

თავის ინტერვიუში იტალიის ყოფილმა პრემიერმა გასულ კვირას ვაშინგტონში გამართულ “დიდი ოცეულის” სამიტზე და მის შედეგებზე გააკეთა აქცენტი და აღნიშნა, რომ შეხვედ-


*რომანო პროდი “ევროპის შეერთებული შტატების” ალტერნატივას ვერ ხედავს.*

რის მთავარი შედეგი მსოფლიო ფინანსურ კრიზისთან ბრძოლაში თანამშრომლობის სურვილის დემონსტრირება გახლდათ.

გარდა ამისა, პროდის თქმით, ევროპის მომავლის მისეული ხედვა კეთილმეზობლობის პოლიტიკასაც ითვალისწინებს. **“ეს ნიშნავს, რომ ევროპის გარშემო – აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც – არსებობენ ქვეყნები, რომლებთანაც მომავალში ყველაფრის გაყოფა მოგვიწევს: ეკონომიკის, ვაჭრობის, კულტურის, მაგრამ არა ინსტიტუტების – ევროპარლამენტის, ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის,”** – აღნიშნა მან. ევროპას საზღვრები სჭირდება, მაგრამ, ამასთან, არ შეიძლება “უკბინო” მათ, ვინც ამ საზღვრებს მიღმა იმყოფება, დარწმუნებულია ევროკომისიის ყოფილი თავმჯდომარე.

რომანო პროდიმ არც ევროკავშირის ბაზისური შეთანხმება დატოვა უყურადღებოდ, რომლის მიმართაც ევროკავშირის მრავალი მცხოვრები გამოთქვამს უკმაყოფილებას. **“საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ხალხი არასდროს აძლევს ხმას რეფერენდუმის შინაარსს. ისინი ხმას აძლევენ კონკრეტული პოლიტიკოსისა თუ მთავრობის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ,”** – აღნიშნა მან, თუმცა იქვე დაამატა, რომ მათ, ვინც ლისაბონის შეთანხმებას “არა” უთხრეს, არაფერი დაუკარგავთ.

დასასრულს რომანო პროდი შეეხო იმ ამოცანებსაც, რომელთა შესრულებაც აფრიკაში შექმნილ მდგომარეობაზე მისი თავმჯდომარეობით მომუშავე გაერო-ს კომისიას აკისრია. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კომისიას, სამშვიდობო მისიების ორგანიზების მიზნით, აფრიკული კავშირის მხარდასაჭერად ყველა სახის სახსრებისა და მექანიზმების მოძიება დაავალა. **“მშვიდობის გარანტიები აფრიკელებს საშუალებას მისცემს, თავიანთი ბედი თავადვე გადაწყვიტონ. მშვიდობის უზრუნველყოფა აფრიკული პრობლემების მოგვარებისთვის მყარ საფუძველს შექმნის,”** – დარწმუნებულია პროდი.

## ბარაკ ობამამ ეროვნული უშიშროებისა და ვაჭრობის მინისტრებად ქალთა კანდიდატურები შეარჩია

აშშ-ს არჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამა ვაჭრობისა და ეროვნული უშიშროების მინისტრების პოსტებზე გარკვეულ კანდიდატებზე უკვე შეჩერდა, - იუწყება ტელეარხი “სი-ენ-ენ”-ი. ობამა ვაჭრობის მინისტრის პოსტის შეთავაზებას აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქალისთვის, 49 წლის პენნი პრიტცკერისთვის აპირებს.

პრიტცკერი ჩიკაგოდან არის, ობამას წინასაარჩევნო კამპანიის დროს შემოწირულობების მიღებაზე იყო პასუხისმგებელი და ამ პერიოდში შემოწირულობების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. პენნი პრიტცკერის ქონება 2 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. იგი 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ისეთ მსხვილ კომპანიებს, როგორებიც არის "ტრანსუნიონი", “ჰაიათი”, “პრიტცკერ რიელთი გრუფი” და “პარკინგ სპოთი”.

ეროვნული უშიშროების მინისტრის თანამდებობაზე კი, “სი-ენ-ენ”-ის ინფორმაციით, ბარაკ ობამამ არიზონას გუბერნატორი ჯანეტ ნაპოლიტანო შეარჩია.

50 წლის ნაპოლიტანო ყოფილი ადვოკატია, მან გუბერნატორის პოსტი 2002 წელს დაიკავა, ოთხი წლის შემდეგ იგი კვლავ აირჩიეს ამ თანამდებობაზე.

მინისტრობის ორივე კანდიდატი ოფიციალური კომენტარებისგან თავს იკავებს.

*ინტერპრესნიუსი*

## ბარაკ ობამამ უსამა ბინ ლადენის ძებნა გაააქტიურა

აშშ-ს არჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამა აპირებს, აშშ-ს ნომერ პირველი ტერორისტის, უსამა ბინ ლადენის ძებნისთვის ძალისხმევა გაააქტიუროს, - იუწყება გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი" უსაფრთხოების საკითხებში ობამას მრჩევლის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

"ობამა გეგმავს სამხედრო და დაზვერვის საკითხების ფოკუსირების გაძლიერებას "ალ-ქაიდას" და ბინ ლადენის მიმართ. დაზვერვის სამსახურის წარმომადგენელთა თქმით, ბინ ლადენის ძებნის პროცესი ისეთი აქტიური, როგორც ახლაა, არასდროს ყოფილა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დეცენტრალიზებული "ალ-ქაიდა" უსამა ბინ ლადენის გარეშეც საშიშია," - აღნიშნავს გაზეთი.

*ინტერპრესნიუსი*

## ვლადიმირ პუტინი - "ედინაია როსიამ" ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფა შეძლო

პარტია "ედინაია როსიას" თავმჯდომარემ, რუსეთის პრემიერმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ პარტიამ ქვეყნის ხელისუფლების მემკვიდრეობითობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა შეძლო.

როგორც "ინტერფაქსი" იუწყება, ეს განცხადება პუტინმა პარტიის გუშინდელ ყრილობაზე გააკეთა.

"ერთი წლის განმავლობაში "ედინაია როსიამ" რამდენიმე საპასუხისმგებლო საარჩევნო კამპანიის ჩატარება შეძლო და რუსეთის ხელისუფლების მემკვიდრეობითობა და სტაბილურობა უზრუნველყო," - აღნიშნა პუტინმა.

მისივე თქმით, ამჟამად რუსეთში ქვეყნის 2020 წლამდე განვითარების პროგრამის რეალიზებისთვის ყველა პოლიტიკური პირობაა შექმნილი.

როგორც პუტინმა აღნიშნა, "ედინაია როსიამ" მოქალაქეების მხარდაჭერა იმით მოიპოვა, რომ ქვეყნის ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებების შეტანა შეძლო.

"და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - "ედინაია როსია" გახდა პარტია, რომელმაც საზოგადოებას კონსტრუქციული დღის წესრიგი შესთავაზა," - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

*ინტერპრესნიუსი*

## სომალელი მეკობრეების წინააღმდეგ ერთობლივი ოპერაცია იწყება

ევროკავშირის ქვეყნები სომალელი მეკობრეების წინააღმდეგ ერთობლივ ოპერაციას 8 დეკემბერს დაიწყებენ, - აცხადებს საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი ერვე მორენი. საომარ ოპერაციაში ევროკავშირი ადენის ყურის პატრულირებას გულისხმობს, სადაც გემებზე ყველაზე მეტი თავდასხმა ხდება. მორენის ინფორმაციით, 8 დეკემბრიდან ყურეში 5-6 სამხედრო ხომალდი ჩადგება. ბოლო ხანებში სომალელმა მეკობრეებმა შეტევები უკვე ქვეყნის ტერიტორიული წყლებიდან მოშორებით, კენიის სანაპიროებთან ახლოს განახორციელეს. მათი ყველაზე დიდი ნადავლი სუპერტანკერი “სირიუს სთარია", რომელიც კენიის ტერიტორიულ წყლებში, 800 კილომეტრის მოშორებით იგდეს ხელთ. ამჟამად სომალის სანაპიროს ირგვლივ ინდოეთის, ამერიკის, რუსეთისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნის სამხედრო ხომალდები აკონტროლებენ. ამის მიუხედავად, მეკობრეები თავდასხმებს რეგულარულად ახდენენ.

*მედიანიუსი*

## „ეტას“ ერთ-ერთი ლიდერი დააკავეს

საფრანგეთში დაპატიმრებული ბასკური სეპარატისტული ორგანიზაცია „ეტას" წევრი მიქელ გარიკოიც ასპიაზუ, როგორც ჩანს, არა მხოლოდ ერთ-ერთი ფრთის, არამედ მთელი ორგანიზაციის მეთაურია, - გადმოსცემს სი-ენ-ენი ესპანეთის შს მინისტრ ალფრედო პერეს რუბალკაბაზე დაყრდნობით.

ამ უკანასკნელის თქმით, მიქელ გარიკოიც ასპიაზუ, ცნობილი როგორც ჩეროკი, არა მხოლოდ “ეტას” შეიარაღებულ ოპერაციებს კურირებდა, არამედ პოლიტდაჯგუფების მიზნებსა და მიმართულებებსაც ადგენდა. სავარაუდოა, რომ დაჯგუფების მეთაური ასპიაზუ ამა წლის მაისში გახდა, როდესაც ორგანიზაციის წინა ლიდერი ხავიერ ლოპეს პენა საფრანგეთში დააპატიმრეს.

*მედიანიუსი*

# რუსეთში ავტორიტარიზმი ძლიერდება

უფლებადამცველმა ორგანიზაციამ "ფრიდომ ჰაუსმა" გამოაქვეყნა მოხენება, რომელიც ეხება მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობას 12 ქვეყანაში, სადაც "ავტორიტარული რეჟიმები სამოქალაქო საზოგადოების დასუსტებას" ცდილობენ. მათ შორის არის რუსეთიც.

მოხსენებაში, რომლის სახელწოდებაა "გაერთიანების თავისუფლება საფრთხის ქვეშ დგას", რუსეთის გარდა, ნახსენებია ირანი, ზიმბაბვე, ალჟირი, ჩინეთი, უზბეკეთი, ვენესუელა, პაკისტანი, ეგვიპტე, მალაიზია, ყაზახეთი და კოლუმბია. კვლევის ავტორთა აზრით, რუსეთს **"დემოკრატიული თავისუფლებების მხრივ დიდი პრობლემები აქვს".** თუ რიგ ქვეყნებში, მაგალითად, ეგვიპტესა და ჩინეთში, ამ თვალსაზრისით მდგომარეობა არ იცვლება, რუსეთი **"არასწორი მიმართულებით მიდის,"** - ნათქვამია მოხსენებაში.

კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ ვლადიმირ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში **"ქვეყანაში სისტემატურად ირღვეოდა მოქალაქეთა უფლებები მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ დემონსტრაციების გამართვაზე"**. ასევე არ იყო დაცული საზოგადოებრივი საპროტესტო აქციების (მათ შორის, პროფკავშირების მიერ) გამართვის თავისუფლება.

"ფრიდომ ჰაუსი" ყველაზე მეტად შეშფოთებულია "პოლიტიკაზე ორიენტირებული არაკომერციული ორგანიზაციების" გარშემო შექმნილი მდგომარეობით. 2006 წელს არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ მიღებულმა კანონმა ამ სახის ორგანიზაციების მუშაობა უკიდურესად გაართულა, რადგან ისინი პრაქტიკულად დაფინანსების გარეშე დარჩნენ.


AFP ' 2008
*პუტინი და მედვედევი ავტორიტარიზმისკენ სვლას განაგრძობენ.*

მოხსენების ავტორები ასევე მიიჩნევენ, რომ რუსეთის სვლა ავტორიტარიზმის მიმართულებით ვლადიმირ პუტინის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე გადასვლისა და დმიტრი მედვედევის გაპრეზიდენტების შემდეგაც გაგრძელდა.

ორგანიზაცია "ფრიდომ ჰაუსი" არაერთგზის აცხადებდა, რომ რუსეთი დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვისა და პრესის თავისუფლების ხარისხით ძალზე ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. 2008 წლის ივნისის ბოლოს გამოქვეყნებულ მოხსენებაში "ფრიდომ ჰაუსი" იუწყებოდა, რომ რუსეთში შექმნილია ე.წ. "რკინის სამკუთხედი": სახელმწიფო ძალაუფლება, უმსხვილესი კომპანიების ტოპ-მენეჯმენტი და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობა. ამ "რკინის სამკუთხედის" მბრძანებლობა კი, უფლებადამცველი ორგანიზაციის მტკიცებით, იწვევს პოლიტიკური ოპოზიციისა და თავისუფალი პრესის ჩახშობას, საარჩევნო პროცესის დეგრადაციასა და "ავტორიტარულ კაპიტალიზმს". ასევე აღსანიშნავია, რომ 2008 წლის აპრილის ბოლოს გამოქვეყნებულ მოხსენებაში რუსეთი, პრესის თავისუფლების ხარისხით, შესაძლო 195-დან 170-ე ადგილზე იმყოფებოდა.

## პოლონეთს აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების განთავსება ისევ სურს

პოლონეთი საკუთარ ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების განთავსებაში კვლავ დაინტერესებულია. ამის შესახებ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ "გაზეტა ვიბორჩას" განუცხადა.

ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტისას სიკორსკიმ განაცხადა, რომ ყველა ზომა იქნება გამოყენებული, რათა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების გამო რუსეთის შიში გაიფანტოს.

მისი თქმით, რუს დამკვირვებლებს ბაზის ხშირად მონახულების საშუალება ექნებათ. ბაზაზე ასევე განთავსდება სათვალთვალო კამერები.

თუმცა, თავად რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის საკითხი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, რამდენადაც აშშ-ს არჩეულ პრეზიდენტ ბარაკ ობამას ბაზის მშენებლობისთვის ჯერჯერობით მხარი არ დაუჭერია.

*ინტერპრესნიუსი*

## რუსეთის რეზერვები დამატებით 22 მლრდ აშშ დოლარით შემცირდა

რუსეთის საერთაშორისო რეზერვები 8-14 ნოემბრის პერიოდში დამატებით 21,9 მლრდ აშშ დოლარით, 453,5 მლრდ აშშ დოლარის ნიშნულზე შემცირდა.

"ლენტა.რუ"-ს ინფორმაციით, ამის შესახებ რუსეთის ცენტრალური ბანკის ოფიციალურ პრესრელიზშია ნათქვამი. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის რეზერვები თითქმის 600 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა.

რუსეთის ვიცე-პრემიერის და ამავე დროს ფინანსთა მინისტრ ალექსეი კუდრინის განმარტებით, საერთაშორისო რეზერვების შემცირებას სამი ძირითადი მიზეზი განაპირობებს. სახსრების დიდი წილი რუბლის კურსის შენარჩუნებაზე მიდის. გარდა ამისა, რეზერვები მცრიდება იმის გამოც, რომ დოლარი ბოლო პერიოდში მსოფლიო ბაზარზე ძვირდება, სახრსების ნაწილი კი ანტიკრიზისული ღონისძიებების დაფინანსებაზე იხარჯება.

რუსული რეზერვები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ რეზერვად მიიჩნევა. ბოლო წლებში ისინი სულ იზრდებოდა, რადგან რუსეთი მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მაღალი ფასის გამო "ზეშემოსავლებს" იღებდა.

რუსეთის რეზერვები, ძირითადად, დოლარის, ევროს და ბრიტანული ფუნტის, ასევე მონეტარული ოქროსა და სხვა აქტივებისგან შედგება. სტაბილიზაციის ორივე ფონდი – სარეზერვო ფონდი და ეროვნული კეთილდღეობის ფონდი – საერთაშორისო რეზერვების სტრუქტურაში შედის.

*ინტერპრესნიუსი*

# ისრაელელ მაღალჩინოსანთა საიდუმლო სამიტი იორდანიის მეფესთან

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი და თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი ეჰუდ ბარაკი იორდანიის მეფე აბდალა II-ს შეხვდნენ. საგანგებო აუდიენცია იორდანიის მეფის თხოვნის საფუძველზე შედგა. გაზეთების "ალ ჰაიათის" და "იედიოთ აჰრონოთისა" და რადიოსადგურ "კოლ ისრაელის" თანახმად, მოლაპარაკებების უმთავრესი თემა ღაზას სექტორში შექმნილი ვითარება იყო.

წყაროთა ცნობებით, აბდალა II-მ განაცხადა, რომ "ჰამასის" წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ოპერაციის დაწყებამ შესაძლოა, იორდანიასა და ისრაელის ურთიერთობები დაძაბოს და მნიშვნელოვნად გააუარესოს ვითარება რეგიონში.


*ოლმერტმა და ბარაკმა იორდანიის მეფე აბდალა II-სთან საიდუმლო სამიტი გამართეს.*

ეჰუდ ოლმერტმა და ეჰუდ ბარაკმა, თავის მხრივ, აღნიშნეს, რომ ისრაელს მეტად აღარ შეუძლია ღაზას სექტორიდან თავდასხმების მოთმენა და საჭიროა ნებისმიერი საშუალების გამოყენება მშვიდობაზე "ჰამასის" დასათანხმებლად.

თუმცა, წყაროების თანახმად, იორდანიის მეფემ მაინც შეძლო გარკვეული გარანტიების მიღება, რომ ისრაელი მსხვილმასშტაბიან ოპერაციას ღაზას სექტორში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დაიწყებს.

გაზეთ "ალ ჰაიათის" ცნობით, რომელიც ლონდონში იბეჭდება, ღამის მოლაპარაკებებზე მეფე აბდალა II-სთან ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმა განაცხადა, რომ პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ მაჰმუდ აბასთან ბოლო შეხვედრაზე ისრაელ-პალესტინას შორის "საბოლოო შეთანხმების" თემამ წამოიწია. ამასთან, ცნობილი გახდა ისიც, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრი მუსლიმური დღესასწაულის იდ ალ-ადჰას წინა დღეებში ციხიდან 250 პალესტინელი პატიმრის გათავისუფლებას აპირებს.

საინფორმაციო სააგენტო "ფრანს პრესის" ცნობით, ისრაელის პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში იორდანიაში ღამის აუდიენციაზე კომნეტარის გაკეთებისგან თავი შეიკავეს.

იორდანიაში ოლმერტისა და ბარაკის ჩასვლამდე მასობრივი ანტიებრაული საპროტესტო აქციები ჩატარდა ღაზას სექტორის ბლოკადის შეწყვეტის მოთხოვნით.

ისრაელსა და ღაზას სექტორში მმართველ დაჯგუფება "ჰამასს" შორის სამშვიდობო შეთანხმება მას შემდეგ დაირღვა, რაც 4 ნოემბერს ისრაელის არმიამ იერიში მიიტანა პალესტინელი ბოევიკების დაჯგუფებაზე და ისრაელის ტერიტორიასთან დამაკავშირებელი გვირაბი ააფეთქა. ამ ოპერაციიდან ორი კვირის განმავლობაში პალესტინელმა ტერორისტებმა ისრაელის დასახლებული პუნქტების მიმართულებით "კასამისა" და "გრადის" ტიპის, დაახლოებით, 90 რაკეტა გაუშვეს. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა და არტილერიამ კი იმავე პერიოდში ღაზას სექტორში წერტილოვანი იერიშები მიიტანეს, რასაც, დაახლოებით, 20 ბოევიკი შეეწირა.

"ჰამასის" ხელმძღვანელობის განცხადებით, მასშტაბური სამხედრო ოპერაციისკენ მათ ისრაელის თავდაცვის მინისტრი ეჰუდ ბარაკი უბიძგებს, რომელსაც ამ შემთხვევის გამოყენება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის საკუთარი რეიტინგის ასამაღლებლად სურს.

ისრაელის თავდაცვის არმიის გენერალური შტაბის უფროსი გაბი აშქენაზი არ ადასტურებს ღაზას სექტორში ფართომასშტაბიანი ოპერაციის ჩატარების იდეის არსებობას. ოთხი დღის წინ მან ზოგიერთ მინისტრს პოლიტიკურ წინასაარჩევნო თამაშში არმიის ჩათრევის მცდელობა წაუყენა ბრალად.

# რევიუ



AFP ' 2008

საფრანგეთი, სენ ეტიენში, ყოფილ ქარხანაში, გუშინ თანამედროვე ხელოვნების ბიენალე გაიხსნა. გამოფენები შუა საფრანგეთში ამ თვის ბოლომდე გაგრძელდება. ამ პროექტში ერთობლივად არიან ჩართულნი ქვეყნის კულტურისა და ტურიზმის სამსახურები. საფრანგეთის ტურისტებისთვის არაპოპულარული ნაწილი ნოემბერში მსოფლიო მასმედიის ყურადღებას დაიმსახურებს.

## მსოფლიოს ყველაზე გაყიდვადი მხატვრები ჩინელები არიან

მსოფლიო არტ-ბაზრის ექსპერტებმა 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ივნისამდე 2900 აუქციონის ანალიზი განახორციელეს და ყველაზე გაყიდვადი მხატვრებისა და მოქანდაკეების 500 კაციანი სია შეადგინეს. სიის სათავეში აზიელი მხატვრები დომინირებენ, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ჩინელებს უკავიათ. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ წლების შემდეგ ტერმინი "აზიური ხელოვნება" ისეთივე ფართო და ხშირი ცნება იქნება, როგორც დღეს "დასავლური ხელოვნებაა". უცხოური ვალუტის უზარმაზარი მარაგისა და დიდი დადებითი სავაჭრო სალდოს ქონის პირობებში, დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ამჟამინდელი ფინანსური კრიზისიდან ჩინეთი სუპერ-სახელმწიფოს რანგში მოგვევლინოს. თანამედროვე ხელოვნებასთან მიმართებაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, უკვე ითვლება ერთ-ერთ ყველაზე გა-



ნვითარებულ ქვეყნად მსოფლიოში. ამაზე მსოფლიო აუქციონების შედეგებიც მეტყველებს. შედეგების მიხედვით არტ-მსოფლიოს ყველაზე კომერციულად პოპულარული წარმომადგენლების რიცხვში - 13 აზიელია: 11 ჩინეთის, ერთი იაპონიის და ერთიც ინდოეთის წარმომადგენელი. ყველაზე გაყიდვადი მხატვრებისა და მოქანდაკეების ათეულში 6 აზიელი მხატვარია შესული, აქედან ხუთი ჩინელია.

ექსპერტების მიერ შედგენილ 500 კაციან სიაში პირველი ოთხი ადგილი, ჯერ კიდევ დასავლური ხელოვნების შემქმნელებს უკავიათ: ჯეფ კუნსი, ჟან-მიშელ ბასკე, დემიენ ჰერსტი და რიჩარდ პრინსი. ყველა დანარჩენი აზიელია. მათ შორის ხუთეულს ჩინელები და ერთი ფსიქოდელიკური პოპ-არტის ბრწყინვალე წარმომადგენელი, იაპონელი ტაკაში მურაკამი შეადგენენ. ნახატებისა და ქანდაკების რეალიზაციიდან მიღებულ თანხებთან მიმართებაში დასავლური ოთხეული ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჯობნის აზიურ ექვსეულს. შესაბამისობა ასეთია: 202,4 მილიონი ფუნტი (320 მილიონი დოლარი) და 125,6 მილიონი ფუნტი (195 მილიონი დოლარი), თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს მხოლოდ დროული გამოვლინებაა. აზიელი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნამუშევრების გაყიდვის თავბრუდამხვევი ტემპის ზრდის მიუხედავად, არტ-ბაზარზე რღვევა მალე გაქრება, ხოლო ყველაზე პოპულარული ჩინელი მხატვარი ჩჟან სიაოგანი (მე-5 ადგილი - 32,3 მილიონი ფუნტი ან 50 მილიონი დოლარი) მომავალ წელს რიჩარდ პრინსს (33 მილიონი ფუნტი) გადაასწრებს. "ეს ხალხი პოსტმაოისტურ ჩინეთში გაიზარდნენ და მძიმე პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების ეპოქაში ცხოვრობდნენ. ეს ყველაფერი მათ შემოქმედებაშია ასახული", - აღნიშნა ჩჟანმა.

კომენტარები მთავარზე

# საქართველოს ტკივილები



ლაშა ბუღაძე

რა კარგია ზოგჯერ ტელევიზორის ყურება!

პრეზიდენტი რომ გამოვიდა პარლამენტში ცოტა ხნის წინ, სატელევიზიო დებატები უნდა აღდგეს, ხომ გახსოვთ? ერთ-ერთმა ტელევიზიამ მაშინვე ყურად იღო პრეზიდენტის მოწოდება და თავის არხზე ბევრისთვის დიდი ხნის სანატრელი პოლიტიკური (?) დებატები აღადგინა.

ამ გადაცემის არც სახელი ვიცი და არც თავიდან ბოლომდე მინახავს. ორიოდე დღის წინ ტელევიზორი ჩავრთე და რას ვხედავ: თითქოს ყველაფერი რიგზეა - სტუდია სტუდიას გავს, გადაცემის სტუმარიც სავსებით სტუმრისეულია, მაგრამ წამყვანი - ვირია. მართალია, ანიმაციური, მაგრამ მაინც ვირი.

როგორც პოეტი იტყოდა, არა გრიგოლია, არა ხოფერია, არამედ ვირი!

მართლაც, რად გინდა ან ერთი ან მეორე, ან თუნდაც სულ ახლახანს აორთქლებული "სამკუთხედი"! აგერ, გამოჩნდა გადასარევი არსება, ვირი, თან დახატული, ქართულად მოსაუბრე, - არც დიდ-დიდ ჰონორარებს ითხოვს და არც ნერვებისმომშლელ შეკითხვებს სვამს. რომ ამბობენ, ჟურნალისტები არ გვყავსო, ხომ ყოფილა შესაძლებელი კარგი პროფესიონალის პოვნა! მერე რა, რომ ვირია, ქართულად ხომ მეტყველებს შედარებით მაინც გასაგებად!

ისე, რომ არ ელაპარაკა და უბრალოდ ეყროყინა, კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა. ვირი გაუთავებლად იყროყინებდა, სტუმარი კი იმაზე ისაუბრებდა, რაზედაც მოეხასიათებოდა. მთავარი ხომ ის არის, რომ გადაცემა რაღაცნაირად მაინც ჰგავდეს დებატებს!

რა კარგი ტელევიზიები გვაქვს! არც პრეზიდენტი გაანაწყენეს და არც პოლიტიკური თოქშოუების მომლოდინე ბრაზიან და სახლებში მსხდომ ქართველებს გაუცრუეს იმედი!

გინდოდათ დებატები? აჰა, მიიღეთ!

ფაქტია, ამ ვირს დიდი მომავალი ექყანება, აგერ ნახავთ, პარლამენტშიც თუ არ შეტენონ!

პრეზიდენტი რომ 7 ნოემბერს ნაცემ კაცს ეწვია სახლში ოპოზიციური მიტინგის დღეს (7 ნოემბერი ამიერიდან ასე შევა ისტორიაში), ტელევიზიის დირექტორი რომ ვიყო, ამ კაცს რეგულარულად შევახვედრებდი პრეზიდენტს და ამ სტუმრობებს გადაცემის სახესაც მივცემდი. "პრეზიდენტი და საქართველო" - ასე ვუწოდებდი ამ ტელეშოუს. პრეზიდენტი თავისას ილაპარაკებდა, ის დაბნეული კაცი კი თავისას, რა მნიშვნელობა ექნებოდა იმას, მოუსმენდნენ თუ არა ისინი ერთმანეთს!

ხოლო სატელევიზიო ბადეს (ეს სიტყვები განსაკუთრებულად მიყვარს) შემდეგნაირად შევავსებდი:

დილით - პრეზიდენტის შეხვედრა 7 ნოემბერს ნაცემ კაცთან.

შუადღისას - ბიზნეს-კურიერი ("მთელი მსოფლიო გალატაკდა, ჩვენ კი ფეხებიც ვერ მოგვჭამეს!")

საღამოს - ვირის დებატები.

შუაღამისას - პრეზიდენტის შეხვედრა 7 ნოემბერს ნაცემ კაცთან (განმეორებით).

მე მგონი, მადლობის თქმის მეტი არაფერი დარჩებოდათ ტელევიზორებთან მსხდომ ბრაზიან ქართველებს.

# სცენაზეა ორი თეატრი

## რუსთაველისა და ბრიტანეთის ნაციონალურ თეატრები თანამშრომლობას იწყებენ

ია ვეკუა

დღეიდან ქართული თეატრალური სივრცე საერთაშორისო ურთიერთობებისა და განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე გადავიდა. მხარეებმა ხელი მოაწერეს რუსთაველის თეატრისა და დიდი ბრიტანეთის ნაციონალურ თეატრს შორის დაწყებული ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც პირველ რიგში ჩვენი თეატრისთვისაა ხელსაყრელი - პროექტი გრძელვადიანია და საკმაოდ ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს.

პროექტი, რომლის მთავარი მოქმედი გმირები რუსთაველისა და ბრიტანეთის ნაციონალური თეატრები არიან, ბრიტანეთის საბჭოს ხელშეწყობით, კომპანია BP-სა და HSBC ბანკის ფინანსური მხარდჭერით განხორციელდება. ხელშეკრულება ხელმოწერისთანავე შევიდა ძალაში, რაც უკვე ნიშნავს, რომ ქართული თეატრის არსებობის უმნიშვნელოვანესი პერიოდი უკვე დაიწყო.

კონკრეტულად რას ითვალისწინებს ხელშეკრულება და პროექტის თანახმად რომელი სფეროების განვითარებაა გათვალისწინებული: პირველ რიგში, ესაა საქართველოში თეატრალური სექტორის პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა. წლების განმავლობაში, განსაკუთრებით 90-იან წლებში ქართულმა თეატრმა, ისევე როგორც ზოგადად ქვეყანამ, საკმაოდ რთული პერიოდი გადაიტანა. შეიძლება ითქვას, რომ მისი განვითარების პროცესი და თანამედროვე ხედვის უფრო აქტიურად შემოტანა რამდენადმე შეფერხდა. ამის მიზეზი საგასტროლო ბადის რღვევაც იყო, რამაც ქართული თეატრი მსოფლიო ტენდენციებს დააშორა. შემდეგ იყო სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პერიოდი, რამაც თეატრების მუშაობა 2-3 წლით შეაფერხა. ახალი ხელშეკრულების თანახმად ეს ნაკლოვანებები ეტაპობრივად უნდა შეივსოს.

პროექტის ასევე ძირითადი ნაწილია ახალგაზრდა რეჟისორებისთვის ხელის შეწყობა, რასაც თანამედროვე დრამატურგების როლის გააქტიურება მოსდევს. პროექტი იმ მაყურებლის მოთხოვნებსაც ითვალისწინებს, რომელსაც სცენაზე თანამედროვე ანუ მისთვის უფრო ნაცნობი და აქტუალური თემატიკის მქონე სპექტაკლების ნახვა სურს - ანუ მოხდება მაყურებლის ახალი რეპერტუარით დაინტერესება.

გათვალისწინებულია თეორიული ნაწილიც. პროექტის პირველი წლის განმავლობაში რუსთაველის თეატრი უცხოელი და ქართველი თეატრალების მიერ ჩატარებულ მასტერკლასებს უმასპინძლებს. გათვალისწინებულია გაცვლითი პროგრამებიც ანუ ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორების სტაჟირება ბრიტანეთის ნაციონალური თეატრის სტუდიაში. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - ახალგაზრდა თეატრალების აქტიური ჩართვა რეგიონალური თეატრების პროექტებში.

**ზაალ ჩიქობავა, რუსთაველის თეატრის მმართველი:** "ამ ხელშეკრულების გაფორმება რუსთაველისა და ბრიტანეთის ნაციონალურ თეატრებს შორის მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხელშეკრულება მხოლოდ ჩვენი თეატრის სასარგებლოდ იმუშავებს - ეს არის ზოგადად ქართული თეატრის განვითარებისთვის გადადგმული ნაბიჯი. უბრალოდ, რუსთაველისა და ბრიტანეთის ნაციონალური თეატრები ჩვენს ქვეყნებს წარმოვადგენთ. შეთანხმების პუნქტების ძირითადი ნაწილი განვითარებასა და შემოქმედებით ზრდაზეა გათვლილი, რაც სახელოვნებო დაწესებულებას გამუდმებით სჭირდება, მიუხედავად იმისა, რამდენად მნიშვნელოვან ერთეულს წარმოადგენს თავის ქვეყანაში. რუსთაველის თეატრისთვის მსგავსი თანამშრომლობა სიახლეა, ადრე ასეთი ტიპის ურთიერთობა არასდროს გვქონია, ამიტომ დღევანდელი შეთანხმება გახდება იმ გამოცდილების დასაბამი, რაც ქართული თეატრის განვითარებისთვის მეტის გაკეთების საშუალებას მოგვცემს."




ხათია ჯიჯეიშვილის ფოტო

**რობერტ სტურუა, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:** "ინგლისი ის ქვეყანაა, რომელის თავის ტრადიციებს აფასებს და უფრთხილდება. ამ ქვეყანას უდიდესი თეატრალური ტრადიცია აქვს, რაც ჩვენთვისაც სამაგალითოა. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ რუსთაველის თეატრმა თანამშრომლობა სწორედ ამ ქვეყნის უდიდეს თეატრთან დაიწყო - ამრიგად ეს მართლაც საოცნებო პროექტია. შესაძლოა, მიმდინარე საუკუნე მე-20-ე საუკუნეზე სასტიკი აღმოჩნდეს, რისი მაგალითიც ჩვენ ყველამ უკვე ვნახეთ. მე არ მაქვს ილუზია, რომ თეატრით შევძლებთ მშვიდობის დამყარებას, მაგრამ ამ საქმეში პატარა აგურის დადება ნამდვილად შეგვიძლია."

მართალია, ჯერ შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტების დაწყების კონკრეტული ვადების შესახებ არაფერია ცნობილი, რუსთაველის თეატრს ამ მიმართულებით უკვე აქვს საკუთარი გეგმები. უახლოეს მომავალში დაგეგმილია სტუდია-სახელოსნოს გახსნა და საბავშვო თეატრალური ფესტივალის ჩატარება, რომელსაც საკმაოდ საინტერესო ფორმა და შინაარსი ექნება. გარდა ამისა, იგეგმება რუსთაველის თეატრის ინგლისში, ხოლო ბრიტანეთის ნაციონალური თეატრის საქართველოში გასტროლებიც.

# დოკუმენტები, გამოსახულებები, ადამიანები

## ˝ქარვასლა˝- კოკა რამიშვილი - სიყვარულის შესახებ

სოფო კილასონია

*მას შემდეგ, რაც თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო პროექტი "არტისტერიუმი" დასრულდა, "ქარვასლის" საგამოფენო სივრცე სტილის ძიების თვალსაზრისით შორსაც არ წარსულა. ისევ თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება, ოღონდაც ამჯერად ერთი მხატვარი – კოკა რამიშვილი.*





გუშინ საღამოს თბილისის ისტორიის მუზეუმში გახსნილი კოკა რამიშვილის გამოფენა ძალიან ლაკონური, მაგრამ მაინც ძალიან მრავლისმომცველია, საქმე ხომ ადამიანებს და მათ სიყვარულის უნარს ეხება. სამი კუთხე და სამი მედია – ვიდეო, ფერწერა და ფოტო. მხატვრული ნამუშევრებით გალერეაში სამი აქცენტია დასმული და ისეთი შეგრძნებაა, რომ სამივე ამ ერტი ადამიანის, ერტი ავტორის დამოკიდებულებებით და მხოლოდ დადებითი განცდებით არის შემნილი. თემა სიყვარულია, ოღონდაც აქ არ არის ზედმეტი სენტიმენტები. სიყვარული, რომელიც კოკა რამიშვილის აზრით, საკუთარ თავდათ საუბრით, საკუთარი თავის სიყვარულით იწყება და თუ მის ნამუშევრებში ხაზგასმულ აქცენტებს მივადევნეთ თვალს, მისთვის ეს გრძნობა ყველაფრის საწყისია: ძალიან ყოფითი, ცხოვრებისეული დეტალებით დაწყებული, ადამიანის არც თუ ისე ნორმალური ქმედებებით დასრულებული.

პირველი რაც სივრცეში შესულთა ყურადღებას იპყროვს ვიდეო ნამუშევრებია. ოთხ ვიდეონოველას, რომებიც ნიკა მაჩაიძის, ჯარჯი ბალანჩივაძის და ქეით ჯარეტის მუსიკალურ ნაწარმოებებზეა შექმნილი, შექმნის თარიღის გარდა (2005 წელი) ძალიან ბევრი რამ აერთიანებთ. ბევრი თუ არა ყველაზე მნიშვნელოვანი – მთავარი გმირი და მისი ერთი ბუნების ქმედებები მაინც.

ნიკაკოის მუსიკაზე კოკა რამიშვილი რომელიღაცა შენობის დერეფანში დგას და თავის თავთან ცეკვას ლამობს. მერე ცდილობს საკუთარ თავს თვალებში ჩახედოს, მერე ისევ წაიცეკვოს. ბოლოს ილუზორულ მეორე "მე"-ს მოურიგდება. დამეგობრებულები, ხელგადახვეულები კიბეზე დაეშვებიან და წავლენ.

მეორე ნოველაში იგივე პერსონაჟი ამჯერად დისკუსიას გამართავს, ოღონდაც ისევ "მე"-სთან. საუბარი მშვიდია და სასიამოვნო. მუსიკა გვარწმუნებს რომ ეს საუბარი სიყვარულითაა გამსჭვალული. ყოველ შემთხვევაში მეგობრუბა აშკარაა.

მესამე ნოველაში იგივე ადამიანი, ანუ ისევ კოკა, ქანადაკებაზე აძრომას ცდილობს. მაგრამ ეს ობიექტი გლუვია და პრიალა. მასზე მოჭიდება არ გამოსდის, ადამიანი კი მაინც იბრძვის, თუმცა ამაოდ. მეოთხეში მწვერვალების დალაშქვრას არ ცდილობს, მაგრამ ჰორიზონტალურ ჯოხზე გავლით წონასწორობას ავითარებს და თითქმის გამოსდის.

ვიდეო ნოველები, რომლებშიც კამერის რაკურსი არ იცვლება და მხოლოდ ერთ კარდში ადამიანი ადამიანურ თვისებებსა და მისწრაფებებზე თამაშ-თამაშით გვიყვება, როგორც ერთი მთლიანობა აღიქმება და ავტორი გვიდასტურებს, რომ ოთხივე მათგანი უბრალოდ ადამიანზეა. ისე კი რამიშვილის ნებისმიერი ვიდეო, თუ პირველ ნამუშევრებს, ძალიან დოკუმენტური ხასიათის ვიდეოებს არ ჩავთვლით, თითქმის ყველა ჰუმანურობით გამოირჩევა. ადამიანსა და მის სისუსტეებზე კეთილი ირონიით საუბრობს მხატვარი მაშინაც, როცა თუნდაც "ხატვის გაკვეთილებში" ავტობიოგრაფიას აბსტრაქტული იმიჯებით გვიყვება.

და ავტობიოგრაფიაზე მომაგონდა აკვარელებით გადავსებული და ფენებად გაშლილი მეორე კედელი და ასევე გამოფენის მესამე ობიექტი – მინის მაგიდაზე მიმობნეული ფოტოები. ჩემთვის ისინი ერთმანეთისგან გამომდინარეობენ. ამიტომაც მათ დიდად არ გავმიჯნავ.

აკვარელით მხატვარი ვითომ და გასპარ ჰაუზერის ისტორიას გიყვებათ. მაგრამ ნუ შეცდებით. ყველგან, სადაც რამიშვილი ვინმეს ისტორიას ყვება, ქვეტექსტურად საკუთარ ასოციაციებს ხატავს, ამ ასოციაციებით კი საკუთარი ბიოგრაფიის იმიჯებს ქმნის. ზედმეტია იმაზე საუბარი, რამდენად საინტერესოდ და ოსტატურად ხატავს რამიშვილი. საკმაოდ რთული ტექნიკა, მის ეპიზოდურ სტილს უსვამს ხაზს. საინტერესო ამბებს ვილაცეებსა და რაღაცეებზე ნახატების ერთმანეთზე დალაგებით მთლიანობას აძლევს და ჩვენც ვხვდებით, რომ ამ აკვარელებში დატრიალებული ამბები და პერსონები ერთი ისტორიის დეტალები არიან. ამ ისტორიას ისეთივე წარმატებით შეიძლება ერქვას რამიშვილის ბიოგრაფია,როგორც გასპარ ჰაუზერის ისტორია ჰქვია.

ფოტოებიც გარემოსა და სხვადსახვა გარემოებებს ასახავს: ფერად ინტერიერს, შავთეთრ ექსტერიერებს. ადამიანებს ეპიზოდურად, ნაწილ-ნაწილ. ამ ფოტოებშიც ერთი ადამიანის მზერა იგრძნობა. ყველაფერი თითქოს საკუთარ ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად მიღებული ნარჩენებია, ანუ ფაქტები.

კითხვაზე, თუ რითი გამოირჩევა კოკა რამიშვილი სხვა თანამედროვე არტისტებისგან, რომლებიც იგივე მედიებს და ხშირად იგივე თემებს მიმართავენ, პასუხს ამ გამოფენაზე მოძებნით. მას ალბათ ყველაზე მართებული და ყველაზე საინტერესო გზა აქვს შერჩეული: ნებისმიერ კითხვაზე პასუხს საკუთარ თავში ეძებს, ისე რომ შორს არ მიდის, იმ გარემოში რჩება რომელსაც თავად ქმნის და იმ გმირების ერთგულია, რომლებიც ცხოვრების, რომელიღაცა ეტაპზე თანამგზავრებად შეარჩია. ერთი კონკრეტული ადამიანი და ერთი პატარა მიკრო სამყარო, ხომ საზოგადოებისა და საერთოდ სამყაროს მოდელია. გმირი კი, რომლის გამოცდილებებსა და დამოკიდებულებებსაც "იყინებს" მისთვის სხვა ნებისმიერზე მეტად ნაცნობია, ეს გმირი თავადაა.

"... დიახ, ეს ფოტოები იყო საწყისი მასალა იმ აკვარელებისთვის, რომლებიც აქ გამოვფინე. ამ აკვარელების სერიას ჰქვია გასპარ ჰაუზის ისტორია. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ეს ბიოგრაფიული ნამუშევარია, ავტობიოგრაფიული. მთლიანად ამ გამოფენას ჰქვია "ოქსიტოქსინი". ოქსიტოქსინი - ეს არის ნივთიერება, რომელსაც ორგანიზმი გამოიმუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისი გრძნობა ცალმხრივი არაა, როცა ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს. არა ერთს, არამედ ორივეს. როცა ერთს უყვარს მარტო, მაშინ მასში ენდომორფინი გამოიყოფა მხოლოდ. ეს ძლიერი ნივთიერებაა. ამ ნივთიერების ზეგავლენის დაძლევა არც ისე იოლია. 90 პროცენტი თვითმკვლელობებისა მსოფლიოში გამოწვეულია ოქსიტოქსინის ნაკლებობით.

**- ამ ბოლო დროს გაჩნდა ფრაზად ქცეული მოსაზრება, რომ კოკა რამიშვილი ფერწერას უბრუნდება...**

- მე მხატვარი ვიყავი და ვარ. თუ დავაკონკრეტებთ, მე დღეს მეტად ვმუშაობ სურათზე, რომელიც არის დახატული, გაკეთებული საღებავით, ან აკვარელით, ეს არ არის დაბრუნება. მაგრამ ფერწერა, რომელსაც დღეს ვქმნი ეს არის ის ფერწერა, რომელიც ფოტოგრაფიისა და ვიდეოს შემდეგ იწყება. ჩემთვის ეს მნიშვნელოვანი რაღაცაა. ფერწერა დღეს, ახალი ტექნოლოგიის მერე, აბსოლუტურად სულ სხვაა. არსებობს ფერწერა რომელიც იყო მანამდე და არსებობს ფერწერა დღეს.

**- რა შეიძინა მხატვრობამ ამ გამოცდილებებით?**

- უფრო თამამია, უფრო თავისუფალია და იმ გამოცდილებით, რომელიც მხატვარმა ახალ ტექნოლოგიებზე მუშაობისას დააგროვა, ის უფრო თავისუფლად გრძნობს თავს მხატვრობასთან მიმართებაში. ობიექტი, სიუჟეტი, რომელიც გამოდის დღეს მხატვრობიდან აბსოლუტურად განსხვავებულია. ფერწერას აღარ აქვს აუცილებლობა იყოს დოკუმენტი, დღეს მას აქვს უფლება იყოს უბრალოდ სხეული, ტაქტილობა, თუნდაც სექსი. მე ვამბობ ამას ჯანმრთელი გაგებით. ახალი ტექნოლოგიების შემდეგ, ფერწერას აქვს იმის საშუალება რომ ილაპარაკოს ადამიანურ ურთიერთობებზე, სააშკარაოზე გამოიტანოს სიყვარული, დაგვანახოს ის ისე, როგორც დღეს ეს გვჭირდება. ვფიქრობ, რომ ხელოვნებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ურთიერთობებში. მე ძალიან მიყვარს ვიდეოს კეთება, მოძრავი გამოსახულება ჩემთვის დღესაც საინტერესოა. მაგრამ სწორედ ფერწერა მაძლევს საშუალებას გავაკეთო უკეთესი მოძრავი გამოსახულება.

**- ამ ვიდეო ნოველებიდან ერთ-ერთში თქვენს თავს ესაუბრებით. რა ხდება?**

- ჩემს თავს სიყვარული ავუხსენი.

**- ანუ საკუთარი თავის სიყვარულით იწყება საერთოდ სიყვარული?**

რა თქმა უნდა, შენ თუ შენი თავი არ გიყვარს, სხვასაც ვერ შეიყვარებ."



# აფიშა

## 21 ნოემბერი

### თეატრი

**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
მცირე სცენა
"Play ანუ სიკვდილის როკვა"
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

ექსპერიმენტული სცენა
ფიზიკური თეატრი ImproArt
"გიჟები"
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
"ანტიგონე"
რეჟისორი თემურ ჩხეიძე
დასაწყისი: 19.00

თეატრი სხვენში
"ფერხული"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

**მუსიკისა და დრამის თეატრი**
"სახლი საზღვარზე"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"ხანუმა"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
"5 დღე უმუშევარი მსახიობის ცხოვრებიდან"
დასაწყისი: 19.00

**პანტომიმის თეატრი**
"სტუმარ-მასპინძელი"
რეჟისორი ამირან შალიკაშვილი
დასაწყისი: 18.00

### კინო

**"რუსთაველი"**
"იდიოტოკრატია"
დასაწყისი: 17.30; 20.00; 22.30
"კოსმონავტი მაიმუნები"
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30
"მკვლელობის უფლება"
დასაწყისი: 19.30; 21.30
"სახიფათო ბანგკოკი"
დასაწყისი: 13.00; 15.30; 17.30; 20.00; 22.00
"სასიკვდილო რბოლა"
დასაწყისი: 17.45; 20.45; 21.45
"სამი სახლი"
დასაწყისი: 17.00; 19.00; 21.00

**"ამირანი"**
"მარადონა"
დასაწყისი: 13.00; 15.30; 20.00; 22.00

"სამი სახლი"
დასაწყისი: 15.00; 17.00; 19.30; 21.30
"იდიოტოკრატია"
დასაწყისი: 12.45; 15.00

### გალერეა

**"ქარვასლა"**
კოკა რამიშვილის პერსონალური გამოფენა

**"ბაია გალერეა"**
"XX საუკუნე – საწყისი სივრცე"
ქართული მოდერნისტული მხატვრობა

**"ორნამენტი"**
ტიხრული მინანქრის მუდმივმოქმედი გამოფენა

**"აკადემია +"**
გიორგი აფციაური, გოგა ჯაფარიძე, კახა დემურაძე
"ქართლი" - ფერწერა, გრაფიკა, ობიექტი

**"კოპალა"**
ფოტოგამოფენა
"საქართველო იღებს მრავალფეროვნებას"

**"ვერნისაჟი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების შერეული გამოფენა

**თი ბი სი ბანკის საგამოფენო დარბაზი**
კახა ჩხატარაშვილის პერსონალური გამოფენა

### თსუ-ში ჟურნალისტ ირმა ინაშვილის ფილმის ჩვენება გაიმართა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტ ირმა ინაშვილის ფილმის ჩვენება გაიმართა.

თსუ-ს სტუდენტებმა 4-სერიანი დოკუმენტური ფილმის 3 სერია ნახეს, რომელიც ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს, ასევე "ტელეიმედის" საკითხებს ეხება. როგორც თსუ-ს სენატის წევრმა ცოტნე ზურაბიანმა განაცხადა, უნივერსიტეტში სისტემატურად გაიმართება მსგავსი ფილმების ჩვენება; სტუდენტებთან სხვადასხვა თემებზე სასაუბროდ მიწვეულნი იქნებიან საზოგადოების წარმომადგენლები.

*ინტერპრესნიუსი*

### კინომსახიობთა თეატრი ახალ სეზონს 22 ნოემბერს გახსნის

კინომსახიობთა თეატრი ახალი სეზონის გახნისთვის ემზადება. დაგვიანებულ სეზონს თეატრი 22 ნოემბერს მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლით "ბაკულას ღორები" გახსნის, რომელსაც 30 წელი შეუსრულდა.

სპექტაკლს მსახიობთა ორი შემადგენლობა ითამაშებს, ისინი, ვინც თავად თუმანიშვილმა დაამტკიცა როლებზე და, რომლებმაც აღდგენილ ვერსიაში ითამაშეს.

თეატრის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, სეზონი ოქტომბრის დასაწყისში ვერ გაიხსნა. მას შემდეგ, რაც კულტურის მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ქეთი დოლიძე დანიშნა, რეჟისორმა პირობა დადო, რომ სეზონს უახლოეს ხანებში, სწორედ "ბაკულას ღორებით" გახსნიდა.

*ინტერპრესნიუსი*

### აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახლმწიფო ანსამბლი თბილისში გასტროლებს მართავს

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახლმწიფო ანსამბლი თბილისში გასტროლებს მართავს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი თბილისში გასტროლებს მართავს. გასტროლები ანსამბლის 25 წლის იუბილეს უკავშირდება. აჭარლები ერთადერთ კონცერტს პროფკავშირების კულტურის სასახლეში ხვალ გამართავენ.

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი 25 წლის წინ ცნობილმა ქართველმა მოცეკვავემ ენვერ ხაბაძემ დააარსა.

*ინტერპრესნიუსი*

### "ქარვასლა" კოკა რამიშვილის პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და თბილისის ისტორიის მუზეუმი ცნობილი ქართველი მხატვრის კოკა რამიშვილის გამოფენას - "დოკუმენტებიდან გამოსახულებამდე" წარმოადგენს.

"ქარვასლაში წარმოდგენილი გამოფენა ოთხი ეტაპისაგან შედგება: ვიდეოარტი, სადაც ნაჩვენები იქნება 2000-2007 წლამდე შექმნილი კოკა რამიშვილის 12 ნამუშევარი. აღნიშნული ვიდეოარტი წარმოდგენილი იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: ნიუ-იორკი, ლონდონი, პარიზი, პრაღა, ჰელსინკი, ამსტერდამი, ბერლინი; აკვარელი, სადაც წარმოდგენილი იქნება 200 ნამუშევარი სახელწოდებით "კასპარ ჰაუზერის ამბავი"; ფერწერული სერია სახელწოდებით „სხვა წიგნი". ეს არის ნამუშევრების სერია, რომელიც აგებულია ორგანზომილებიან თანამედროვე ფერწერის პრინციპზე და ფოტო სერია „ოჯახის ალბომი", რომელიც შექმნილია 2004-2007 წლებში.

"ქარვასლაში" კოკა რამიშვილის პირველი გამოფენა 1987 წელს შედგა და მას მერე აქტიურად იღებდა მონაწილეობას თითქმის ყველა წამყვან, თანამედროვე ხელოვნების გამოფენებში.

კოკა რამიშვილი 1999 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში, სადაც მოძრავი გამოსახულების კურსი მიჰყავს ჟენევის სამხატვრო აკადემიაში.

კოკა რამიშვილი ითვლება 80-იანი წლების ერთ-ერთ წამყვან, თანამედროვე მხატვრად. ბოლო 15 წლის განმავლობაში მისი შემოქმედება იყო ხიდი ევროპისა და საქართველოს კულტურებს შორის. რამიშვილის გამოფენას "ქარვასლა" ათი დღის განმავლობაში, 30 ნოემბრამდე უმასპინძლებს.

*ინტერპრესნიუსი*

### "სანგუკო" ახალი მხატვრული ფილმის "მედიატორი" პრემიერას გამართავს

კინოთეატრ "ამირანში" კინოსტუდია "სანგუკო" ახალ მხატვრულ ფილმს პრესისა და კინოკრიტიკოსებისთვის უჩვენებს. 21 ნოემბერს კი ფილმი კინოგაქირავებაში გამოვა.

"მედიატორის" სცენარი დიტო ცინცაძესა და აკა მორჩილაძეს ეკუთვნის. ფილმის რეჟისორია დიტო ცინცაძე, ოპერატორი გოგა დევდარიანი.

ფილმის მთავარ როლებს მსახიობთა ინტერნაციონალური შემადგენლობა ასრულებს: იუენ ბრემნერი (დიდი ბრიტანეთი), ვიქტორია ისაკოვა (რუსეთი), მერაბ ნინიძე, ნუცა კუხიანიძე, დინა კორზუნი (რუსეთი), ბურქჰარდ კლაუსნერი (გერმანია) გიორგი ნაკაშიძე, მარიკა გიორგობიანი, ლევან დობორჯგინიძე, ზაზა კოლელიშვილი, დათო იაშვილი, ნატა მურვანიძე და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ "მედიატორი" წარდგენილია "ოსკარის" ნომინაციაში "წლის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი" მოსახვედრად.

*ინტერპრესნიუსი*

# გისოსებს მიღმა გათამაშებული ისტორია

## რუსთაველის თეატრმა სპექტაკლს - "გიჟები" უმასპინძლა

თამარ კიკნაველიძე





გერმანიაში, კერძოდ ბავარიაში, გამგზავრებამდე, ფიზიკურმა თეატრმა - "improART" თავი რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ დარბაზს შეაფარა, სადაც სპექტაკლი "გიჟები" წარმოადგინა. მისი ნახვის საშუალება მაყურებელს დღესაც მიეცემა.

ფიზიკური თეატრის შესახებ გაზეთ "24 საათის" 18 ნოემბრის ნომერში ვწერდით. ამიტომაც, ერთგულ მკითხველს, საინტერესო შემოქმედებითი გაერთიანების შესახებ, მხოლოდ იმას შევახსენებ, რომ ფიზიკური თეატრი 1998 წელს დაარსდა. თავდაპირველად მსახიობები რეპეტიციებს სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე გადიოდნენ, შემდეგ კი მათი სპექტაკლები საქართველოს არაერთი თეატრის სცენაზე დაიდგა. აღსანიშნავია, რომ ამ თეატრის წარმოდგენები თანამედროვე ცეკვის, აკრობატული ილეთებისა და თეატრალურ ჟანრთა სინთეზია, რომელიც ფილოსოფიური შინაარსითა და დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა. სპექტაკლების ეპიზოდები აგებულია აქტუალურ თემებზე, რომლებიც დრამატიზმით, მოძრაობაში გამოხატული ექსპრესიულობითა და ტრაგიზმით გაჯერებული იუმორით არის გაჯერებული.

სპექტაკლი "გიჟები" ამ თეატრის რიგით მესამე დადგმაა. მასში სულ ხუთი მსახიობი მონაწილეობს, ესენი არიან: ბუხუტი ასანიძე, კობა შონია, ზურა ხომასურიძე, გიორგი სოსანი, რომელიც დადგმის ქორეოგრაფიც გახლავთ და თეა მამუკელაშვილი-სოსანი, რომელმაც, გარდა იმისა, რომ სპექტაკლში გამორჩეული სახე შექმნა, მისი რეჟისორიც აღმოჩნდა.

სცენაზე პლასტიკით გამორჩეული შემსრულებლების მოქმედების გრაფიკი თავებად შეიძლება დაიყოს, აი, მაგალითად ასე: სამყარო, რომელშიც ადგილს ვეძებთ, სივრცე, რომელშიც მოგვათავსეს, ბრძოლა ადგილისათვის, სიმარტოვის განცდა, ზეიმი უჩვენოდ, ფიქრში დაკარგულები, სალექი რეზინი, სიყვარულში გადაზრდილი კონფლიქტი, სიმყუდროვის დარღვევა, პროტესტი და ისტერია, დამამშვიდებელი თერაპია და გისოსებს მიღმა. ცხადია, გრაფიკის დინამიურობა ცვალებადია და კულმინაციას, ძირითადად, გამძაფრებული დრამატიზმის შემთხვევაში აღწევს. გისოსებს მიღმა მოთავსებული ერთი ქალისა და ოთხი მამაკაცის მოქმედება მოცემული სიუჟეტის არავერბალურ თხრობაზეა აგებული. შემსრულებლების მიერ პლასტიკისა და მიმიკის საშუალებით გამოხატულ თხრობას მაყურებელმა აზრი მიადევნა, რაც მონაწილეების დამაჯერებელი შესრულებისა და პროფესიონალიზმის დამსახურებაა - ისინი ბოლომდე დაიხარჯნენ.

მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული წარმოდგენა მთლიანობაში საინტერესო აღმოჩნდა, იქაც კი, რამდენიმე სცენა მაინც გამორჩეული იყო, მაგალითად: ბრძოლა ადგილისათვის, სადაც ვითარდება მოქმედების დრამატურგიული ხაზი, ან ზეიმი უჩვენოდ – აქ პერსონაჟების ემოციურობა ვლინდება... სპექტაკლში ყველაზე სასაცილოა სალექი რეზინის სცენა... წარმოდგენის ბოლოს კი, მსახიობები ნიღბებსაც "ირგებენ" - მათი ტარება გისოსებს მიღმა დარჩენილებსაც კი უწევთ... და, მიუხედავად იმისა, რომ გიჟები არიან, არჩევანს მაინც აკეთებენ – ისინი ნიღბებს იშორებენ, უმკლავდებიან შიშს ექიმისადმი, რომელიც მათ "სიმყუდროვეს" არღვევს და თავისუფლების მოსაპოვებლად იპარებიან!

სპექტაკლი დინამიურია და სხვადასხვა ჟანრის მუსიკაზეა აგებული. აქ ხუთივე მსახიობს თავისი ადგილი აქვს და შესაბამისად, მეორეხარისხოვანი როლიც არარსებობს.

# მორიგი ფილმი ტერმინატორზე

## დაბრუნდება თუ არა შვარცენეგერი ტელეეკრანებზე?



ტერმინატორის ცნობილ სერიაზე "ახალი ცხოვრების შთაბერვა", ახალი ფილმი გამოდის. ამის შესახებ რეჟისორმა მაკ-დჟიმმა პრესკონფერენცია მოაწყო და განაცხადა, რომ ახალი ფილმი - "ტერმინატორის გადარჩენა", კომპიუტერული ეფექტების მხრივ რევოლუციური ნამუშევარი იქნება. ფილმში მოქმედება 2018 წელს ბირთვული კატასტროფის შემდეგ ხდება, სადაც "ბინძური და მძიმე" მსოფლიოა აღწერილი და ომში მყოფი ხალხი თავის გადასარჩენად საბედისწერო საქმიანობას მიჰყოფს ხელს. მსახიობი კრისტიან ბეილი ჯონ კონორის როლს თამაშობს, რომელიც კიბორგების არმიის წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხების ლიდერია. "როდესაც კრისტიანი გამოჩნდა, ჩვენ მივხვდით, რომ შეგვეძლო გაგვეკეთებინა რაღაც განსაკუთრებული", - განუცხადა ჟურნალისტებს რეჟისორმა. ფილმში მონაწილე სხვა მსახიობებს შორის არიან, ასევე: ბრაის დალას ჰაუერდი, ავსტრალიელი სემ უორტინგტონი და ანტონ ელჩინი, რომელიც პარალელურად სერიალ "ვარსკვლავების გზა"-ს ახალ ფილმში იღებს მონაწილეობას.

რეჟისორმა მაკ-დჟიმ უარი თქვა დაედასტურებინა ან გაებათილებინა ხმები იმის შესახებ, რომ ახალ ფილმში შესაძლოა კალიფორნიის გუბერნატორი - არნოლდ შვარცენეგერი გამოჩნდეს, რომელიც ტერმინატორის სულ პირველ ფილმში იღებდა მონაწილეობას. "T-800 ფილმში დიდ როლს თამაშობს", - ორაზროვნად აღნიშნა რეჟისორმა, რომელიც ტერმინატორის პირველი მოდელის სერიულ ნომერს გულისხმობდა. ჟურნალისტებს მან "საკუთარი ფანტაზიის გამომჟღავნების " საშუალება მისცა და საიდუმლოს გამხელაზე უარი განაცხადა.

დადის ხმები იმის შესახებ, რომ შვარცენეგერი თავისი სახის ციფრული საშუალებით ტერმინატორის სახეზე გამოსახვას დათანხმდა. ჟურნალისტებისთვის წარმოდგენილი ხუთწუთიანი სარეკლამო რგოლი, მათი აღფრთოვანების მთავარი მიზეზი გახდა: კასკადიორთა ხრიკები, სროლები, საავტომობილო დევნები და ა.შ. მასში ფიგურირებდა ასევე ორბორბლიანი მანქანა, სახელწოდებით "მოტოტერმინატორი".

ყველაფრის მიუხედავად, 40 წლის მაკ-დჟი, რომლის ნამდვილი სახელია ჯოზეფ მაკჰინტი ნიკოლი, გაურბის წინა წელს გამოსული ფილმის "ტრანსფორმერი"-ს ტერმინატორის ახალ ფილმთან შედარებას. "ტრანსფორმერი" მშვენიერი ფილმია, თუმცა ჩვენს ფილმში არ არის ბევრი სამუშაო. ფილმში ბევრი ტექნიკა და სისწრაფე მინდა, თუმცა არ მსურს, რომ იგი მხოლოდ ამისგან შედგებოდეს", - აღნიშნა "ბი-ბი-სი"-სთან ინტერვიუში რეჟისორმა. მან ასევე გაამხილა, რომ ტერმინატორის მეორე ტრილოგიის ახალი ორი ფილმისთვის სიუჟეტები უკვე მომზადებული აქვს. რეჟისორ ჯეიმს კამერონის მიერ 1984 წელს გადაღებული "ტერმინატორების" სერიის პირველ ფილმს, მალევე მოჰყვა ორი სიქველი და ტელესერიალი "სარა კონორის ქრონიკები". მაკ-დჟის თქმით, "ტერმინატორის გადარჩენის" გადაღებაზე თანხმობის მიცემამდე, იგი კამერონს თავაზიანად ესტუმრა. "მე მინდოდა თავად მეთქვა მისთვის, თუ რა ხდებოდა და რა გეგმები გვქონდა მომავალში". "ტიტანიკის" შემქმნელს მაკ-დჟისთვის გზა არ დაულოცია, თუმცა არც გაუკიცხავს იგი.

სტენ უინსტონი სპეცეფექტების პირველი ინიციატორი და ტერმინატორის ცნობილი ჩონჩხის ავტორია.იგი გარდაცვალებამდე მუშაობდა ახალ ფილმზე მაკ-დჟიმ, რომლის წინა ნამუშევარს წარმოადგენს ფილმი "ჩარლის ანგელოზები" და მისი სიქველი, აღნიშნა, რომ სურვილი აქვს, თავისი ფილმი გარდაცვლილი დიზაინერის ხსოვნას მიუძღვნას.

ამერიკულ კინოგაქირავებაში "ტერმინატორის გადარჩენა" 2009 წლის 22 მაისს, ხოლო დიდ ბრიტანეთში 5 ივნისს გამოვა.

# სპორტი

## ზაგრებში ახალგაზრდა ევროპელები კიმონოთი შეიმოსნენ

გიგა გურასაშვილი

*ძიუდოისტთა ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბორის ფირცხელიანმა გუნდი საქართველოს ჩემპიონებით დააკომპლექტა და ზაგრებში წაიყვანა. ჩემპიონატი დღეს იწყება და ზეგ დასრულდება. ფირცხელიანს იმედი აქვს, რომ მისი შეგირდები შინ მედლებით დაბრუნდებიან.*



*ახალგაზრდები ხორვატიაში მიემგზავრებიან.*

“ნაკრები საქართველოს 23 წლამდელთა ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით დაახლოებით ორი თვის წინ დაკომპლექტდა. ზაგრების ტატამზე საქართველოს ჩემპიონები იასპარეზებენ. გამონაკლისი მხოლოდ 66 კილოგრამი წონითი კატეგორიაა. აქ საქართველოს ვიცე-ჩემპიონს უჩა ხუციშვილს ვანდეთ ნაკრების ღირსების დაცვა, - ზაგრებში გამგზავრებამდე აცხადებდა ბორის ფირცხელიანი, - ბიჭების მზადყოფნით კმაყოფილი ვარ, რაც წარმატების იმედს მაძლევს”.

საქართველოს 23 წლამდელთა ნაკრებში ყველაზე მეტი გამოცდილება აქვთ ბეთქილ შუკვანს (60 კგ.), დავით ლორიაშვილსა (100) და ადამ ოქრუაშვილს (მძიმე).

შუკვანსა და ოქრუაშვილს რა ხანია დიდ ნაკრებში ასპარეზობის გამოცდილება უმაგრებთ ზურგს და თან ძირითადი ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან. ამის გამო ასაკობრივ ჩემპიონატში მედლის პრეტენდენტებადაც მიიჩნევიან.

ევროპის ძიუდოის კავშირმა მსაჯის რანგში მიიწვია ამირან ტოტიკაშვილი. ასე რომ, მისი სახით ევროპულ ტატამზე კიდევ ერთ ქართველს ვიხილავთ.

თემას საქართველოს ჩემპიონატით გავაგრძელებთ და გეტყვით, რომ ეროვნულ ჩემპიონატს 2-3 დეკემბერს ძიუდოს ახალი დარბაზი (დიღმის სპეციალიზებული ძიუდოს სკოლა) უმასპინძლებს.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის თქმით, საქართველოს ჩემპიონატში არ იასპარეზებენ ნაკრების პირველი ნომრები. გამონაკლისია მხოლოდ 81 კილოგრამი წონითი კატეგორია - აქ ნაკრებს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. ჩემპიონატი 29-30 ნოემბერს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ ხაბარელი ევროპის ძიუდოს კავშირის კონგრესზეა მიწვეული, ტურნირი სამი დღის დაგვიანებით დაიწყება.

**საქართველოს 23 წლამდელთა ნაკრები:**

60 კგ.
ბეთქილ შუკვანი
66 კგ.
უჩა ხუციშვილი
73 კგ.
თენგიზ პაპოშვილი
81 კგ.
გიგა წიკლაური
90 კგ.
გიორგი ეპიტაშვილი
100 კგ.
დავით ლორიაშვილი
+100 კგ.
ადამ ოქრუაშვილი

## რუსულ-ქართულ დაპირისპირებას ესტონური გუნდი ემსხვერპლა

ესტონური საკალათბურთო გუნდი "როკი" ევროპის ჩელენჯ კაპზე ასპარეზობს. ესტონურ გუნდს ორი ქართველი ლეგიონერი ჰყავს - გიორგი ცინცაძე და ვიქტორ სანიკიძე. საქართველოს ნაკრების კალათბურთელები "როკში" წამყვან მოთამაშეებად ითვლებიან. ცინცაძე თავისი გუნდის ლიდერია და მუდამ ძირითად ხუთეულში თამაშობს. სანიკიძე კი, რომელმაც სეზონის დასაწყისში გააფორმა კონტრაქტი "როკთან", ძირითად ხუთეულში არ დამკვიდრებულა, მაგრამ ხშირად გადის მოედანზე და შედეგიანადაც თამაშობს.



*სანიკიძეს და ცინცაძეს რუსეთის ვიზები არ მისცეს.*

25 ნოემბერს "როკერები" ევროპის ჩელენჯ კაპზე რუსულ ცსკ ვვს-სთან გასვლით მატჩს გამართავენ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ "როკის" ქართველ ლეგიონერებზე ვიზები არ გასცა, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილია. ვიზების გარეშე ესტონური გუნდის ორი ქართველი ლიდერი, ცხადია, რუსეთში ვერ ჩავა.

როკერთა მესვეურებმა თხოვნით მიმართეს ევროპის საკალათბურთო ასოციაციის (FIBA) ხელმძღვანელობას, რომ მათ როგორმე გავლენა მოახდინონ რუსეთზე, რათა ქართველი ლეგიონერების თამაში შესაძლებელი გახდეს. თუ სანიკიძისა და ცინცაძის ვიზების საკითხი დროულად არ მოგვარდა, ესტონური გუნდი არ აპირებს რუსეთში გამგზავრებას და მატჩის ჩაშლით იმუქრება.

ასეთივე პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს უკრაინული "ბკ კიევიც", რომელიც ჩელენჯ კაპის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე ერთ-ერთ რუსულ კლუბს უნდა შეხვდეს. "ბკ კიევში" მანუჩარ მარკოიშვილი თამაშობს.

### გვაზავას "რუბინი" იწვევს

ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგიას" ქართველმა ნახევარმცველმა ლევან გვაზავამ, დიდი შანსია, რუსეთის საფეხბურთო პრემიერლიგის მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ რუსეთის ჩემპიონ ყაზანის "რუბინში" გააგრძელოს კარიერა. "ლუჩ-ენერგიას" პირველ ლიგაში დაქვეითების შემდეგ გვაზავა გუნდის დატოვებას აპირებს. აქამდე მის მიმართ პრემიერლიგაში წელს დაბრუნებული "როსტოვი" და "ყუბანი" იჩენდნენ ინტერესს. თუმცა, ალბათ, ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში რუსეთში ოქროს მედლების მომგებ "რუბინზე" შეაჩერებს არჩევანს.

გვაზავა "ლუჩ-ენერგიაში" 2007 წლის ზამთარში ნალჩიკის "სპარტაკიდან" გადავიდა და გუნდის რიგებში ჩატარებულ 35 მატჩში 10 გოლი გაიტანა.

### სირაძე ნალჩიკს დატოვებს

ნალჩიკის "სპარტაკის" ქართველი ფორვარდი დავით სირაძე, რუსეთის პრემიერლიგის მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ, კლუბთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის მომავალი წლიდან ახალ გუნდში ითამაშებს.

"ასი პროცენტით შემიძლია გითხრათ, რომ ნალჩიკში ახალი სეზონიდან ნამდვილად არ ვითამაშებ. კონკრეტულად რომელ გუნდში ჩავირიცხები, ამის თქმა მხოლოდ ჩემპიონატის ბოლო ტურის შემდეგ შემეძლება. დიდი ალბათობაა, რომ ეს გუნდი რუსეთის პრემიერლიგისა იქნება, თუმცა, არც სხვა ქვეყანაში წასვლას გამოვრიცხავ. ტრანსფერის საკითხებს იგივე მენეჯერი აგვარებს, რომელმაც გერმანიიდან რუსეთში ჩემი გადმოყვანა უზრუნველყო," - განაცხადა დავით სირაძემ.

### უკრაინაში ევრო 2012-ისთვის მომზადების სააგენტო გააუქმეს

უკრაინის ხელისუფლებამ ევროპის 2012 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირისთვის მომზადების ეროვნული სააგენტო გააუქმა.

ჟურნალისტებს ამის შესახებ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გრიგორი სურკისმა შეატყობინა. გასულ წელს დაარსებული სააგენტოს გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა. ოფიციალური მიზეზები კი არ სახელდება. უკრაინაში ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის მომზადებაზე პასუხისმგებელია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო უდგას სათავეში. სააგენტო კი 2007 წლის აგვისტოში ორგკომიტეტისთვის დახმარების გაწევის მიზნით ჩამოყალიბდა. უკრაინა კონტინენტის უმთავრეს საფეხბურთო ტურნირს 2012 წელს პოლონეთთან ერთად უმასპინძლებს.

### "იუვენტუსი" ისევ პოულსენის გარეშე ითამაშებს

ტურინის "იუვენტუსის" ნახევარმცველი კრისტიან პოულსენი, რომელმაც გადატანილი ტრავმის შემდეგ გუნდთან ერთად მიმდინარე კვირის დასაწყისში განაახლა ვარჯიში, ისევ დაშავდა. დანიელმა ფეხბურთელმა დღევანდელ ვარჯიშზე ფეხი დაიზიანა. რამდენად სერიოზულია ტრავმა, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, კლუბის სამედიცინო შტაბის წინასწარი ვარაუდით, პოულსენი 22 ნოემბერს "ინტერთან" სერია A-ს მორიგი ტურის მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

### ზე რობერტოს ოცნება

მიუნხენის "ბაიერნის" ბრაზილიელ ნახევარმცველს ზე რობერტოს საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მღვდლად გახდომა სურს.

"ჩემს ცხოვრებაში რელიგიას უდიდესი ადგილი უჭირავს და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იმისთვის, რომ მღვდელი გავხდე, კარიერის დასრულების შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, თეოლოგიის შესწავლა მომიწევს," - აცხადებს ბრაზილიელი, რომელსაც "ბაიერნთან" მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება და ფეხბურთიდან წასვლაზე ფიქრობს.

### დე იონგი იანვრის ბოლომდე ვერ ითამაშებს

გერმანული "ჰამბურგის" ნახევარმცველმა ნაიჯელ დე იონგმა, რომელმაც ტრავმით გამოწვეული პაუზის შემდეგ ცოტა ხნის წინ განაახლა ვარჯიში, მუხლის მყესები დაიზიანა და გუნდს იანვრის ბოლომდე ვერ დაეხმარება.

23 წლის ჰოლანდიელი ფეხბურთელის მოედანზე დაბრუნება გერმანიის ჩემპიონატის გასულ ტურში იგეგმებოდა, თუმცა, მატჩის წინ გამართულ ვარჯიშზე მან მორიგი ტრავმა მიიღო. საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დე იონგს მყესები აქვს გაწყვეტილი.

## მსაჯს მოკვლით ემუქრებიან

ჩემპიონთა ლიგაში "ლივერპულსა" და "ატლეტიკოს" შორის 4 ნოემბერს გამართული მატჩის მთავარ არბიტრს მარტინ ჰანსონს მოკვლით ემუქრებიან.

ჰანსონმა "ენფილდზე" 1:1 დასრულებული შეხვედრის მიწურულს ესპანური კლუბის კარში საეჭვო პენალტი დანიშნა. ამ თერთმეტმეტრიანის წყალობით მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს. სწორედ ამის შემდეგ შვედმა მსაჯმა მუქარის წერილები მიიღო.

"უცნობები სულ მირეკავენ ან წერილებს მიგზავნიან და მოკვლით მემუქრებიან. თითქოს ეს ჩვეულებრივი რამ გახდა, თუმცა, მათი განცხადებები უფრო და უფრო საშიში ხდება," - აცხადებს ჰანსონი.

## ფანები გამოძიებას ითხოვენ

ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივრებმა გუნდის საშინაო თამაშებზე დასასწრები ბილეთების ფასების ზრდის ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიების დაწყების მოთხოვნით, სამართალიანი კონკურენციის სამსახურს მიმართეს.

ფანკლუბის საჩივრის თანახმად, 2005 წლიდან, ესე იგი, მას შემდეგ, რაც მანჩესტერული კლუბი ამერიკელმა ბიზნესმენმა მალკოლმ გლეიზერმა შეიძინა, ბილეთების ზოგიერთ კატეგორიაზე ფასი 60 პროცენტით გაიზარდა, რაც კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდის.

"ბოლო წლებში ბილეთების ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კლუბის ხელმძღვანელობა გულშემატკივრების გუნდისადმი ერთგულებას საკუთარი მიზნებისთვის იყენებს," - აცხადებს ფან-კლუბის ხელმძღვანელი დანკან დრასდო.

## ქპრ-ს სოუზა გაუძღვება

პორტუგალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი პაულუ სოუზა ინგლისის ჩემპიონლიგაში მოასპარეზე "ქუინზ პარკ რეინჯერსის" მთავარ მწვრთნელად დანიშნეს.

სოუზამ, რომელიც ბოლო ხუთი წლის მანძილზე თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა, კლუბთან ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

## პეტროვი ოპერაციამ დიდი ხნით დაასვენა

ბულგარეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ინგლისის "მანჩესტერ სიტის" მარცხენა ნახევარმცველმა მარტინ პეტროვმა მარცხენა მუხლის მენისკზე ოპერაცია გაიკეთა და გუნდს 3-4 თვით დააკლდება.

პეტროვმა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, 15 ოქტომბერს, თბილისში საქართველოსა და ბულგარეთის ეროვნულ ნაკრებებს შორის გამართულ მატჩში დაიშავა ფეხი.

"სიტის" ხელმძღვანელობას არ სურდა, რომ პეტროვს ოპერაცია გაეკეთებინა. გუნდის საექიმო შტაბი ცდილობდა ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობა ფიზიოთერაპიული პროცედურებით გამოესწორებინა. თუმცა, ამან შედეგი არ გამოიღო და მანჩესტერელები ბულგარელის დიდი ხნით გამოკლებაზე დათანხმდნენ.

მენისკის დაიზიანებამდე პეტროვს მუხლის მყესის ტრავმა ახალი მორჩენილი ჰქონდა.

29 წლის ბულგარელი 2007 წელს მადრიდის "ატლეტიკოდან" გადავიდა "სიტიში" და გუნდის რიგებში ჩატარებულ 37 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა.

საკუთარი ქვეყნის ნაკრების ღირსებას ის 1999 წლდან იცავს და 71 მატჩში 17-ჯერ შეარხია მეტოქის კარის ბადე.

## ფანები გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ

პორტუგალიური საფეხბურთო კლუბ "ბენფიკას" ცნობილი ფანდაჯგუფების No Name Boys-ის 30 წევრი სხვადასხვა სახის მძიმე ბრალდებით დააკავეს. დაკავებულებს ბრალად ედებათ იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვა-გასაღება, არეულობების, ხანძრებისა და ადამიანებზე თავდასხმების მოწყობა.

ამ კრიმინალური ჯგუფის დასაკავებლად განხორციელებულ ოპერაციას, სახელწოდებით - FFair Play პორტუგალიელი სამართალდამცავები დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ამზადებდნენ. მასში 250-მა პოლიციელმა მიიღო მონაწილეობა.

## შუშაკს სომხეთში იწვევენ

დიდი შანსია, რომ სომხეთის საფეხბურთო ჩემპიონატში მოასპარეზე "მიკას" ახალი წლიდან თბილისის "დინამოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ხორვატი ივო შუშაკი ჩაუდგეს სათავეში.

"მიკას" ხელმძღვანელობა შუშაკთან მოლაპარაკებას აწარმოებს. 20 ოქტომბერს ხორვატი სომხეთის ჩემპიონატში "მიკასა" და "კილიკიას" შორის გამართულ მატჩსაც დაესწრო.

ამჟამად აშტარაკულ გუნდს თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი ლევან ნოდია უნგრელ იშტვან სეკეჩთან ერთად წვრთნის. ქართველი ლეგიონერებიდან "მიკას" ღირსებას იცავს თბილისის "ვიტ ჯორჯიას" ყოფილი თავდამსხმელი ზაზა სახოკია.

# "ქორებმა" წარუმატებელი სერია შეწყვიტეს

## ფაჩულიამ პირადი რეკორდი დაამყარა

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგ მატჩს "ატლანტა ჰოუქსი" საკუთარ მოედანზე მართავდა. ზედიზედ განცდილი ოთხი მარცხის შემდეგ "ქორებმა" "ფილიპს ცენტრში" "ვაშინგტონ უიზარდსს" უმასპინძლეს. მოგეხსენებათ, ჯორჯიულ გუნდს უკანასკნელ ხანს სერიოზული პრობლემები აქვს. ამის მიზეზი წამყვან კალათბურთელთა ტრავმებია და 4-მატჩიანი წარუმატებელი სერიაც ამის ბრალი იყო. დედაქალაქელებთან შეხვედრაში "ქორებს" ჯოშ სმიტი და ალ ჰარფორდი ვერ ეხმარებოდნენ, არადა, ორივე კალათბურთელი ყოველთვის ძირითადში თამაშობს. ალ ჰარფორდის არყოფნა "ატლანტასთვის" კი არასასიამოვნოა, მაგრამ ზაზა ფაჩულიას თავის გამოჩენის კარგ შანსს აძლევს და ქართველმაც ეს შანსი ბრწყინვალედ გამოიყენა - "ვაშინგტონთან" მატჩში პირადი რეკორდი დაამყარა.



ფაჩულიამ ფარზე მორიგი ბურთი მოხსნა.

ქართველმა ცენტრმა თამაში ძირითად ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 34 წუთი დაჰყო. მართალია, შედეგიანობით ქართველი თავის გუნდში ლიდერი არ ყოფილა - მხოლოდ 4 ქულა შესძინა "ქორებს", მაგრამ ფაჩულიას ანგარიშზე ფარიდან მოხსნილი 18 ბურთია, რაც ზაზას კარიერაში სარეკორდო მაჩვენებელია. აქედან რვა მოხსნა მან მეტოქის ფარზე განახორციელა. აგრეთვე ოთხი შედეგიანი გადაცემა გააკეთა და ერთხელ მეტოქის შეტევა ჩაჭრა.

საბოლოოდ "ატლანტამ" მეტოქე დაამარცხა - 91:87. მასპინძელთა შორის საუკეთესო იყო მარვინ უილიამსი, რომელმაც 21 ქულითა და 14 მოხსნით სეზონში პირველი დაბლი მიითვალა.

"მან დღეს ბრწყინვალედ ითამაშა - 21 ქულა და 14 მოხსნა. თანაც ანტუან ჯემისონის გაჩერება შეძლო. ნამდვილად მატჩის გმირია," - თქვა შეხვედრის შემდეგ მარვინ უილიამსის შესახებ "ატლანტას" მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა.

თავად უილიამსმა კი ფაჩულია შეაქო: "დღეს ალ ჰარფორდი მოედანზე არ იყო. ასეთ დროს ფარქვეშ ზაზა მუშაობს. დღეს ზაზას და ჩემი დღე იყო. ჩვენი დრო დადგა და დაკისრებულ მოვალეობას კარგად გავართვით თავი. დღევანდელი მატჩის წაგება არ შეიძლებოდა და ზაზას დახმარებით გამარჯვება შევძელით".

"ვაშინგტონის" შემადგენლობაში საუკეთესო იყო კარონ ბატლერი, რომელმაც შეხვედრა 32 ქულითა და 7 მოხსნით დაასრულა.

# დრეზდენში ქართველებმა პოზიციები დათმეს

გერმანიის ქალაქ დრეზდენში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადიაზე მეექვსე ტური წარუმატებელი გამოდგა საქართველოს ნაკრებისთვის. დამარცხდნენ ვაჟებიც და ქალებიც. ხუთი ტურის შემდეგ ოლიმპიადაზე დასვენების დღე გამოცხადდა და 19 ნოემბერს მოჭადრაკეები უქმობდნენ. მეექვსე ტურში ვაჟები ჩინელებთან დამარცხდნენ, ქალები კი - პოლონელებთან. ქალთა ნაკრები პოლონელებთან 1.5:2.5 დამარცხდა. ჩიბურდანიძემ თავისი პარტია ყაიმით დაასრულა, ძაგნიძემ დაამარცხა მეტოქე, დამარცხდნენ ჯავახიშვილი და ლომინეიშვილი.

ასეთივე ანგარიშით წააგებს ვაჟებმაც. იზორიამ, ფანცულაიამ და არუთუნიანმა საკუთარი პარტიები ყაიმით დაასრულეს, ჯობავა კი დამარცხდა.

ექვსი ტურის შემდეგ ქართველი ვაჟები სატურნირო ცხრილში მათთვის შეუფერებელ - 25-ე ადგილზე არიან. ოლიმპიადას კი სომეხი ვაჟები ლიდერობენ. რაც შეეხება ქალთა ნაკრებს, ის მე-15 ადგილზეა. პირველობას კი ჩინელები ინარჩუნებენ.

# ორმაგი მარცხი

წარუმატებელი გამოდგა გუშინდელი დღე იაპონიაში მიმდინარე ნოემბრის ბაშოზე ქართველი სუმოისტებისთვის. კოკაი, რომელსაც უკვე განაღდებული აქვს დადებითი ბალანსი, აღმოსავლეთის მერვე მაიგაშირა ტაკეკაზესთან დამარცხდა, ტოჩინოშინმა კი მეათე მარცხი იწვნია აღმოსავლეთის მეხუთე მაიგაშირა ასასეკირუსთან.

ის, რომ ტოჩინოშინი რანგით დაქვეითდება, უკვე გადაწყვეტილი ამბავია. დარჩენილ სამ ბრძოლას ახალგაზრდა ქართველი სუმოისტისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არც აქვს. კოკაისთვის კი ბაშოს ბოლო სამი დღე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. საქმე ის არის, რომ თუ ცაგურია სამივე ბრძოლას მოიგებს, პირად რეკორდს დაამყარებს და რეიტინგშიც დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ. ახლა კოკაი მეთერთმეტე მაიგაშირაა და მისთვის ყოველი მოგება რეიტინგში დაწინაურებას ნიშნავს.


პირადი რეკორდის დასამყარებლად კოკაის დარჩენილი სამი ბრძოლის მოგება სჭირდება.

გუშინდელი დღე მნიშვნელოვანი გამოდგა სატურნირო თვალსაზრისითაც - დაიძაბა იმპერატორის თასისთვის ბრძოლა და, ვინ იცის, ბაშოს გამარჯვებულის გამოსავლენად შესაძლოა დამატებითი შერკინების გამართვაც გახდეს საჭირო.

იოკოძუნა ჰაკუჰო, რომელიც აქამდე ერთპიროვნულად ლიდერობდა, აღმოსავლეთის სეკივაკე ამასთან დამარცხდა. ახლა ამ ორ ათლეტს ერთნაირი მაჩვენებელი აქვს - ათ-ათი გამარჯვება და ორ-ორი მარცხი. პოზიციები დათმო აღმოსავლეთის მეშვიდე მაიგაშირა მიაბიამამ, რომელმაც ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. ახლა მის აქტივში ცხრა გამარჯვება და სამი მარცხია. არადა, კარგა ხანს მიაბიამა ჰაკუჰოს მთავარ კონკურენტად ითვლებოდა.

დღეს ასპარეზობის მეცამეტე დღეა. კოკაი აღმოსავლეთის მეთოთხმეტე მაიგაშირა ტაკამისაკირის ხვდება. ამ ბრძოლას ორივე სუმოისტისთვის აქვს მნივშნელობა. ტაკამისაკირის და კოკაის ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ - რვა-რვა გამარჯვება და ოთხ-ოთხი მარცხი. ასე რომ, პირად შეხვედრაში გამარჯვებული ვირტუალურ სატურნირო ცხრილში უფრო მაღალ ადგილს დაიკავებს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში კოკაი სამჯერ შეხვდა ტაკამისაკირის და ორჯერ დამარცხდა.

ტოჩინოშინი ხვდება დასავლეთის პირველ მაიგაშირა ფუტენოს, რომელსაც, ქართველის დარად, ათი ბრძოლა აქვს წაგებული და რეიტინგში დაქვეითებას ვერ გადაურჩება.

# მხოლოდ სამი თვით

დევიდ ბექჰემი "მილანში" მხოლოდ სამ თვეს დაჰყოფს და შემდეგ ამერიკულ "ლოს ანჯელეს გელექსიში" დაბრუნდება, - ასეთ განცხადებას აკეთებს მილანური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი.

"როსონერის" ერთ-ერთ ხელმძღვანელს ჟურნალისტებთან დევიდ ბექჰემის შესახებ საუბარი მას შემდეგ დასჭირდა, რაც "მილანის" მფლობელის სილვიო ბერლუსკონის ვაჟმა პიერ სილვიომ საჯაროდ განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა ბექჰემი ამ სეზონის ბოლომდე დატოვოს გუნდში და შემდეგ ინგლისელთან სრულფასოვანი კონტრაქტიც გაფორმდეს.

შეგახსენებთ, არც ისე დიდი ხნის წინ გადაწყდა, რომ ბექსი "მილანში" იჯარის წესით სამ თვეს ითამაშებს. ამერიკულ მეიჯორ ლიგაში მარტამდე შესვენებაა და ბექჰემმა დროის უქმად დაკარგვა არ ისურვა. თავიდან ბრიტანელმა ვარსკვლავმა თხოვნით მიმართა "მილანის" ხელმძღვანელობას, რათა მისთვის გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლება მიეცათ, მერე კი მილანელთა ინიციატივით "გელექსისთან" სამთვიანი ხელშეკრულებაც გაფორმდა.

ცხადია, "როსონერის" ფანები იმედოვნებდნენ, რომ გუნდი ბექსის შეინარჩუნებდა. ეს იმედი პიერ სილვიო ბერლუსკონის სიტყვებმაც გაამყარა, თუმცა სხვა მოსაზრება აქვს ადრიანო გალიანის.



*ბექსი "მილანში" მხოლოდ სამ თვეს ითამაშებს.*

"მინდა ყველამ კარგად გაიგოს, რომ კლუბს ბექჰემთან დაკავშირებით მომავალი გეგმები არა აქვს. ზამთრის შესვენებისას ის დუბაიში შეუერთდება "მილანს", მარტამდე ითამაშებს ჩვენს გუნდში და მერე ამერიკაში დაბრუნდება. ეს არის და ეს. არავითარ სრულფასოვან კონტრაქტზე საუბარი არც შეიძლება იყოს", - განაცხადა გალიანიმ.

ამავე დროს გალიანიმ რეალურ ტრანსფერებზე ისაუბრა. კერძოდ, "მილანი" ბრაზილიურ კლუბ "ფლუმინენსეს" მცველის ტიაგუ სილვას შეძენას აპირებს. მოგეხსენებათ, "მილანს" დაცვის ხაზში პრობლემები აქვს. მალდინი დაბერდა, თანაც სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს. ალესანდრო ნესტამ ვერაფრით ვერ მოიშუშა ტრავმა და, ვინ იცის, იქნებ მანაც კარიერა დაამთავროს.

"ტიაგუ სილვას ჩვენი ბრაზილიელი მოთამაშეები ესაუბრნენ. ვიცი, რომ მას უნდა "მილანში" თამაში. თუმცა ჯერჯერობით ტრანსფერი შეუძლებელია. ზაფხულში კი ტიაგუს აუცილებლად ვიყიდით", - განაცხადა გალიანიმ.

# მარადონას წარმატებული დებიუტი

ოთხშაბათს არაერთი ამხანაგური მატჩი გაიმართა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, ცხადია, რუმინეთში გაიმართა, თუმცა საფეხბურთო სამყაროსთვის ყველაზე საინტერესო და დამაინტრიგებელი თამაში გლაზგოში, "ემპდონ პარკზე" ჩატარდა -შოტლანდიის ეროვნულმა გუნდმა არგენტინის ნაკრებს უმასპინძლა. თავისთავად შოტლანდიურ-არგენტინულ მატჩს ვერაფრით ვერ დავაყენებდით ინგლისურ-გერმანულ ჯახზე წინ, თუმცა ერთი ფაქტორის გამო გლაზგოური მატჩი ოთხშაბათის ყველა დანარჩენი თამაშიდან გამორჩეულად დგას - "ემპდონ პარკზე" დიეგო მარადონას დებიუტი შედგა "ალბისელესტეს" მთავარი მწვრთნელის რანგში.

მარადონას დებიუტი წარმატებული გამოდგა - მაქსი როდრიგესის გოლის წყალობით არგენტინელებმა დაამარცხეს სქოთები. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მარადონა ენაწყლიანი იყო.

"ეს ჩემთვის და მთელი გუნდისთვის დიდი გამოცდილება გახლდათ. ახლა შემიძლია მშვიდად ამოვისუნთქო. ვფიქრობ, სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. მატჩის პირველი 25 წუთის განმავლობაში საუცხოო ფეხბურთი ვითამაშეთ, გოლიც გავიტანეთ, თუმცა ალბათ მეტი შეგვეძლო. მატჩს სრულად ვაკონტროლებდით. ერთადერთი, რაც არ მომეწონა, ის არის, რომ ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ", - განაცხადა მარადონამ.



*დიეგომ სანაკრებო კარიერა შოტლანდიის დამარცხებით დაიწყო.*

თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა ტერი ბატჩერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მარადონას "ღმერთის ხელს" არ აპატიებს და სწორედ ამ ამხანაგურ მატჩში იძიებს შურს. ბატჩერი ინგლისის ნაკრებში სწორედ იმ პერიოდში თამაშობდა, როდესაც მარადონამ ხელით გაიტანა გოლი მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისელების კარში.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა დიეგოს ამ თემაზეც სთხოვეს აზრის გამოთქმა.

"ვისზე მეკითხებით? ვინ არის ბატჩერი? მატჩის შემდეგ შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელს ხელი ჩამოვართვი. რაც შეეხება ბატჩერს, საერთოდ არ ვიცი, ვინ არის იგი", - თქვა მარადონამ.

თავად შოტლანდიის ნაკრების მიმართ კი დიეგომ საქებარი სიტყვები არ დაიშურა, თუმცა თქვა, რომ სქოთების გუნდი მის ნაკრებთან ახლოსაც ვერ მივა. "შოტლანდიელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ. ფეხბურთელებიც ურიგონი არ არიან, მაგრამ არგენტინის ნაკრები თვისებრივად სხვა საფეხურზეა. შოტლანდიელებს ჰქონდათ ერთი-ორი შანსი, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. თუ წარმატებაზე ფიქრობ, მატჩის მსვლელობას უნდა აკონტროლებდე", - აღნიშნა დიეგომ.

რაც შეეხება არგენტინის ნაკრების შანსს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, დიეგო დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი მიზანს მიაღწევს.

"შესარჩევი ციკლის სტარტზე წარუმატებელი სერია ისტორიას უნდა ჩაბარდეს. დიახ, ჩილესთან დავმარცხდით და მდგომარეობა გავირთულეთ, მაგრამ არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია გულხელდაკრეფილი როდია. წარუმატებლობის შემდეგ მათ მწვრთნელი დაითხოვეს და ახლა გუნდს მე ვხელმძღვანელობ. დღეს საღამოს ჩვენ არგენტინელი ხალხისთვის ვითამაშეთ და მოვიგეთ. ასე იქნება მომავალშიც", - თქვა არგენტინის ნაკრების ლეგენდარულმა მწვრთნელმა.

ოთხშაბათი დიეგოსთვის ორმაგად მნიშვნელოვანი იყო: იმ დროს, როდესაც მარადონას ნაკრები შოტლანდიელებს ამარცხებდა, მწვრთნელის ქალიშვილმა იმშობიარა. სწორედ ამის გამო არ ითამაშა შოტლანდიასთან მატჩში მარადონას სიძემ კუნ აგუერომ.

"რა თქმა უნდა, თამაშისას ბევრს ვფიქრობდი ჩემს ქალიშვილსა და მის შვილზე. იცით, ამან საქმე გამიადვილა. ჩემი ქალიშვილი ბედნიერია, რომ მე არგენტინის ნაკრებს ვუდგავარ სათავეში. ფეხბურთელებმა კი საოცარი საჩუქარი მომიძღვნეს", - თქვა მარადონამ.

## რონალდომ კარიერის დასრულება გადაწყვიტა

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი რონალდო, რომელიც თებერვალში მიღებული მუხლის მძიმე ტრავმის შემდეგ რეაბილიტაციის პროცესს გადის, კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა.

"ახლა ნამდვილად არ ვიცი, ფეხბურთში დავბრუნდები თუ არა. გადაწყვეტილება შესაძლოა ხვალ მივიღო, შესაძლოა ერთი თვის შემდეგ," - განაცხადა 32 წლის ფეხბურთელმა. ბრაზილიელს მარცხენა მუხლის მყესის ტრავმა აქვს და ბრაზილიაში მკურნალობს.

## "ბლექბერნი" ნორვეგიელ მცველს უთანხმდება

ინგლისური "ბლექბერნი" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ნორვეგიელი მცველით ტორე რეგინიუსენით აპირებს შემადგენლობის გაძლიერებას.

"ტრომსოს" 22 წლის ფეხბურთელი, რომელსაც ნახევარდაცვაში თამაშიც შეუძლია, ინგლისში მომავალ კვირას ჩავა და "ბლექბერნის" თავკაცებთან კონტრაქტის დეტალების დაზუსტების შემდეგ კლუბში სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

"ეს ტრანსფერი რეალური რომ არ იყოს, ინგლისში ნამდვილად არ ჩავიდოდი. როგორც ვიცი, "ბლექბერნის" ინტერესი დიდია," - აცხადებს რეგინიუსენი, რომელიც 2006 წლიდან იცავს "ტრომსოს" ღირსებას. მიმდინარე წელს კი ნორვეგიის ეროვნულ ნაკრებში ოთხი მატჩის ჩატარების საშუალება მიეცა და ერთ-ერთ შეხვედრაში გოლიც გაიტანა.

## "ბორდო" ბლანის შენარჩუნებას ცდილობს

ფრანგული "ბორდოს" ხელმძღვანელობა გუნდის მთავარ მწვრთნელ ლორან ბლანთან, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება, თანამშრომლობის გახანგრძლივებას აპირებს.

კლუბს სურს 42 წლის სპეციალისტი 2011 წლამდე შეინარჩუნოს, თავად მწვრთნელმა კი ფიქრისთვის დრო იანვრამდე ითხოვა.

"ლორანის შენარჩუნების დიდი სურვილი გვაქვს. "ბორდო" პირველი კლუბი იყო, რომელიც მას, როგორც მწვრთნელს, ენდო და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან ჩვენი ნდობა სრულად გაამართლა," - აცხადებს "ბორდოს" პრეზიდენტი ჟან ლუი ტრიო.

## ტურინელებს აკვილანის გადაბირება სურთ

ტურინის "იუვენტუსმა" ნახევარმცველ ალბერტო აკვილანის ტრანსფერთან დაკავშირებით "რომასთან" მოლაპარაკება წამოიწყო.

ფეხბურთელის მამა კლაუდიო აკვილანი და მენეჯერი ფრანკო ძევალია ტურინელთა ხელმძღვანელობას უკვე შეხვდნენ. თუ რით დასრულდება მოლაპარაკება, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

24 წლის ნახევარმცველი 2002 წლიდან იცავს რომაელთა ღირსებას და გუნდის რიგებში ჩატარებულ 94 მატჩში 9 გოლი გაიტანა.

2003-2004 წლებში ის იჯარის წესით "ტრიესტინაში" თამაშობდა.

აკვილანი იტალიის ეროვნულ ნაკრებში 2006 წლიდან გამოდის და ათ შეხვედრაში ორჯერ აიღო მეტოქის კარი.

## ფიგუ ბრუნდება

"ფეხბურთში დაბრუნება ძნელია, მაგრამ ახლა ტკივილი უნდა დავძლიო და მოვემზადო. გარკვეული პერიოდის განმავლობაში კარიერის დასრულებაზეც კი ვფიქრობდი, თუმცა, ამაზე უკვე უარი ვთქვი," - აცხადებს 36 წლის ლუიშ ფიგუ, რომელიც 2005 წლიდან იცავს "ინტერის" ღირსებას და აქამდე ჩატარებულ 85 მატჩში 8 გოლი გაიტანა.

ფიგუ კარგა ხანია არ გამოჩენილა "ნერაძურის" შემადგენლობაში. მისი დაბრუნება ამ უქმეებზეა დაგეგმილი.

## "რეალი" ვუჩინიჩში 22 მილიონს იხდის

მადრიდის "რეალი" მზადაა ჩერნოგორიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და "რომას" ფორვარდ მირკო ვუჩინიჩის სანაცვლოდ 22 მილიონი ფუნტი გადაიხადოს.

მადრიდელები ჩერნოგორიელის მიმართ ზაფხულშიც იჩენდნენ ინტერესს, მაგრამ მაშინ რომაელთა ხელმძღვანელობამ ფეხბურთელის გასხვისებაზე უარი თქვა. იტალიური კლუბი ვუჩინიჩის თაობაზე "რეალთან" მოლაპარაკების წამოწყებას არც ამჯერად გეგმავს.

25 წლის ჩერნოგორიელი "რომაში" 2006 წლიდან გამოდის და გუნდის რიგებში ჩატარებულ 54 მატჩში 12 გოლი გაიტანა.

საკუთარი ქვეყნის ნაკრების ღირსებას ის 2007 წლიდან იცავს და 10 შეხვედრაში 6-ჯერ დალაშქრა მეტოქის კარი. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მე-8 შესარჩევ ჯგუფში ჩერნოგორიის ნაკრები საქართველოს ნაკრების მეტოქეა.




AFP ' 2008

გამორიცხულია, მექსიკაში საფეხბურთო მატჩზე მოხვდე და იქ რამდენიმე სომბრერო არ შენიშნო. ეს კარგად იციან "ფრანს პრესის" ფოტოგრაფებმა და მსგავს კადრებს მსოფლიოში ავრცელებენ. ეს ფოტო კი მაშინაა გადაღებული, როდესაც მექსიკა VS ჰონდურასის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იწყებოდა.

Hyundai გთავაზობთ უნიკალურ შანსს:

შეიძინე Veracruzi 1 იანვრამდე და მიიღე საჩუქრად 1 წლიანი უფასო დაზღვევა მიმდინირე ტექნიკურ მომსახურეობასთან ერთად. *
( სპეციალურად ორგანიზაციებისთვის დამატებითი ბონუსი: ფასდაკლება მანქანის ნაწილებზე და მომსახურეობაზე)

***საბანკო განვადების შემთხვევაში მყიდველი ირჩევს ან ერთ წლიან დაზღვევას ან ბანკის სპეციალურ ფასდაკლებას. მიმდინარე ტექნიკური მომსახურეობა ძალაში რჩება.**

პრიზები:
აშშ -2008 წლის საუკეთესო საზამთრო კროსოვერი
2008 წლის ლოს-ანჯელესის ავტო შოუს გამარჯვებული
კანადა-2008 წლის საუკეთესო საოჯახო მანქანა
ავსტრალია -2008 წლის საუკეთესო კროსოვერი






AFP ' 2008

ამჯერად ფოტოგამოცვანასთან გვაქვს საქმე. მაგრამ საქმეს არ გაგირთულებთ და გაგანდობთ, რომ ეს მსოფლიო ჩოგბურთის ლეგენდა ჯონ მაკინროია. ახლა ის კუალა ლუმპურის კორტებზე თამაშობს. იცით, ვის ეთამაშება? ვის და, მასავით ლეგენდას, შვედ ბიორნ ბორგს. ოღონდ ეს ერთგვარი საჩვენებელი საჩოგბურთო ასპარეზობაა, რომელიც მხოლოდ ერთ სეტს გრძელდება. ბოლოს და ბოლოს, პატარა ბიჭები ხომ აღარ არიან! ჰოდა, მაკინროისა და ბორგის ორთაბრძოლა შვედის გამარჯვებით დასრულებულა - 7:6. რამდენიმე დღის წინ, ამავე აქციის ფარგლებში, მაკინროიმ დაამარცხა ბორგი. ასე რომ, ბარი ბარში.







## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2008 წლის 12 ნოემბერს გაზეთ - „24 საათში“ ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის გამყოფი მწვანე ზოლების მოწესრიგებისთვის მწვანე გაზონის (რულონური ბელტი) მოწყობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში და განცხადების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. შესყიდვის ობიექტია: ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის გამყოფი მწვანე ზოლების მოწესრიგებისთვის მწვანე გაზონის (რულონური ბელტი) მოწყობა საერთო ფართით 5000მ².

**სატენდერო კომისია**

## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2008 წლის 8 ნოემბრის გაზეთ - „24 საათში“ 2009 წლის საახალწლო აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში და განცხადების სათაური, პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს 2009 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის პროგრამის ფარგლებში დედაქალაქის მოსართავი საშუალებების (აქსესუარების) მიწოდების შესყიდვაზე თანმდევი მომსახურებით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია: 36 დასახელების მოსართავი საშუალებების (აქსესუარების) მიწოდება და მათი თანმდევი მომსახურება (დიზაინის დამუშავება, ესკიზური ვარიანტების მომზადება, აქსესუარების მოცულობის გადანაწილება სხვადასხვა ობიექტების მიხედვით და მათ მოწყობაზე კონტროლის განხორციელება).

2. საქონლის მიწოდების და თანმდევი მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2008 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“** აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების ობიექტის - **თბოელექტროსადგურის მე-9 ენერგობლოკის** დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას და დაგეგმილი საქმიანობის მოკლე ანოტაციას, „არატექნიკურ რეზიუმეს“ სახით, შემდეგ მისამართზე - გარდაბანი, აღმაშენებელის 2ა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვის დეპარტამენტში (გულუას ქ. №6).

საჯარო განხილვა მოეწყობა 2008 წლის 17 დეკემბერს 14:00 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის 2ა, შპს „მტკვარი ენერგეტიკა“.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნებიდა კომენტარიები ჩააბაროთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს ადმინისტრაციას.

შპს „მტკვარი ენერგეტიკა“

## ც ვ ლ ი ლ ე ბ ა

**2008 წლის 20 ნოემბრის გაზეთ „24 საათში“ (N260) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის“ დაფინანსების ფარგლებში სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის“ შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში**

შევიდეს ცვლილება სატენდერო განცხადების მეხუთე აბზაცში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

«წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2008 წლის 10 დეკემბერს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, 14:00 საათზე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე ოთახი N214.

# განცხადება

სს „ქიმიკოსი"-ს
(იურიდიული მისამართი: ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა N97,
საიდენტიფიკაციო (რეგისტრაციის) N245400739)
რეორგანიზაციის შესახებ

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე გაცნობებთ, რომ 2008 წლის 18 ნოემბერს სს „ქიმიკოსი"-ს საწესდებო კაპიტალის 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის გადაწყვეტილებით (აქციონერთა საერთო კრების) ოქმი N 1 დაიწყო სს „ქიმიკოსი"-ს რეორგანიზაციის პროცესი ნატურით გამოყოფის გზით. კერძოდ, საღებავების წარმოების საამქროსა და სასაწყობო მეურნეობის ცალკ-ცალკე გამოყოფით მიღებული იქნა შპს „ბუნი-2"-სა და შპს „ბუნი-1" დაფუძნების გადაწყვეტილება.

სს „ქიმიკოსი"
20.11.2008 წელი

**შპს „საქართველოს რკინიგზა"-ის მიერ ხაშურში სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვის შესახებ გამოცხადებული სატენდერო პროცედურების შეწყვეტა**

შპს «საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2008 წლის 4 ნოემბერს გამოცხადებული იქნა ტენდერი **ხაშურში სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების** შესყიდვის შესახებ.

შემსყიდველი ორგანიზაცია საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე წყვეტს ზემოაღნიშნულ სატენდერო პროცედურებს.

# ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე წლის 20 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს (ცვლილება) ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №32-ში წიგნის მაღაზიის მოსაწყობად და ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5-ში კანცელარიისათვის საოფისე ინვენტარის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის I, II, III და IV ლოტებში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს «ფორ მიქსი».

სსიპ «საწარმოთა მართვის სააგენტოს» 03.11.08 წ. №1-3/489 ბრძანების საფუძველზე შპს «საქწიგნთან» (ს/კ 202888269 მარჯანიშვილის ქ.№9) ხორციელდება: შპს «მალაზია ვაკე» (ს/კ 204861387 ჭავჭავაძის 19), შპს «სასკოლო ბიბლიოთეკა» (ს/კ 203824674 დადიანის ქ.№1), შპს «ლილო-2002» (ს/კ 206121169 ქ. თბილისი, ლილოს დასახლება I კვარტ. კორპ. №8), შპს «ცისარტყელა» (ს/კ 201949277 წერეთლის გამზირი №110) - შერწყმა.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: შპს «საქწიგნი», მარჯანიშვილის ქ.№9. ტელ: 96-90-70.

# განცხადება

ცხადდება კონკურსი 219 მმ 1000 გრძივი მეტრი და 325 მმ 3000 გრძივი მეტრი კარგ მდგომარეობაში მყოფ მეორად ფოლგის მილების გაყიდვაზე. ტელ. 890403500.

# პაციენტების საყურადღებოდ !

ცნობილი ექიმები, მედიცინის დოქტორი, ნევროლოგი **არჩილ საყვარელიძე** და თერაპევტი, გასტრო-ენტეროლოგი **დავით ნემსაძე** იღებენ პაციენტებს ყოველდღიურად დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათები: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, "სამების" ეკლესიის უკან) **ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**

**ელ.-ფოსტა usdc@gol.ge**

## სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მიერ 50 000 ლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სატელევიზიო პროგრამების ჩვენების ექსკლუზიური უფლება | კომპანია „გლობო ინტერნაციონალ ლიმიტედ" | 83 500 ლარი |
| 2 | სატელევიზიო პროგრამის „დიდი ბრიტანელები"-ს ექსკლუზიური ჩვენების უფლება | კომპანია „ბბს ვორლდვაიდ ლიმიტედ" | 73 500 ლარი |
| 3 | ფილმების ექსკლუზიური ჩვენების უფლება | კომპანია „უოლტ დისნეი კომპანი ლიმიტედ" | 107 000 ლარი |

## შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ინფორმაცია თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2008 წელს შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:

| მშრალი ულუფა | | |
|---|---|---|
| | | |
| ლოტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
| 2 | შპს „ტაო პლიუსი" | 76800.0 |
| 3 | | 24402.0 |
| 4 | | 10374.0 |

საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში (PACE) აცხადებს ევროპის საბჭოს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის კომიტეტის წევრობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსს.

კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ მორალური სიმტკიცე, იყვნენ ექსპერტები ადამიანის უფლებათა ან რომელიმე სხვა სფეროში, რომელიც ეხება ევროპის წამების, არადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის კომიტეტის საქმიანობას და ფუნქციებს. კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ უნარი დამოუკიდებლად ემსახურონ კომიტეტს, ასევე უნდა ფლობდნენ ინგლისურ ან ფრანგულ ენას.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა გამოაგზავნონ «Curriculum Vitae» ინგლისურ და ქართულ ენებზე საქართველოს პარლამენტის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წევრის, ბატონი გიორგი კანდელაკის სახელზე, შემდეგ მისამართზე:

რუსთაველის გამზირი 8, 0118, საქართველოს პარლამენტი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, თბილისი, საქართველო.

განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 9 დეკემბერი.
შერჩეული კანდიდატები მოწვეული იქნებიან გასაუბრებაზე საქართველოს პარლამენტში.

# განცხადება

2009 წლის 16 იანვარს, 14 საათზე შპს «ჯორჯიან მანგანეზი»-ს ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა, წერეთლის ქ. №1) გაიმართება ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

კომბინატის მიმდინარე საქმიანობის მიზანია, მანგანუმის მადნის გამდიდრება და მანგანუმის კონცენტრატის წარმოება.

